



# ლიბეხანი

№ 6 / 29 ივლისი - 11 აგვისტო / 2009

სოლიდარობის დრო **83.10**

ნატალია ესტამიროვას მკვლელობა **83.20**

მეზოპედი, როგორც საფრთხე **83.25**

გადასაღები მოედანი საქართველო **83.44**

მიცნობა საზოგადოებას შანსი **83.50**



## შემაკავებელი ფაქტორი

**83.12**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2.80 ლარი



რადიო „უცნობი“ წარმოგიდგინებთ დილის გადაცემას **„დილა მშვიდობისა“**

ნატა ასათიანთან და ვახო ხვიჩიასთან ერთად  
ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- პოლიტიკური თემები
- მხიარული საუბრები
- საინტერესო მოსაზრებები
- SMS გამოქიითხვები
- მახარი სიმღერები


უსმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა

SMS ნომერი: 9800

Skype ID: ucnobidila



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)



**გარეკანზე:**  
გაიღვინის და სააკაშვილის  
შეხვედრა თბილისში, 22 ივლისი 2009  
ფოტო REUTERS / ირაკლი გაღვინია



შუბლი „ლიბერალი“ გამოცემა  
ფონდ „ლინა საზოგადოება -  
საპარტიველოს“ მხარდაჭერით.

## 04 რედაქტორი

## 05 შენობის ნარილები

## 06 მოკლედ

## 08 ორი აზრი

უნდა გადავიდეს თუ  
არა საქართველოს  
პარლამენტი  
ქუთაისში

*დავით დარჩიაშვილი vs. ვახტანგ  
ხმაღაძე*

## 10 აოლიგია

ახალი საზოგადოებრივი  
მოძრაობა  
სოლიდარობის დრო

## 12/ ინტერვიუ

შემგაპვებელი ფაქტორი  
*ინტერვიუ ეკა ტყეშელაშვილთან*

14/ქართული და რუსული  
ეკლესიების დიალოგი  
სიყვარულ-სიძულვილის  
ურთიერთობა

## 18 ქურნალისტური გამოქიება

კერძო საკუთრების  
უფლება  
უპანონო ბრძანება

## 20 მეზობლები

ჩიჩნეთი  
პოლიტიკოსსკაინს პრემიის  
პირველი ლაურეატი

23/აზერბაიჯანი  
ბლოგერები ციხეში

25/რეგიონული  
უსაფრთხოება  
მეზობელი, როგორც  
საფრთხე

28/ირანი არჩევნების  
შედეგ  
ჩვენდავრემთ „შუსაპი“, მათ  
ნაიკითხეს „აზგადინებადი“!

## 32 კონფლიქტები

მედვედვის ვიზიტი  
ცხინვალში  
მედვედვი ცხინვალში

## 34 აღმავლის უფლებები- საპარტიული

აღმავალის  
თავისუფლება  
პრივილეგირებული  
თავისუფლება

## 38 აკონფიქტა

სახელმწიფო პროგრამა  
ჯანდაცვის სფეროში  
იფი დაზღვევის ძვირი  
გაკვეთილები

40/პროვითი  
კანონმდებლობა  
მარადიული ომის ახალი  
ბრძოლა

42/საერთაშორისო  
დახმარება საქართველოს  
საქართველოს აღდგენის  
სწორი გზა

**44 საზოგადოება**  
ქართული კინოს  
ფინანსური შედეგები  
გადასაღები მოქალაქე  
საქართველო

48/ განათლების  
რეფორმა  
კვადროგები ცვლილებების  
მოლოდინო

50/ თვალსაზრისი  
მიეცით საზოგადოებას  
შენსი

51/ კრიტიკა  
რკინის ფარდის მიღმა

53/ ტელეკრიტიკა  
უმრავლესობის ზონა

54/ინტერვიუ  
რა ჯობია დემოკრატია?  
ინტერვიუ დონალდ ბოდროსთან

56/ ნიგნავი  
ენის ტრიუმფატორი

გამომცემელი შპს „ლიბერალი“.  
მისამართი: თბილისი 0162,  
ფალიაშვილის ქ. 108.  
ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326.  
ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
დაბაჟდები: სტამბა შპს „სეზანი“.  
მისამართი: თბილისი, ნაძვლის ბაზა.  
140. ტელ.: (995 32) 35 70 02.  
სხვა გამომცემელი: „ცხელი შოკოლადი“,  
„ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“,  
„ბიზნესი: ადამიანები, გემოვნები,  
სტრატეგია“.  
„ლიბერალი“ საავტორო უფლებები  
დაცულია. შურალში გამომცემელი  
მასალის ნაწილობრივი და/ან მთლიანი  
გამოყენება რედაქციის თანხმობის გარ-  
ეშე აკრძალულია. ISSN 1987-7528



14



40



20



51

**კვლევი** ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.

**რედაქტორები:** მთავარი რედაქტორი შორენა შავერდიაშვილი /ალმასრულელი რედაქტორი ნინო ჯაფარიანი  
საზოგადოება თამარ ბაბუაძე / პოლიტიკა და საერთაშორისო აგებები სოფო ჭავჭავაძე / საქართველო და კონფლიქტები სოფო გუგია / ადამიანის უფლებები  
და საზოგადოებრივი ნიშნის რედაქტორი კაცკასია მარგარიტა ანკვალიანი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი

**რედაქცია:** არტ-რედაქტორი მანანა არაბული / ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე  
/ რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიკა

**ადმინისტრაცია:** ურთქმის მენეჯერი ქეთი გაგუნაშვილი / ვრედაქტორი მენაქარის ასისტენტი ლალა შუბითიკა  
/ ბიზნესის განვითარების მენეჯერი გიორგი კოვალევიშვილი / რეკლამის და გაყიდვების მენეჯერი ნესტან ავალიანი  
/ IT მენეჯერი თორნიკე ლორთქიფანიძე / ოფისის ადმინისტრატორი ეთუნა ინეიკვალი / დისტრიბუტორი ზვიად მენაქალი

გამომდგომად ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი გამოსვლის დღეს  
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)  
თქვენთვის სასურველ მისამართზე.



**ლიბერალი**

6 ნომერი (3 თვე) – 16,80 ლარი  
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი  
25 ნომერი (1 წელი) – 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
23 37 31, (877) 78 78 05  
ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია  
ელ-ფოსტით: [info@liberali.ge](mailto:info@liberali.ge)



ქართველი პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჩვენი ინსპირირება მოახერხა. ამერიკული იდეალიზმის ორმა დღემ თბილისში თავისუფლების შეგრძნების სურვილი გაამძაფრა. ჯო ბაიდენთან შეხვედრის შემდეგ აღელვებული გიორგი თარგამაძე აღნიშნავდა, – ახლა შემოდის ნარმოვიდგინო, როგორები იყვნენ ამერიკის დამფუძნებელი მამებიო. პრეზიდენტის სასახლეც, თეთრ მუნდირში გამონყობილი საპატიო ყარაულით, თვალწარმტაცი ჩანდა.

ბაიდენის სტუმრობით გამოწვეულმა ოპტიმიზმმა თითქოს ახალი ომის შიში გადაფარა, თუ არ ჩავთვლით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, გრიგორი კარასინის მუქარებს, – არ დავუშვებთ საქართველოს გადაიარაღებასო. რუსეთისათვის კიდევ უფრო იზრდება საქართველოზე თავდასხმის პოლიტიკური ფასი. ამიტომ, რუსი სახელმწიფო მოხელეების გზავნილები უფრო ისტერიულია, ვიდრე რაციონალური.

საზღვრების ერთობლივი გაკონტროლების ინიციატივა, რომელიც კონფლიქტური ზონების მონიტორინგში ევროკავშირთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვასაც გულისხმობს, კონკრეტული და მნიშვნელოვანი პროექტია. ეს კონფლიქტის მონიტორინგის საერთაშორისო მანდატს უფრო ეფექტურს გახდიდა, თუმცა სამხედრო აგრესიის რეალურ შემაკავებლად, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანი, ეკა ტყეშელაშვილი ამბობს, მაინც არ გამოდგება.

ამის მიუხედავად, ბაიდენის ვიზიტი, ვფიქრობ, საშუალებას გვაძლევს, ცოტა ხნით მაინც აღარ ვიფიქროთ ომის დაწყება-არდაწყებაზე და საშინაო პრობლემებზე გადავერთოთ. რადგან პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული „დემოკრატიის ახალი ტალღა“ უკვე ორიგინალურად აღარ უღერს, ირაკლი ალასანიას ციტატას გავიხსენებ, Wall Street Journal-ში გამოქვეყნებული სტატიიდან: „დროა, გადავტვირთოთ დემოკრატია საქართველოში“. ბაიდენის ერთ-ერთი მთავარი გზავნილი ესეც იყო. დროა, საზოგადოება დემოკრატიისათვის ინსტიტუციურ ბრძოლაში ჩაერთოს და ხელისუფლებამ ამ პროცესის წარმართვა უზრუნველყოს.

3 აგვისტოს მთავრდება განცხადებების მიღება საზოგა-

დობრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ვაკანტურ პოსტზე. გაჩნდა პატარა ფანჯარა, რომლის გამოყენების შანსიც საზოგადოებას აქვს. თუ ჩვენ არჩევნების პროცესის ღიად წარმართვას მოვითხოვთ და ხელისუფლებას თუ ოპოზიციას ამ პოსტზე საკუთარი კანდიდატის დანიშვნის საშუალებას არ მივცემთ, გაჩნდება იმის ალბათობა, რომ პირველმა არხმა საზოგადოებრივ მაუწყებლად ტრანსფორმირება დაიწყოს. ეს შანსი ნულის ტოლიაო, – ამბობენ სკეპტიკოსები, – ნაგებული ომიო, – მაგრამ ბრძოლას მაინც აქვს აზრი. ხელისუფლება და ოპოზიცია ტელეპროპაგანდაში ახლა ბარიბარში არიან, ორივე მხარეს ორ-ორი ტელევიზიაა. იქნებ საზოგადოებასაც დაგვიტოვოთ არჩევანი?!

კიდევ ერთი ფრონტის ხაზი სექტემბერში ახალი ომბუდსმენის არჩევა იქნება. ყველანაირი კრიტიკის მიუხედავად, სოზარ სუბარი წარმატებით ახერხებდა, ძალაუფლების არსებული სისტემის საპირწონე ყოფილიყო. ძლიერი და რეალურად დამოუკიდებელი ომბუდსმენის აპარატის გარეშე, დემოკრატიის პროგრესირების ნაცვლად, ისევ სტაბილურ რეგრესს მივიღებთ.

მოკლედ, საზოგადოების პროაქტიულობა ბევრ ფრონტზეა საჭირო. იქნებ ბაიდენის ვიზიტი, უსაფრთხოების გარანტიების მიღებასთან ერთად, დემოკრატიის გადატვირთვისთვისაც გამოვიყენოთ.

P.S. გამოგვეხმაურეთ!

მთავარი რედაქტორი  
შორენა შავერდაშვილი



გახმოვანება თუ სუბტიტრეჟი

ფურნალ „ლიბერალის“ მე-5 ნომერში გამოქვეყნდა გიორგი ლობჯანიძის სტატია სახელწოდებით „ჩიორების კანონპროექტი“, რომელიც ეხებოდა საკანონმდებლო ინიციატივას, რომლითაც საქართველოს კონოთეატრებსა თუ სატელევიზიო ეთერში გაშვებული უცხოური კინოპროდუქციის დუბლირება აიკრძალება და ეს უკანასკნელი სუბტიტრეჟით შეიცვლება. ავტორის აზრით, კანონპროექტის ლობისტი (პარლამენტის ნეერი ჩიორა თაქთაქიშვილი) მწარედ ცდება, როდესაც თვლის, რომ ამით უცხო ენის შესწავლა უფრო ხელმისაწვდომი გახდება. მოყვანილია ისეთი არგუმენტებიც, რომ ქართულ სოფელში „შრომისაგან დაჩაჩანაკებული“ (თუმცა, სოფელი ბებიაჩემი მეუბნებოდა ხოლმე – შრომა აკეთილშობილებს ადამიანსო) ადამიანი არადუბლირებულ ფილმს ვერ გაიგებს. სტატიაში იმაზეც იყო საუბარი, რომ ქართული ენა გაქრება ასეთი მნიშვნელოვანი სეგმენტიდან და ისიც, რომ მხოლოდ მშობლიური ენის მცოდნე სტუდენტები სწავლობენ საფუძვლიანად უცხო ენებს. ჩემთვის ყველაზე საინტერესო არგუმენტი კი ის არის, რომ დუბლირებით დაკავებული მსახიობები უსამსახუროდ დარჩებიან და ამ „კომპრომისის ფასად“ ნაპოვნ სამსახურსაც დაკარგავენ. ალბათ იგულისხმება კლასიკურ ქართულ თეატრალურ პროდუქციაზე მაყურებლის ინტერესის კლება და შემცირებული შემოსავლების გამო, მსახიობთა არაჯეროვანი დაკავებულობა; ან სულაც ის, რომ დღევანდელი მთავრობა თეატრს აღარ იყენებს პროპაგანდისტული მიზნებისათვის და, შესაბამისად, აღარც თეატრის „მუშაკთა“ მძიმე სუბსიდირებით არის დაკავებული.

გული დამწყდა, როდესაც სტატიაში ვერ ვნახე მსჯელობა სუბტიტრეჟის გამოყენების



დადებით მხარეებზე. თუმცა ეს იმედგაცრუება მალევე გამიფანტა „კავკასიის კვლევის სარესურსო ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომლის ავტორი, სავარაუდოდ, ზემოთ ხსენებულ სტატიას არ გასცნობია. ამას ის ოპტიმისტური ტონი მაფიქრებინებს, რომლითაც ეს საკანონმდებლო ინიციატივა შეფასებული: „ეს კანონპროექტი საჯარო პოლიტიკის შესანიშნავი ინიციატივაა. ის არის იაფი, სიღრმისეული, პოტენციურ პრობლემას დადებით მხარედ აქცევს (ბავშვებისა და მოზარდების ტელევიზორთან მიჯაჭვულობა) და, სავარაუდოდ, განათლების დონეზეც დადებითად აისახება“. ავტორი ეყრდნობა რამდენიმე კვლევის შედეგს, რომელთა მიხედვითაც, სუბტიტრეჟის პრაქტიკა არა მხოლოდ საგრძნობლად აუმჯობესებს უცხო ენების ცოდნასა და სწორი გამოთქმის უნარს, არამედ დადებითად მოქმედებს მშობლიურ ენაზე დაწერილი ტექსტის დეკოდირებასა და შესაბამისად ტექსტური ინფორმაციის აღქმაზეც. სადავო რჩება ასეთი პროდუქციის ხელმისაწვდომობა მხედველობადაქვეითებულთათვის, თუმცა, იგივე მიზეზით, დუბლირებასთან შედარებით, სმენადაქვეითებული მაყურებელი უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება.

დასასრულს, ერთი გარემოება, რომელიც კანონპროექტის ლობისტივმა უნდა გაითვალისწინონ. პროდუქციის დისტრიბუტორი კომპანიები ზოგიერთ შემთხვევაში (ანიმაციური ფილმები) არა მარტო ფილმის გამშვების უფლებას ყიდნიან, არამედ დამატებით საფასურს ითხოვენ მსახიობების ხმის გამოყენებისათვის, რაც დუბლირებაზე ძვირი ღირსება აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში, საინტერესოა, როგორ გადაჭრის „კოხორას დილემას“ თბილისის კინოთეატრების მენეჯმენტი...

პაატა საბელაშვილი  
ფურნალ „მეს“ გამომცემელი

პოლიცია სკოლაში

გასაკვირია, რაზეა ლაპარაკი! ა) უბნის ინსპექტორის პირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობაა, თავის უბანში ყურადღება მიაქციოს კრიმინალური მიდრეკილების მოზარდებს და იზრუნოს დანაშაულის პრევენციაზე. არანაირი დამატებითი უფლებამოსილებები „სკოლაში შესვლის“ მიზნით მას არ სჭირდება.

ბ) პოლიციის და სკოლის თანამშრომლობის რალაც ინსტიტუციურ, სისტემურ მოდელზე ფიქრიც კი არის ან სისულელე, ან ტოტალიტარიზმისკენ სწრაფვის გამოვლინება. ეს იმდენად ელემენტარულია, რომ უხერხულია, სერიოზულად ვიმსჯელოთ ამ თემაზე. მსგავსი რამ ჩრდილოეთ კორეაში და მიანმაში თუ მოხდება.

გ) არანაირი მსგავსი სისტემა არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ არის და არც შეიძლება იყოს. ანალოგიური ტიპის ღონისძიებები, იგივე ინგლისსა და აშშ-ში ტარდება მხოლოდ იმ კონკრეტულ საცხოვრებელ უბნებზე, სადაც კრიმინოგენული ვითარება ლამის კატასტროფულია.

როცა პატ. იოვანე ხერხემალი მიამიტი ლიბერალივით ამბობს: „იმის ალბათობა, რომ დაჭერილი ადამიანი ციხიდან უკეთესი გამოვა, ძალიან დაბალიაო“, პენსიის დროზე ადრე გაცემისთვის რომ ზის ხალხი ციხეში და მიტინგზე სიარულისთვის, ნეტა ვინ დაიჭირა?

აბსოლუტურად სერიოზულად მსჯელობთ იმაზე, რაც საუკეთესო შემთხვევაში სისულელეა, უფრო სავარაუდოდ კი – ახალი ადამიანის“ აღზრდის კომუნისტური უტოპიის ზონდერ-ლიბერალური ვარიანტი.

ასე სერიოზულად რომ იღებდა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ლიბერალური „ვორდინგი“ შემოსილ სისულელეებს, იმიტომ ნავიდა განათლების რეფორმის საქმე კარგად.

დავით ზურაბიშვილი  
რესპუბლიკური პარტია



ფოტო REUTERS / სტრინგერი



ფოტო REUTERS / სტრინგერი

# ბაიდენი უკრაინასა და საქართველოში

თეთრი სახლი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას არც უკრაინის და არც საქართველოს ხარჯზე არ აპირებს.

საქართველოში ორდღიანი ვიზიტით აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი უკრაინიდან ჩამოვიდა. უკრაინაში ბაიდენი ქვეყნის პრეზიდენტს ვიქტორ იუშჩენკოს და მომავალი პრეზიდენტობის კიდევ სამ კანდიდატს – იულია ტიმოშენკოს, ვიქტორ იანუკოვიჩსა და არსენი იაცენიუკს შეხვდა. შეხვედრების მთავარი თემები იყო – მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები და უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა. ბაიდენმა კიევში პოლიტიკურ ლიდერებს მოუწოდა, პოლიტიკური სიმნიფე გამოიჩინონ და 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუციის დანაპირები შეასრულონ.

აშშ-რუსეთის ურთიერთობის გადატვირთვის შესახებ ვიცე-პრეზიდენტმა ორივე ქვეყანაში მსგავსი განცხადებები გააკეთა. ბაიდენი ორივე ქვეყანას ცალ-ცალკე დაჰპირდა, რომ თეთრი სახლი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას არც უკრაინის და არც საქართველოს ხარჯზე არ აპირებს. მან თბილისშიც და კიევშიც აღნიშნა, რომ 21-ე საუკუნეში „გავლენის სფეროების“ ცნებას ამერიკა უარყოფს როგორც იდეას.

„ჩვენ ერთგული ვრჩებით პრინციპისა, რომ ყველა სუვერენულ სახელმწიფოს აქვს უფლება, გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღოს, გაატაროს საკუთარი საგარეო პოლიტიკა და თავადვე გადაწყვიტოს, რომელ კავშირებს შეუერთდეს“, – განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა.

ბაიდენმა უკრაინის პრეზიდენტთან ერთად ასევე განიხილა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების და ატომური ელექტროსადგურების საკითხები.

თბილისში გამოსვლებისას კი ვიცე-პრეზიდენტი საქართველო-ამერიკის ურთიერთობების, სამხედრო თანამშრომლობის, ტერიტორიული მთლიანობის, დემოკრატიის საკითხებს შეეხო. ბაიდენმა გაიხსენა პრეზიდენტ სააკაშვილის დაპირება „დემოკრატიის ახალი ტალღის“ თაობაზე და საქართველოს ხელისუფლებას, მის ოპოზიციას და ქვეყნის მთელ საზოგადოებას ურჩია: პოლიტიკური პროცესები განვითარდეს პარლამენტის შენობაში და არა მართო ქუჩაში; საქართველოს მთავრობის საქმიანობა გახდეს უფრო გამჭვირვალე; მედიის თავისუფლება განმტკიცდეს ისე, მათ უზრუნველყონ მოქალაქეების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება; გაძლიერდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი.

ბაიდენმა ასევე აღნიშნა, რომ ამერიკა არ აპირებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას. „ჩვენ არ ვაღიარებთ მათ როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და მოეუწოდებთ რუსეთს, პატივი სცეს საერთაშორისო ვალდებულებებს, მკაფიოდ ჩამოყალიბებულს, მათ შორის - თქვენი ტერიტორიიდან ყველა შეიარაღებული ძალის გაყვანისა და ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულებას“, – დასძინა მან.

პარლამენტში გამოსვლისას მან საქართველოში შარშანდელი ვიზიტიც გაიხსენა და განაცხადა, რომ მაშინ საქართველოს გვერდით დგომა და მხარდაჭერა სენატორის რანგში აღუთქვა, ახლა კი იმავე დაპირებას ვიცე-პრეზიდენტის რანგში იმეორებს. O

ანკარაში „ნაბუქოს“ პროექტის ნევი ქვეყნების (ავსტრია, ბულგარეთი, თურქეთი, რუმინეთი, უნგრეთი) წარმომადგენლებმა მთავრობათა შორის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ცერემონიას საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრო.

გაზსადენი კასპიის რეგიონსა და ცენტრალურ აზიაში მოპოვებული ბუნებრივი აირის საქართველოსა და თურქეთის გავლით ევროპაში ტრანსპორტირების მიზნით შენდება. მშენებლობა 2011 წელს უნდა დაიწყოს. პროექტის ღირებულება 7,9 მლრდ ევროს შეადგენს. გაზსადენის წლიური გატარების მოცულობა, წინასწარი ინფორმაციით, 31 მლრდ კუბური მეტრითაა განსაზღვრული.

თუმცა, ამ ეტაპზე საბოლოოდ არ არის მოგარებული, ვინ იქნება მილსადენის შესასვები გაზის მიმწოდებელი. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მილსადენისთვის აირის მიწოდებას მისი ამუშავებისთანავე გარანტირებულად შეძლებს, აზერბაიჯანია. თუმცა აზერბაიჯანულ ბუნებრივ აირზე პრეტენზიას აცხადებენ რუსეთი, თურქეთი და კიდევ ორი დაგეგმილი გაზსადენი, რომლებიც საბერძნეთს იტალიასთან აკავშირებს (შემეერთებული მილსადენი თურქეთი-საბერძნეთი-იტალია) და ტრანსადრიატიკული მილსადენი. პროექტის სანყის ეტაპზევე გაზის მომწოდებლებად ასევე მოიაზრებიან ერაყი და ეგვიპტე, შემდეგ ეტაპზე კი – თურქმენეთი. თუმცა, ამ ქვეყანასა და რუსეთს შორის გაზთან დაკავშირებით კონფლიქტი წარმოიშვა.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის თქმით, „ნაბუქოს“ პროექტის ამოქმედების შემდეგ საქართველო ქვეყნის ტერიტორიაზე წელიწადში გავლილი გაზის ოდენობის (16 მილიარდი კუბ. მეტრი) ხუთ პროცენტს უფასოდ მიიღებს, ხუთს კი – შეღავათით. O





საქართველოში **H1N1** ვირუსით დაინფიცირების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა. დაავადებული ქალბატონია, რომელიც საქართველოში დიდი ბრიტანეთიდან შემოვიდა. იგი მკურნალობის შემდეგ თავს კარგად გრძობს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში განიხილება გეგმა, რომლის თანახმადაც, იმ ქვეყნებში, სადაც „ლორის გრიპი“ მქონეებზე, სკოლებში სწავლა დაავადების პიკის გადავლის შემდეგ უნდა განახლდეს.

**H1N1**-ის საწინააღმდეგო ვაქცინის წარმოება, სავარაუდოდ, სექტემბერში დაიწყება, თუმცა საქართველო დაავადების გავრცელების პიკის დროს (შემოდგომა-ზამთარი) ვაქცინას ვერ მიიღებს. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, რომ ვაქცინის ყიდვის საშუალება საქართველოს მთავრობას მომავალი წლის გაზაფხულზე მიეცემა. **0**



**ირაკლი ალასანიამ** საკუთარი პოლიტიკური პარტია „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატიები“ დააფუძნა, თუმცა იგი კვლავ რჩება „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერად.

ალასანიას თქმით, მისი პარტია მემარჯვენე-ცენტრისტული იდეოლოგიის იქნება და მონაწილეობას მიიღებს ყველა სახის ვადამდელ არჩევნებში, თუ უზრუნველყოფილი იქნება თავისუფალი საარჩევნო გარემო.

პარტიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მათი ძირითადი ფასეულობა ადა-მიანის პიროვნული თავისუფლებაა. პარტიის დოკუმენტში განსაზღვრულია თავისუფალი დემოკრატიების პოლიტიკური, ეკონომიკური ხედვა და საგარეო და უსაფრთხოების სტრატეგია. „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატიებისთვის“ მმართველობის მისაღები ფორმა საპრეზიდენტო რესპუბლიკა – ძლიერი პარლამენტით, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემით და ფართო უფლებამოსილების მქონე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებით. **0**

## ციტატები

„ამერიკის მცდელობა რუსეთთან ურთიერთობის გაღაბვირებისა, საქართველოს ხარჯზე არ მოხდება. მოდით, ნათლად ვიფიქროს: ეს ასე არ არის, არ იქნება და ვერ იქნება“.

**ჯოზეფ ბაიდენი**  
საქართველოს პარლამენტი. 23 ივლისი

„ვარდების რევოლუცია მხოლოდ მაშინ იქნება სრულყოფილი, როდესაც ხელისუფლება იქნება გამჭვირვალე, ანგარიშგაღებული და მთლიანად მონადილეობითი“.

**ჯოზეფ ბაიდენი**  
საქართველოს პარლამენტი. 23 ივლისი

„დროა, გადავტვირთოთ დემოკრატიის საქართველოში“.

**ირაკლი ალასანიამ,**  
Wall Street Journal, 23 ივლისი

„ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს საკითხი თითქმის აკვლარია. ეს ტრაგიკულია. თუ ისინი ნატო-ს მოკვლას (საქართველოს ალიანსში გაწევრიანების იმედის) მოახერხებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსები სწორი მიზნებისათვის იბრძოდნენ. ეს იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ პოლიტიკური მიზნების მიღწევა სასტიკი მეთოდებითაც შესაძლებელია და რომ პუტინი მართალი იყო. მან ბევრჯერ მითხრა, – შენი მოკავშირეები კარგ რამეებს გზირდებიან, მაგრამ დაპირებებს ყოველთვის არ ასრულებენ. მე კარგს ვერაფერს დაგპირდებით, მაგრამ შევასრულა“.

**მიხეილ სააკაშვილი** Wall Street Journal-ის  
კორესპონდენტთან, ენდრიუ ოსბორნთან საუბრის  
დროს 17 ივლისი, ბათუმი

„შეფრთხილება ვართ საქართველოს ხელისუფლების ქმედებების გამო, რომელიც მიმართულია ქვეყნის გადაინარაღებაზე, რასაც რამდენიმე ქვეყანა გასაოცრად მშვიდად და პოზიტიურად პასუხობს... ჩვენ გავაბრძოლებთ სააკაშვილის რეჟიმის ხელახალი შეინარაღების პროცესისთვის ხელის შეშლას და მივიღებთ კონკრეტულ ზომებს ამის საწინააღმდეგოდ“.

**გრიგორი კარასინი,**  
რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე  
23 ივლისი

# უნდა გადავიდეს თუ არა საქართველოს პარლამენტი ქუთაისში



**მოხსრა**

**დავით ღარჩიაშვილი**

*ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი*

პარლამენტის ქუთაისში გადატანის ინიციატივა დეპუტატ აკაკი ბობოხიძეს ეკუთვნის. მას პრეზიდენტი სააკაშვილი გამოეხმაურა და გამოთქვა მოსაზრება, რომ პარლამენტის პლენარული სესიები გაიმართოს ქუთაისში, ხოლო საკომიტეტო მოსმენები თბილისში გაგრძელდეს.

ამ იდეაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია. პირადად მე, ორპალატიანი პარლამენტის შემთხვევაში, მხარს დავუჭერ, პარლამენტის ფუნქციათა ნაწილი გაიყოს და ზედა პალატა ძირითადად ქუთაისში იყოს; იქვე გაიმართოს ერთობლივი სხდომებიც. საფრანგეთში ასეთი მოდელი – პარლამენტის ორი პალატის ერთობლივი სხდომები ვერსალში ტარდება. თუმცა ვერსალი, პრაქტიკულად, გადაყლაპა დიდმა პარიზმა.

თუ ერთპალატიანი პარლამენტის მოდელი დავგრძელებ, ბუნებრივია, მისი მუშაობა დედაქალაქში არ შეწყდება, მაგრამ ქუთაისშიც იქნება საიმისო ინფრასტრუქტურა, რომ სხდომების ნაწილი იქ ტარდეს.

ფორმები, შესაძლოა, სხვადასხვანაირი იყოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ამოცანა ის არის, რომ ქუთაისი, რომელსაც ისტორიულად არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე – თბილისს, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც განვითარდეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც, რაც კარგი იქნება ქუთაისისთვის, ის კარგი იქნება მთელი ქვეყნისთვისაც.

ძალიან ბევრი ქვეყანაა, სადაც ცენტრის ფუნქციები იყოფა. მაგალითად, ჩილეში დღესაც ზუსტად ასეა – მთავრობა დედაქალაქ სანტიაგოშია განთავსებული, საპარლამენტო ქალაქი კი სხვაა. სხვადასხვა ქვეყნებში ეროვნული ხელისუფლების ინსტიტუტების ტერიტორიული გადანაწილება სხვადასხვაგვარად ხდება და ამაში წარმოუდგენელი არაფერია.

**მატირიალურად, რა თქმა უნდა, ეს ინიციატივა მეტ დანახარჯს მოითხოვს, მაგრამ საბოლოო პერსპექტივაში ეს დანახარჯები თავის თავს ამოიღებს.**

იმაზე საუბარი, რომ პარლამენტის ქუთაისში გადასვლა საკანონმდებლო ორგანოს ხელს შეუშლის მუშაობაში, არასწორია. თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები ხელს გვინცობს და უნდა ვეცადოთ, რომ ვირტუალური სივრცე მაქსიმალურად გამოვიყენოთ მმართველობაშიც. ბევრ ქვეყანაში უკვე ელექტრონულ მმართველობაზეც ფიქრობენ. ფიზიკურადაც, ზოგჯერ ქუთაისში და ზოგჯერ თბილისში რომ ჩატარდეს სხდომა, არ არის პრობლემა.

მატირიალურად, რა თქმა უნდა, ეს ინიციატივა მეტ დანახარჯს მოითხოვს, მაგრამ საბოლოო პერსპექტივაში ეს დანახარჯები თავის თავს ამოიღებს. ქუთაისის განვითარება თუ კარგია სოციალურად და პოლიტიკურად, ეს ნიშნავს, რომ კარგია ეკონომიკურადაც. ქუთაისში ბევრად მეტი ადამიანი დასაქმდება, ქალაქში ცხოვრების გააქტიურებას, თავის მხრივ, აუცილებლად მოჰყვება კერძო ბიზნესის დაინტერესება და, შესაბამისად, თანამდევნიანსურ-ეკონომიკური აქტივობები. საწყის ეტაპზე, რა თქმა უნდა, ბიუჯეტიდანაა ხარჯის განწევა საჭირო, მაგრამ ეს ისეთი ხარჯია, რომელიც ქვეყნის განვითარებისთვის გამართლებულია.

თუ ამ ინიციატივის ფორმალიზება მოხდება კონსტიტუციის დონეზე, მაშინ ამ საკითხზე კონსტიტუციური კომისია იმსჯელებს. ცალმხრივად არავინ მიიღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ ვფიქრობ, პრეზიდენტის საუბრისას პარლამენტის დარბაზში გამოჩნდება, რომ უმრავლესობის მხრიდან ამ იდეას მხარდაჭერა აქვს. თუმცა, კონსტიტუციის დონეზე გადასაწყვეტი საკითხები აუცილებლად შეჯერდება ოპოზიციასთან.

საქართველო მრავალფეროვანი ქვეყანაა, რომელიც უნიფიკაციას ძნელად გუობს. ჯანსაღი დეცენტრალიზაცია თანამედროვე ევროპის პოლიტიკური მოდელია, რისკენაც საქართველოც მიისწრაფის. ქუთაისისათვის დამატებითი პოლიტიკური წონის მინიჭება თანხვედნილია ცენტრალიზმის დაძლევის ისტორიულ ამოცანასთან. დეცენტრალიზაცია თვითმმართველობის გაძლიერებას გულისხმობს. მართალია, ქუთაისისათვის საპარლამენტო ქალაქის სტატუსის განაწილება არაა თვითმმართველობასთან პირდაპირ კავშირში, მაგრამ, პოლიტიკური სიმძიმის ცენტრის გადანაწილება პოლიტიკის ჰორიზონტალურ განფენას უწყობს ხელს. ეს კი, საბოლოო ჯამში, უფრო მძლავრი თვითმმართველობის სოციალურ-კულტურული საფუძველია. **0**



**მონინალფავა**

**ვატანა კმალაშვილი**

*რესპუბლიკური პარტიის წევრი,  
კონსტიტუციური სამართლის პროფესორი*

პარლამენტის გადატანა დედაქალაქიდან ქუთაისში თუ ნებისმიერ სხვა ქალაქში სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია, რამდენიმე მიზეზის გამო:

პარლამენტის საქმიანობა არ შემოიფარგლება და არც შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ პარლამენტის წევრთა ურთიერთობით. გადამწყვეტილებათა მიღებას წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი საკითხის ანალიზი, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს როგორც დოკუმენტურ მასალას, ასევე მთავრობის, სამინისტროების, სხვა სახელმწიფო ორგანოთა ხელმძღვანელთა და პასუხისმგებელ პირთა, აგრეთვე ე.წ. ინტერესთა ჯგუფების ზეპირ ინფორმაციას, მათ მოსაზრებებს, დისკუსიებს, რომლებიც იმართება პარლამენტის კომიტეტებსა და ფრაქციებში. საკითხის განხილვა, ჩვეულებრივ, მოკლე დროში და ერთ სხდომაზე არ მთავრდება;


პარლამენტის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლია, ხოლო კონტროლის ერთ-ერთი ქმედითი მეთოდი პარლამენტი-

პრობლემებიც, რომლებიც შეიქმნება პარლამენტის ჯეროვანი საქმიანობის უზრუნველყოფის აუცილებლობის გამო, კერძოდ:

პარლამენტის საქმიანობას უზრუნველყოფს მისი აპარატი, რომელიც რამდენიმე ასეული კვალიფიციური თანამშრომელია, რომელთა უდიდესი ნაწილიც თბილისში ცხოვრობს. პარლამენტის სხვაგან გადატანის შემთხვევაში, ან მოგვინევს მათი დიდი ნაწილის უზრუნველყოფა საცხოვრებლით, რაც საკმაოდ ძვირი დაჯდება, ან იმასთან შეგუება, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში გვექნება კვალიფიციურ თანამშრომელთა სერიოზული დეფიციტი, რაც დააქვეითებს პარლამენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს;

პარლამენტს, თავისი ფუნქციის სათანადოდ შესასრულებლად, სისტემატურად სჭირდება თანამშრომლობა და კონსულტაციები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან და ექსპერტებთან, რომელთა უდიდესი ნაწილიც თბილისში მოღვაწეობს. ამასაც დამატებითი ხარჯი და დამატებითი დრო დასჭირდება;

მნიშვნელოვნად გაიზრდება ხარჯი პარლამენტარებისთვის საცხოვრებელი ბინების დაქირავების გამო, ვინაიდან მათი დიდი ნაწილი, ობიექტური მიზეზების გამო, თბილისელია, და საეჭვოა, რომ ასეთი მდგომარეობა სწრაფად შეიცვალოს;



ილუსტრაცია ანა ტაბატაძე

სა და კომიტეტების სხდომებზე მინისტრებისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოთა ხელმძღვანელების გამოძახება და დასმულ შეკითხვებზე მათი პასუხის მოსმენა, რასაც, ჩვეულებრივ, დისკუსია მოჰყვება ხოლმე;

თუ გავითვალისწინებთ, რომ სამინისტროები და სხვა სახელმწიფო უწყებები თბილისშია განლაგებული, ადვილი წარმოსადგენია, როგორი სიხშირით მოუწევთ მათ ხელმძღვანელებს პარლამენტში სიარული, რა დრო დაიხარჯება უქმად პარლამენტში მისასვლელად და უკან დასაბრუნებლად. ცხადია, რომ სერიოზული პრობლემები შეიქმნება ურთიერთობის ოპერატიულობის თვალსაზრისითაც. აღარაფერს ვამბობ მატერიალურ დანახარჯებზე, რომელიც დასჭირდება თბილისსა და ქუთაისს შორის მგზავრობას და, საჭიროების შემთხვევაში, ქუთაისში ლამის გათევას.

ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ზემოაღნიშნული მიზეზებია, მაგრამ, გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის

ცხადია, პარლამენტს დასჭირდება სათანადო შენობა, რომელიც ალბათ რამდენიმე ასეული მილიონი დაჯდება.

აღსანიშნავია ერთი სოციალური პრობლემაც. ბევრ პარლამენტარსა და პარლამენტის თანამშრომელს ჰყავს მეუღლეები, რომლებიც მუშაობენ და არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც სწავლობენ. ცხადია, რომ პრობლემური იქნება რამდენიმე ასეული ადამიანის დასაქმება ახალ ადგილას, განსაკუთრებით, დღევანდელ პირობებში. ასევე პრობლემური შეიძლება აღმოჩნდეს სასკოლო ადგილებით უზრუნველყოფაც;

ვერ გავიხსენე ვერც ერთი ქვეყანა, გარდა ჰოლანდიისა, სადაც პარლამენტი დედაქალაქში არ იყო.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა არის ის დადებითი, რასაც მოგვცემს პარლამენტის ქუთაისში გადატანა, და გადანონის კი ეს ზემოაღნიშნულ უარყოფით შედეგებს ვეჭვობ, რომ ამ იდეის ავტორებმა შეძლონ დამაჯერებელი პასუხის გაცემა. 0



## ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა

# სოლიდარობის დრო

რატომ ვერ იპოვა საქართველომ თავისი ლეხ ვალენსა

### მაგდა ნოვაკოვსკა

გდანსკის გემთმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ჭიშკარი № 2. აქ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში პოლონელმა ხალხმა მძიმე ბრძოლები გადაიტანა და ტრიუმფული გამარჯვებები იხეიმა.

ჭიშკარზე დღესაც თეთრი დროშა კივია, წითელი წარწერით „სოლიდარნოსტ“. ჭიშკარი, რომელიც 30 წლის წინ გდანსკის ქარხნის გაფიცულ მუშებს დანარჩენი ქალაქისგან ყოფდა, საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლ ადამიანთა ერთიანობის სიმბოლოა. საბჭოთა კავშირის წგრევის პროცესიც აქედან დაიწყო.

პოლონური „სოლიდარნოსტის“ ფენომენი დღემდე განუმეორებელი აღმოჩნდა.

საქართველოში ცოტა ხნის წინ შექმნილი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ იგი „სოლიდარნოსტის“ გზას გაიმეორებს.

ამ სტატიის ავტორს – როგორც პოლონელს, რომელიც ათ წელზე მეტია, საქართველოში ცხოვრობს, გამიჩნდა სურვილი, გამეანალიზებინა, რა საერთო აქვთ „დაი-

ცავი საქართველოს“ და „სოლიდარნოსტს“ ისტორიულ, ფაქტობრივ და პოლიტიკურ კონტექსტში.

„საქართველოს სამსახურში სოლიდარულები უნდა ვიყოთ. ერთად უნდა დავიცვათ სამშობლო“, – ასე ამიხსნა ახალი ქართული ორგანიზაციის პოლონურთან მსგავსება თავად ბატონმა გაჩეჩილაძემ.

„დაიცავი საქართველო“, თვეზე ნაკლებია, რაც შეიქმნა, თუმცა, უკვე შეიძლება ითქვას, რომ ამ მოძრაობას ჩანასახშივე ბევრად მეტი პრინციპული განსხვავება აქვს „სოლიდარნოსტთან“, ვიდრე მსგავსება. „სოლიდარნოსტის“ ისტორია კეთილმოწყობილ ოფისში ოფიციალური პრეზენტაციებით არ დაწყებულა.

1980 წლის 14 აგვისტოს გდანსკის ლენინის სახელობის გემთმშენებელი ქარხნის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ისინი საკუთარ თავს იცავდნენ და ძალიან კონკრეტული მოთხოვნები ჰქონდათ: გათავისუფლებული მუშების – შემდეგლები ანა ვალენტინოვიჩისა და ელექტრიკოს ლეხ ვალენსას სამსახურში აღდგენა და თავისუფალი, დამოუკიდებელი პროფკავშირები.

შემდეგებისა და ელექტრიკოსის მიმართ მუშების სოლიდარობა მალე მთელმა ქვეყანამ აიტაცა. საყოველთაო გაფიცვებზე ითხოვდნენ იმას, რასაც კომუნისტური ხელისუფლება ხალხს შეჰპირდა და არ შეუსრულა – პურს და სამუშაოს.

- 01 მოქარაზის „ღიმილიანი საპარტოლო!!!“ პრაზანტაციის, 12 ივლისი 2009
- 02 ვროჟკაჰში „სოლიდარნოსტი“ სასამართლომ დაარსებისტირა. გაფიცულმა სუპერ პაპატი ლიღარი — ელექტრიკოსი ლეხ ვალენსა, 1980 წელი, ნოვაგარი
- 03 გათმთმთნაჰალი პარსნის ტერიტორიაზე გაფიცული მუშები. გდანსკი, 1980 წელი, ავანსტი
- 04 პარსნის ტერიტორიაზე გაფიცული მუშებისა და მათ ოჯახებს შიშპარი № 2 ჰყოფდა. გდანსკი, 1980 წელი, ავანსტი

**„ეს იყო დრო ალაჰიანის და არა პოლიტიკის... მაშინ პირველად შაჰინიან ალაჰიანი, რომელიც მანამდე არავის ახსოვდა“.**

ფოტო: 01 ინტერნაციონალი / მზის საზაზალონი

„ჩვენს მინაზე დაიწყო დინება მდინარემ, რომელმაც შეცვალა ჩვენი ქვეყნის პეიზაჟი და კლიმატი“, – აცხადებდა რიშარდ კა-პუსცინსკი, „სოლიდარნოსტის“ ერთ-ერთი წევრი.

მოძრაობას, რომელმაც შეცვალა მსო-



ფლიო, თავდაპირველად ქარხნებში შექმნილი საგაფიცო კომიტეტების ქსელი მართავდა. „სოლიდარნოსტმა“ საკუთარი წიაღიდან შექმნა ლიდერები და არა ლიდერებმა იგი. ვდანსკის გემთმშენებელი ქარხნიდან გაგდებული ელექტრიკოსი ლეხ ვალენსა, რომლის მამაც დურგალი იყო, სამ წელიწადში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდება, კიდევ შვიდი წლის შემდეგ კი – პოლონეთის მეექვსე პრეზიდენტი.

„სოლიდარნოსტის“ ფენომენი სწორედ ისაა, რომ იგი სახალხო მოძრაობა იყო თავისი მოთხოვნებით, მიზნებითა თუ ლიდერებით.

ავანეებულმა მუშებმა შეძლეს ის, რასაც ხშირად სწორედ ელიტის ფუნქციად მიიჩნევენ: პოლონური საზოგადოების ფესვებიდან წამოსული მოძრაობა ქვეყანაში სა-მოქალაქო საზოგადოებას ქმნიდა. ეს იყო საზოგადოებრივი თვითშეგნების გამოღვივების ხანა. „სოლიდარნოსტმა“ ასწავლა ხალხს ბრძოლა საკუთარი უფლებებისთვის. ამ მოძრაობამ შვა იმის იმედი, რომ ხალხს თავად შეუძლია საკუთარი ბედის განსაზღვრა აწმყოშიც და მომავალშიც.

მოგვიანებით ვალენსა „სოლიდარნოსტის“ წარმატების მთავარ ფორმულას ასე ჩამოაყალიბებს: „ეს იყო დრო ადამიანის და არა პოლიტიკის... ეს ჩვენი ყველაზე დიდი მიღწევაა... ჩვენ შევძელით ყველაზე მნიშვნელოვანი, სწორი ორიენტირი მოგვეძებნა... მაშინ პირველად შეამჩნიეს ადამიანი, რომელიც მანამდე არავის ახსოვდა. მომავალი საუკუნე არა პოლიტიკისა და იდეოლოგიის, არამედ ადამიანის საუკუნე უნდა იყოს“.

სწორედ ეს მთავარი ორიენტირი ავინყდება დღეს ყველა ძალას, რომელიც „სოლიდარნოსტის“ ფენომენის განმეორებას ცდილობს, მათ შორის – საქართველოშიც. აქ ყველაფერი პირიქით ხდება: მოძრაობებს პოლიტიკოსები ქმნიან და არა ხალხი. ხელისუფლებისთვის მეზობლი ლიდერები თავის ირგვლივ იკრებენ საზოგადოების ნაწილს, რომელსაც გარკვეული ინტერესები აქვს, და ხალხის მხარდაჭერას პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ.

ეს ხელისუფლებასა და ოპოზიციას თანაბრად ეხება, რადგან პრობლემა თავად საზოგადოებაშია, რომელსაც თვითორგანიზების უნარი არ აქვს. საქართველოში საკუთარი უფლებების დასაცავად რიგითი მოქალაქეების გაერთიანება არასოდეს მიხახავს. სოციალური პრობლემებით შენუხებულ მოქალაქეებს ისევ პოლიტიკოსები უყრიან თავს, მათ კი სულ სხვა მიზნები და პრობლემები აქვთ.

80-იანი წლების დასაწყისში პოლონელი ხალხი მზად აღმოჩნდა „სოლიდარნოსტისთვის“. მაშინ ღრმა ეკონომიკურ კრიზისში მყოფ ქვეყანას რთული დღეები ჰქონდა. ინტელექტუალები და ეკლესია, რომელიც იმ დროს ძალიან პოპულარული იყო, კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებს განიცდიდნენ, ძალოვანი სტრუქტურების აპარატი ძლიერდებოდა, პრაქტიკულად არ არსებობდა თავისუფალი პრესა. რიგითი ადამიანების ცხოვრება აუტანელი იყო, მაგრამ ეს დამთრგუნველი გამოწვევები პოლონეთში ცვლილებებისა და მოქმედების კატალიზატორი გახდა.

მმართველ რეჟიმს საფრთხე შეუქმნა სწორედ იმ კლასმა, რომელსაც კომუნისტები თავიანთ პროპაგანდაში ერის მამოძრავებელ ძალასა და დასაყრდენს უწოდებდნენ.

კომუნისტურ წარსულს უფროსი ასაკის ხალხი საქართველოში დღესაც არცთუ იშვიათად ნოსტალგიურად იხსენებს. პოლონეთში ასეთ რამეს ვერ მოისმენთ. მასხოვს 80-იან წლებში საქართველოში დეიდაჩემმა იმოგზაურა. პოლონეთში დაბრუნებული გაკვირვებული ჰყვებოდა, რომ საბჭოთა კავშირში ნახა ქვეყანა, სადაც ხალხი კარგად ცხოვრობდა. შესაძლოა, იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა დროს საქართველო სხვებთან შედარებით მდიდარი იყო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ ქვეყანას დათვრიონ სამსახური გაუწია. აქ საზოგადოება უფრო მორგებული აღმოჩნდა კომუნისტურ რეჟიმს, ვიდრე პოლონეთში.

თავდაპირველად „სოლიდარნოსტს“ პოლიტიკური მოტივები არ ამოძრავებდა. ეს დატვირთვა მან მოგვიანებით შეიძინა, როცა კომუნისტური რეჟიმის მიმართ დაუმორჩილებლობის საყოველთაო სიმბოლოდ

იქცა და მისი რიგები გაფართოვდა. გაფიცულ მუშებს პოლონელი ინტელექტუალები – კურონი, მიხნიკი, მაზოვეცი, ანჟეი ვაიდა, გერემეკი შეუერთდნენ, რომელთაც გაფიცვა მიზანმიმართულ პოლიტიკურ ოპერაციად აქციეს. ეს ათწლიანი პოლიტიკური ბრძოლა იყო რევოლუცია მოლაპარაკებების გზით, ფრონტალური კონფრონტაციის გარეშე. „სოლიდარნოსტის“ ლიდერები მუდმივად მართავდნენ დიალოგს იმდროინდელ რეჟიმთან, მაგრამ ისინი არ ვაჭრობდნენ. ეს იყო ბრძოლა დათმობებისთვის, ბრძოლა არა ხეირისთვის, არამედ იდეალებისთვის.

სწორედ ამიტომ, კომუნისტების მიერ შევიწროებული და იმ დროისთვის ძალიან პოპულარული პოლონური კათოლიკური ეკლესიისთვის იოლი გახდა მკაფიო პოლიტიკური არჩევანის გაკეთება. ის გაფიცულთა გვერდით დადგა. ამ დრამატულ მოვლენებში ეკლესიისა და წარმოშობით პოლონელი რომის პაპის იოანე პავლე II-ს როლი განსაკუთრებული იყო.

„სოლიდარობა გვიბიძგებს ბრძოლისკენ, მაგრამ ეს არასოდეს არ არის ბრძოლა სხვა ადამიანის წინააღმდეგ. ეს არის ბრძოლა ადამიანისთვის, მისი უფლებებისთვის, მისი ჭეშმარიტი პროგრესისთვის“, – თქვა 1987 წელს მმართველ პოლონეთში რომის პაპმა.

ახალი ქართული მოძრაობა, განსხვავებით „სოლიდარნოსტისგან“, კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების პოპულარულ წარმომადგენლებს ეყრდნობა. მართალია, ამ ორგანიზაციაში ყველა მსურველს ეპატიჟებიან, მაგრამ მოძრაობის ბირთვი უკვე შექმნილია და ტონი განსაზღვრული. ეს არ არის მხოლოდ ამ ახალი მოძრაობის ტაქტიკა. საქართველოში ყველა ძალა ცდილობს, საკუთარ რიგებში ინტელიგენციის წარმომადგენლები მიიწვიოს და ყოველთვის პოულობს მათ, რადგან, შემდგომელებისა და ელექტრიკოსებისგან განსხვავებით, პოლიტიკოსებთან შეკედლება მათ ელიტაში მოხვედრის შანსს აძლევს. ხელისუფლების ყოველ ცვლილებასთან ერთად მიდის მცირე პრივილეგიებული კასტაც, რომლის ადგილს გამარჯვებულ ძალასთან დაახლოებული წრე იკავებს.

1995 წელს პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ არჩევნები წააგო და პოსტი ალექსანდრ კვასნევსკის დაუთმო. იგი სახლში დაბრუნდა და ვდანსკის გემთმშენებელ ქარხანაში, თავის ძველ სამუშაო ადგილზე ელექტრიკოსად მოეწყო, რა თქმა უნდა – სიმბოლურად. მაგრამ ეს სიმბოლოზმი ასახავს „სოლიდარნოსტის“ იდეალისტურ ფილოსოფიას, რომელმაც იმდენად შეცვალა პოლონეთი, რომ თავად ლეხ ვალენსასაც კი არ დაუტოვა პრივილეგიები. ■



ეკა ტყეშელაშვილი უიზიროების საპოსტო მდივანი

# შემაკავებელი ფაქტორი

## შორანა შავერლაშვილი

**ლიბერალი** ქალბატონი ეკა, კონკრეტულად რას გულისხმობს ევროკავშირის და აშშ-ს მიერ „კონფლიქტის ერთობლივი მონიტორინგის“ ინიციატივა?

საუბარი არ არის ახალი მისიის შექმნაზე. ჩვენ გვაქვს მონიტორინგის ერთი მექანიზმი – ევროკავშირის. მისი მანდატი ომის შემდეგ განისაზღვრა. მისიის პირველადი ამოცანა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების მონიტორინგი იყო.

მანდატი განისაზღვრა ისე, რომ მისიის წევრებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჰქონოდათ მონიტორინგის უფლება, მათ შორის – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ რუსეთი ამ მისიას არ აძლევს საშუალებას, ფეხი შეადგას რომელიმე ამ რეგიონში. ამიტომ ტერიტორიული თვალსაზრისით, ძალიან შეზღუდულია მათი შესაძლებლობები.

თუ ეს ფორმატი გაფართოვდებოდა და მოქნილი გახდებოდა, საერთაშორისო თანამეგობრობას შეეძლებოდა რუსეთისთვის ეთქვა, – დიახ, თქვენ დაბლოკეთ და ბოლო მოუღეთ ორ მისიას საქართველოში, რადგან ვეტოს უფლება გქონდათ, მაგრამ მაინც გვაქვს საშუალება, რომ საქართველოში დავრჩეთ. გარდა ამისა, ეს გააძლიერებდა იმ პოლიტიკურ გზავნილსაც, რაც რუსეთს ისედაც ძალიან მკაფიოდ მიუვიდა, მათ შორის, მოსკოვში ობამას ვიზიტის დროს; ანუ მთელი მსოფლიო და ამერიკის შეერთებული შტატებიც დაინტერესებულია, რომ საქართველოში მშვიდობა იყოს და არავინ შეეგუება იმ ვითარებას, რომ ეს ტერიტორიები დამოუკიდებელ ერთეულებად იყოს აღიარებული.

ამიტომ, ევროკავშირის ამ მისიის გაძლიერება მნიშვნელოვანია პოლიტიკური პრევენციის თვალსაზრისით, თორემ ეს არ ნიშნავს, რომ თუ ჯარი

ნამოვიდა, მას სამოქალაქო დამკვირვებელი შეაჩერებს.

**ლიბერალი** ეს ქართული მხარის იდეა იყო?

ჩვენი იდეა იყო, მაგრამ ეს შეეთავაზებოდა არა მარტო აშშ-ს, არამედ ამაზე საუბარი ევროკავშირთან დავინწყეთ. ბუნებრივია, აშშ-ს მონაწილეობა რაიმე ფორმით ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ამ მისიაში, მაგრამ ეს არაა მხოლოდ აშშ-ზე მორგებული წინადადება. სხვა ქვეყნებსაც, ვისაც სურვილი და ინტერესი გაუჩნდება, შეეძლება მონაწილეობა მიიღონ კონფლიქტის მონიტორინგში. ეს კიდევ უფრო უკეთესი იქნება. თუმცა, ძალიან ბევრი ქვეყნის მონაწილეობას რთული მენეჯმენტი სჭირდება. ამიტომ ევროკავშირს ალბათ ურჩევნია, რომ რამდენიმე სახელმწიფო იყოს. მე ასე მგონია, და სიგნალებიც ასეთია.

**ლიბერალი** კონკრეტულად რა იგულისხმება მისიის გაძლიერებაში?

მაგალითად, ძალიან საინტერესო იქნებოდა, თუ მისიისთვის ადგილი ხელმისაწვდომი გახდება სატელიტური სურათები. მათ არ შეუძლიათ ფიზიკურად შევიდნენ ამ რეგიონებში, მაგრამ აქვთ საშუალება, სატელიტების მეშვეობით მუდმივად დააკვირდნენ დინამიკას, სამხედრო ვითარების თვალსაზრისით მაინც. ანუ ასეთი დეტალებს ვგულისხმობთ და არა იარაღის მიწოდებას. სხვადასხვა აღჭურვილობით გამყარება გაცილებით უფრო ქმედითს გახდოდა მისიას ამ კუთხით.

ეს წინადადება ჯერ საწყის ეტაპზეა, კონსულტაციების დონეზე. ეს, ზოგადად, მარტივად მისაღწევი რამ არ არის. გარდა პოლიტიკური გადაწყვეტილებისა, ძალიან ბევრი ტექნიკური

ხასიათის დეტალია. როდესაც 27 წევრისგან შემდგარ ორგანიზაციას, ანუ ევროკავშირსა და მის მისიას ეხება საქმე, ბიუროკრატიულ ელემენტებსაც შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება. მაგალითად, როგორი იქნება მმართველობის სისტემა, შევლენ თუ არა მისიაში სხვა ქვეყნები, დაექვემდებარებიან ევროკავშირის მმართველობის სისტემას, თუ თავიანთ სისტემას შექმნიან. ამიტომ გადაწყვეტილებები ასეთი ტიპის თანამშრომლობაზე ადვილად არ მიიღება ხოლმე.

**ლიბერალი** თუ ისაუბრებთ ამ თემაზე ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენტან?

ბაიდენტან ეს საკითხი განვიხილეთ. ბუნებრივია, არანაირი მოლოდინი არ გვქონდა, რომ მას ახლა ეთქვა პასუხი, – დიახ, მივიღებთ მონაწილეობას. ჯერ ევროკავშირმა უნდა დაპატიჟოს აშშ, რომ მერე მან საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს. ამერიკელებისთვის იდეა არ არის არაგონივრული ან ცუდი, მაგრამ ახლა ყველასთან ძალიან მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო, რომ შემოდგომისთვის საბოლოო გადაწყვეტილებამდე მივიდნენ.

**ლიბერალი** თუ შეიძლება იმ ვადების დაზუსტება, რა ვადებშიც საბოლოოდ გაირკვევა გადაწყვეტილება?

ალბათ ამ წლის დასასრულამდე იქნებოდა ოპტიმისტური გათვლა. ახლა საბოლოო გადაწყვეტილება ევროკავშირმა უნდა მიიღოს – პირველ რიგში, უგრძობლებს თუ არა მისიას ვადას. კონსულტაციები შემოდგომის დასაწყისიდან გააქტიურდება და ალბათ წლის ბოლომდე რაიმეს გადაწყვეტენ.

**ლიბერალი** ხომ არ არის ეს იდეა ძალიან პროვოკაციული რუსეთისთვის? უკვე

**გავრცელდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ძალიან მკვეთრი, მუქარის შემცველი განცხადება.**

რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ პოლიტიკურად ძალიან ძვირი დაუფუძდება, თუ ის რამეს მოიმოქმედებს. ესაა ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი, თორემ ისეთი არტილერია უდგათ ახალგორში, რომ დედაქალაქს იქიდანაც მისწვდებიან. სამხედრო-ტაქტიკური თვალსაზრისით, ეს სირთულეს არ წარმოადგენს.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ რუსებმა ამერიკელებისგან ზუსტი სიგნალი მიიღეს. ისინი ამერიკისგან წერილობით გარანტიებს ელოდნენ, რომ ვაშინგტონი უარს იტყოდა საქართველოს ნატო-ში განევრიანებაზე. იმედი ჰქონდათ, რომ საქართველო ვაჭრობის საგანი გახდებოდა. ბაიდენის ვიზიტი კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ეს მცდარი გათვლა იყო. შეხვედრაზეც რუსეთს პირდაპირ უთხრეს, რომ მოვლენების აგრესიული განვითარება მისთვის ძალიან ნეგატიური შედეგებით დამთავრდებოდა. იმედი მაქვს, ეს ზუსტად გაიგეს. როგორც წესი, ზუსტი გამონათქვამები უფრო ესმით ხოლმე.

**ლიბერალი აქვს თუ არა მინუსები ამერიკელების ჩართვას მონიტორინგის პროცესში?**

კონცეპტუალურად არასწორი მიდგომაა, თითქოს ნებისმიერი პრობლემა რუსეთთან იმიტომ გვაქვს, რომ ის რალაციტ გავალიზიანეთ. რუსეთისთვის ფუნდამენტური პრობლემა საქართველოს დამოუკიდებლობაა. ერთადერთი გარანტია, რომ დამოუკიდებლობის შენარჩუნება მოვახერხოთ, ისაა, რომ რუსეთთან მარტო არ უნდა დავრჩეთ. თუ რუსეთთან მარტო აღმოვჩნდებით, შანსი ფაქტობრივად აღარ დავგრჩება. ამიტომ ევროკავშირის და ამერიკის ნებისმიერი სახით შემოსვლა მნიშვნელოვანია. რუსეთის პროპაგანდის ნაწილია ის, რომ მათ არაფერი აქვთ ევროკავშირის სანინალმდეგო და მხოლოდ ამერიკასთან აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები. როგორც კი ევროკავშირი გააქტიურდა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში პოლიტიკური დაახლოების პროცესი უჩვეულოდ სწრაფად წავიდა, ბრიუსელში ლავროვმა პირდაპირ განაცხადა, – ეს რას ნიშნავს, გავლენის სფეროები გინდათ ჩვენთან რეკონშიო? მე პირადად ვესწრებოდი

ამ შეხვედრას. ანუ მარტო ნატო კი არ არის რუსეთისთვის პრობლემა, ევროკავშირიც პრობლემა იქნება. აქამდე ევროკავშირზე იმიტომ არ ლაპარაკობდნენ, რომ ეგონათ, ევროკავშირი საქართველოსკენ არც კი გამოიხედავდა. ასე თუ ვიფიქრეთ, – ოღონდ რუსეთი არ გაბრაზდეს და არც ევროკავშირში გვინდა, არც ნატო-ში, მარტო ვიქნები და კომფორტულად; თუ გაბრაზდება, თავს დავეუხრი, ცოტა ჩამარტყამს, ვუმღერებ, ვუცეკვებ, რომ კარგ ხასიათზე იყოს... მე არ მინდა ასეთ ქვეყანაში ცხოვრება.

**ლიბერალი დღეს ხშირად ავლებენ პარალელებს გასული წლის აგვისტოსთან. შედარებითი ანალიზი თუ შეგვიძლია გავაკეთოთ – რა ფაქტორები არსებობდა შარშან, რამაც ომამდე მიგვიყვანა და არის თუ არა ეს ფაქტორები წელს?**

დღეს ყველას ძალიან უჭირს, ენდოს რუსეთს. უკვე იციან, რუსეთი უნდა აიძულონ, გაიგოს, რომ ჩართულობა უფრო მომგებიანია, ვიდრე საერთაშორისო თანამეგობრობასთან დაპირისპირება. რუსეთთან ურთიერთობის აწყობასაც ამ კონტექსტში ცდილობენ – ისეთი სტიმული გაუჩინონ, რომ დარწმუნდეს, ჩართულობა მისთვის ცუდი არ არის და ამით მეტი სარგებელი შეიძლება ნახოს. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. დანარჩენი სპეკულაციის საგანია. სამხედრო თვალსაზრისით, ახლა უფრო მომგებიან ვითარებაშია რუსეთი, ვიდრე შარშან.

**ლიბერალი კონკრეტულად რა იგულისხმება, როდესაც რუსები იმუქრებიან, რომ არ დაუმევენ საქართველოს ხელშეორედ შეიარაღებას?**

რუსეთი, დიდი ხანია, ამბობს, რომ შემოიღებს სანქციებს იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც საქართველოს იარაღს მიჰყიდნიან. ვაჭრობის ეს სფერო ძალიან ტრანსპარენტულია. საქართველოს შავ ბაზარზე და მალულად არასოდეს არაფერი შეუძენია. არიან სპეციალური ორგანოები, რომლებიც იარაღის შესყიდვების მონიტორინგს ახორციელებენ. ეს ისეთი სფეროა, სადაც არაფერი იმალება. ეს არ არის საზოგადოებისთვის ცნობილი ინფორმაცია, მაგრამ მათთვის, ვინც ამ სფეროს აკონტროლებს, ყველაფერი ცხადია. ამ მხრივ საქართველო ყოველთვის ძალიან გამჭვირვალედ

ანარმოვბდა თავის საქმიანობას. რაზე აკეთებს გათვლას რუსეთი? მოახდინოს ზენოლა ნებისმიერი სახელმწიფოს კომპანიაზე, რომ ჩვენთან ვაჭრობა ვერ შეძლოს. პოლიტიკური თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს არ მოხდეს. ეს, არა სამხედრო, მაგრამ სხვა გზებით ისევე სუვერენული სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევის ტოლფასია, იმიტომ, რომ იარაღის შესყიდვა აბსოლუტური სუვერენული უფლებაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის; უფლება კი არა ვალდებულებაა, რომ საკუთარი თავდაცვისუნარიანობა უზრუნველყოს.

**ლიბერალი ანუ საქართველოს შეიარაღების განახლების თემა მაინც დგას დღის წესრიგში?**

დიახ, ბუნებრივია. ჩვენ არ ვთვლით, რომ აი, ახლა, ერთ დღეში თუ აბსოლუტურად არ აღვიჭურვით, დავიღუპებით და აღარაფერი გვეშველება. ჩვენი მიზანია, რომ შეიარაღება, რომელიც შეიძლება მომავალში გვექონდეს, უფრო თანამედროვე იყოს, რათა რომელიმე მტერმა სახელმწიფოს მოსაპოვა ან სრული ანექსია სწრაფად, თვალის დახამხამებაში ვერ შეძლოს; თუ მასშტაბურ მტერზე გვაქვს საუბარი და არა ასიმეტრიულ, ტერორისტულ მტერზე. დღეს სხვა ფაქტორებით ხდება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა. ახლა თავდაცვის სამინისტრო ინფრასტრუქტურის შეცვლას ცდილობს. როგორც მომავალმა წევრმა სახელმწიფომ, ნატო-ს სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის თანამედროვე აღჭურვილობა აუცილებლად უნდა შევიძინოთ. თავდაცვის სამინისტროს პერსონალმაც ზუსტად უნდა იცოდეს, სხვადასხვა ვითარებაში როგორ გამოიყენოს ეს თანამედროვე აღჭურვილობა. ამიტომ ძალიან კონცეპტუალურად ვუდგებით ამ საკითხს. ცდილობთ, ზუსტად შევაფასოთ, თუ რა გვეჭირდება და რატომ. მაგრამ დღეს ეს არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. დღეს მთავარია, ჩვენი უსაფრთხოების სფერო ისე განვითარდეს, რომ აბსოლუტურად შეესაბამებოდეს ნატო-ს კრიტერიუმებს. ■



**ქართული და რუსული ეკლესიების დიალოგი**  
**სიყვარულ-სიძულვილის**  
**ურთიერთობა**

ნათია გულიაშვილი

ერთმორწმუნეობის მითი ხელს უშლის ქართულ-რუსული მართლმადიდებელი ეკლესიების კავშირის გაანალიზების საშუალებას.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც ქვეყნებს შორის ფაქტობრივად ყველანაირი კავშირი განყდა, ეკლესია აღმოჩნდა ერთადერთი, რომელმაც ამ ურთიერთობის აღდგენა სცადა.

პირველი მოლაპარაკების მთავარი თემა, იმ ფონზე, როცა რუსეთმა აფხა-

ფოტო REUTERS / სერგეი აპარუშინი





■ რუსეთის ბაზალი პატრიარქის კირილს ინტერვიუა ცნობა, მოსკოვი, 1 თებერვალი 2009

ზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიარა, ამ რეგიონების ეკლესიების საქართველოს ეპარქიის შემადგენლობაში დატოვება გახდა. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დელეგაცია ამ მიზნით მოსკოვში ომიდან სამი თვის შემდეგ ჩავიდა.

ერთ თვეში კი რუსეთის პატრიარქის დაკრძალვის ცერემონიაზე დასწრების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე პრეზიდენტ მედვედევსაც ხე-

დება. „მოსკოვი მომხრეა, დააბრუნოს დევნილები კონფლიქტურ რეგიონებში და აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა. ეს „ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს“, – განაცხადა მოსკოვიდან დაბრუნებულმა პატრიარქმა.

იმ დროს, როდესაც ქართულ-რუსული საეკლესიო მოლაპარაკებების მთავარი თემა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია, რუსეთის ახლად არჩეული პა-

ტრიარქი კირილ პირველი მილოცვის საპასუხო წერილში აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერს სერგეი ბალაფშს „აფხაზეთის პრეზიდენტად“ მოიხსენიებს. ანალოგიურად მიმართავს ის ედუარდ კოკოითსაც.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის საპატრიარქო აღიარებს ქართული ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციას საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში. აფხაზეთსა და ოსეთში ქართულ ეკლესიებში ქართველი მღვდელმსახურების დაბრუნებაზე ჩვენი ყველა ვიზიტის დროს იყო საუბარი, თუმცა რაიმე კონკრეტული შეთანხმება არ არის“, – ამბობს ზურაბ აბაშიძე, საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში, რომელიც საეკლესიო დელეგაციების ყველა შეხვედრას ესწრება, მათ შორის უკანასკნელ ვიზიტს, როდესაც ქართული დელეგაცია რუსეთის პატრიარქს და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, გრიგორი კარასინს შეხვდა.

საეკლესიო დელეგაციათა საუბრები ამ თემაზე ფიქტიურ სახეს იღებს. რეგიონებიდან ქართველი სასულიერო პირები დღემდე განდევნილები არიან. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მართლმადიდებლურ ეპარქიებს რუსეთის საპატრიარქოს კურატორები მართავენ. ცხინვალის რეგიონის კურატორი სტავროპოლისა და ვლადიკავკაზის არქიეპისკოპოსი თეოფანე აშურკოვია. 19 ივლისს მან სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთ დედათა მონასტერში მასობრივი ნათლობა ჩაატარა, სადაც, ოფიციალური ინფორმაციით, 1200-მდე ადამიანი მოინათლა.

აფხაზეთის და ცხინვალის ეპარქიების დამოუკიდებლობის არაღიარება მოსკოვისთვის იმის ერთგვარი გარანტიაა, რომ საქართველოს საპატრიარქო, ამის სანაცვლოდ, უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებისგან კვლავაც თავს შეიკავებს. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთი ნაწილი, დიდი ხანია, ავტოკეფალიას აცხადებს, რომლის აღიარებაც რუსეთის წინააღმდეგობის გამო რთულდება.

„რუსეთს არ სურს, ასეთი ნაბიჯი იძულებით გადაადგმევინოს საქართველოს პატრიარქს. თუკი, ვთქვათ, მას გააღიზიანებს აფხაზეთის და ოსეთის თემით (ფორმალურად, თორემ არაფორმალურად იქ ისედაც ყველაფერი მონესრიგებულია რუსეთის სასარგებლოდ), მაშინ ეს ისევ პატრიარქს ჩააყენებს უხერხულ მდგომარეობაში. მას მოუნებს უკრაინის ეკლესიის დამოუკი-

დებლობის აღიარება, რუსეთთან ურთიერთობების განწყვეტა ან პროტესტის გამოხატვა“, – ამბობს ბექა მინდიაშვილი. მისი აზრით, რუსეთის ეკლესიის თანამოაზრობას „ერთმორწმუნე საქართველოსთან“ მხოლოდ პრაგმატული საფუძველი აქვს.

პუტინის რუსეთში ხელისუფლების მიერ მართლმადიდებლობის ლეგიტიმაცია და განსაკუთრებული როლის მინიჭება გეოპოლიტიკურ მიზნებს უკავშირდება. რუსეთისა და ევრაზიის ისტორიის სპეციალისტი, იგორ ტორბაკოვი ამის საფუძველს მე-19 საუკუნის რუსულ კონსერვატივში ხედავს, რომლის ლოზუნგაც იყო – „პრავოსლავიე, სამოდერუჟავიე, ნაროდნოსტ – მართლმადიდებლობა, ავტოკრატია, ნაციონალიზმი“.

რუსული ეკლესიის და სახელმწიფოს „ინტერესების ჰარმონიულ შეთავსებასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე“ პატრიარქმა კირილმა ინტრონიზაციიდან ერთ დღეში კრემლში, მის პატივსაცემად გამართულ მიღებაზე ისაუბრა: „ეს რთული გამოცდილებაა, მისი წყარო – ბიზანტიამია, სადაც ეკლესიისა და სახელმწიფოს საუკეთესო მოაზროვნეები ეკლესიურ-სახელმწიფოებრივ ურთიერთობის მოდელზე მუშაობდნენ. ისინი მაშინ ამ მოდელის

აღსაწერად იყენებდნენ შესანიშნავ სიტყვას „სიმფონია“. სწორედ სიმფონია განსაზღვრავს ჰარმონიულ შეთანხმებას, ინტერესებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას“.

სტატიაში „პუტინი მართავს როგორც რუსულ სახელმწიფოს, ასევე რუსულ ეკლესიას“ ჟურნალი „ფორბსი“ წერდა: „საბჭოთა არქივების თანახმად, კირილი კგბ-ს აგენტი იყო, ისევე, როგორც ალექსეი მეორე – რაც იმას ნიშნავს, რომ ის ორგანიზაციის აქტიური ოფიცერი იყო და არა უბრალო ინფორმატორი, როგორც მილიონობით ადამიანი საბჭოთა კავშირში“.

კგბ-ს მასალებმა ესტონურ არქივში (ყოფილი პატრიარქი ალექსეი ესტონეთშია დაბადებული) ეჭვი არ დატოვა მის კავშირზე ამ ორგანიზაციასთან. არქივის თანახმად, მისი რეკრუტირება 1958 წლის 28 თებერვალს მოხდა. ორგანიზაციის წესების თანახმად, მან კოდური სახელი „დროზდოვი“ მიიღო.

კგბ-ს სამსახურთან სასულიერო პირების თანამშრომლობის შემთხვევების გამოძიების მიზნით, 1992 წელს რუსეთის დუმამი პარლამენტის სპეციალური კომიტეტი შეიქმნა. მაშინ დისიდენტმა მღვდელმა, გლეხ იაკუნინმა კგბ-ს არქივებში აღმოაჩინა, რომ პატრიარქი კირილი, კოდური სახელით „მიხაილოვი“, კგბ-ს აგენტი იყო. 1970 წლიდან საზღვარგარეთ გასასვლელად საჭირო განსაკუთრებული ვიზიტებისთვის მას საგანგებო პასპორტსაც აძლევდნენ.

„დავალტა ნომერი ერთი – ქვეყანაში სრული ძალაუფლების ხელში აღება შესრულებულია“, – ისუშრა კგბ-ს ოფიცერმა, ვლადიმირ პუტინმა, „ჩეკისტის დღეს“, როდესაც იგი პრეზიდენტობიდან მოკლე ხანში, კგბ-ს ყოფილ შტაბბინაში, ლუბიანკაზე მივიდა. დღევანდელ რუსეთში ეს სიტყვები, შესაძლოა, უფრო მეტს ნიშნავდეს, ვიდრე უბრალოდ ხუმრობას.

რუსეთის და დასავლეთის ლიბერალურ წრეებში ჯერ კიდევ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლამდე დაიწყო დისკუსია თემაზე, თუ როგორ ანაცვლებს პოსტსაბჭოთა რუსეთში მართლმადიდებლობა კგბ-ს იდეოლოგიას. ამ დისკუსიას დღემდე აღვივებს ის ფაქტი, რომ რუსეთში უშიშროების სამსახურთან თანამშრომლობის მონაწილეობა არ მომხდარა; იმ დროს, როდესაც 90-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს სასულიერო პირების აღიარებების და ლუსტრაციის ტალღამ გადაუარა.

ეს საკითხი საქართველოშიც დაისვა 1995 წელს ეკლესიის ოფიციალურ კრებაზე. ექსპერტი რელიგიის საკითხებში, ნუგზარ პაპუაშვილი, რომელიც ამ შეხვედრის ჩანაწერს იხსენებს, ამბობს, რომ პატრიარქის განცხადებით, – საბჭოთა კავშირის ეპოქაში შეუძლებელი იყო საზღვარგარეთ გასვლა კგბ-სთან თანამშრომლობაზე ფორმალური ხელის მოწერის გარეშე, და ახლა ამას აღარ უნდა მივაქციოთ ყურადღება.

რამდენადაც იოლია დღეს საზოგადოებისთვის რუსული და ქართული ეკლესიების ერთმორწმუნეობაზე საუბარი, იმდენად რთულია ამ ეკლესიების სხვა კავშირების დადასტურება.

მაშინ, როცა დღეს საქართველოში ხელისუფლების მთავარი ექვემდებარება დასავლეთთან ინტეგრაციისკენაა მიმართული, ეკლესია საპირისპირო გზით მიდის, რაც საქართველოშიც აყალიბებს თანამედროვე რუსეთის მსგავსი რელიგიური ნაციონალიზმის იდეოლოგიას.

„არაერთხელ უთქვამთ, რომ ნაციონალიზმი – ჩოხებით სიარული და სუფრის კულტურის აღდგენა, ეს უშუალოდ პატრიარქის ქადაგებებში წერია – გლობალიზაციასთან დაპირისპირების კარგი შესაძლებლობაა. ქართული ეკლესია გლობალიზაციას მთავარ იდეოლოგიურ საფრთხედ განიხილავს. ასეთი ანტიგლობალისტური განწყობა მართლმადიდებელ ეკლესიაში, რა თქმა უნდა, რუსეთის ნისქველზე ასხამს წყალს. რუსეთი განუწყვეტლივ ლაპარაკობს მრავალპოლუსიან, ფრაგმენტირებულ სამყაროზე, სადაც მას თავის გავლენის გაფართოების შესაძლებლობა ექნება. შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიის როლიც გამომკვეთილია იმ მხრივ, რომ რუსეთი მსაქართველოში სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს“, – ამბობს ბექა მინდიაშვილი

„საქართველოსთვის რუსეთი დღეს სიყვარულ-სიძულვილის ურთიერთობაა, – ამბობს ქართველი თეოლოგი, ყენევაში მცხოვრები თამარა გრძელიძე NYTimes-თან ინტერვიუში, – უკანასკნელმა კონფლიქტმა ორივე მხარეს ამბივალენტური მოგონებები გამოიწვია. ჩვენმა პატრიარქმა განათლება რუსეთში მიიღო, ეს არის საუკეთესო, რაც მან იცის და ამას ძალიან აფასებს. როდესაც რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა მე-19 საუკუნის დასაწყისში, ამან გააუქმა მეფის ინსტიტუტი საქართველოში, გააუქმა პატრიარქის ინსტიტუტი 1811 წელს და გამოიწვია ქართული ენის განდევნა ყველა სფეროდან, მათ შორის – ეკლესიიდანაც“.

**რუსეთის ნაციონალური იდეა**

2009 წლის 8 ივლისს, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ სახელმწიფო დუმის პირველმა ვიცე-სპიკერმა განაცხადა, რომ პარტია „ედინაია როსია“ და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია თანხმდებიან საერთო ღირებულებებზე. ამდენად, პარტია საჭიროდ მიიჩნევს, ეკლესია ჩაერთოს კანონპროექტებზე მუშაობაში. მოროზოვმა განაცხადა, რომ „ნაციონალური იდეა უნდა გახდეს რუსეთის, როგორც უდიდესი სახელმწიფოს, ხელახალი დაბადების, მისი ისტორიული წარმატების იდეა“.

ამერიიდან რუსულ ეკლესიას ექნება შესაძლებლობა, გადახედოს და განიხილოს ყველა კანონპროექტი, რასაც სახელმწიფო დუმა წარადგენს.

გარდა ამისა, პატრიარქმა მოითხოვა, გადახედოს იმ დოკუმენტებს, რომლებიც ეხება სკოლებში სექსუალური განათლებისა და იუვენალურ იურისდიქციის საკითხებს.



ფოტო: REUTERS

ღიმიტრი მედვედევი, ვლადიმირ პუტინი და რუსეთის პატრიარქი კირილი, მოსკოვი, იანვარი 2009

„განსაკუთრებით აღვნიშნავდი ჩვენი ერების სულიერი ერთობის გაძლიერების მნიშვნელობას, ახლო კავშირებს რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის“.

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი  
2009 წლის 3 თებერვალი

„ნუ ავფრევთ ცნებებს. ამბობენ, რომ მოხდა პატარა გაუგებრობა, მაგრამ ჩვენ ხომ ყველანი ერთმორწმუნეები ვართ. რა თქმა უნდა, გვინდა, რომ ჩვენი ხალხები იყვნენ ახლოს, გვინდა მტრობა გაქრეს, მაგრამ მტრობა გაქრება არა ერთმორწმუნეობაზე უაზრო ლაპარაკით, როცა ჩვენი ეკლესიები ინგრევა აფხაზეთში, არა კულტურათა დიალოგზე ლაპარაკით, როდესაც 50000 ლტოლვილი ვერ ბრუნდება სახლში“.

მიხეილ სააკაშვილი  
2009 წლის 20 ივლისი, გამოსვლა პარლამენტში

„თვითონ რუსეთთან ურთიერთობის რესურსი, რომელსაც ჰქვია ერთმორწმუნეობა და რუსეთის ეკლესიისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობა, ეს ერთადერთი პოზიტიური რესურსი, ესეც კი ნეგატიურად იქნა წარმოჩენილი“.

გიორგი თარგამაძე  
2009 წლის 20 ივლისი, გამოსვლა პარლამენტში

## რამდენადას იოლია დღეს საზოგადოებისთვის რუსული და ქართული ეკლესიების ერთმორწმუნეობაზე საუბარი, იმდენად რთულია ამ ეკლესიების სხვა კავშირების დადასტურება.

საქართველოსა და რუსეთის „სიყვარულ-სიძულვილის“ ურთიერთობის ძალა საპატრიარქოს ბეჭდურ გამოცემებშიც იგრძნობა. 2008 წლის სექტემბრის ნომერში, აგვისტოს ომიდან ერთი თვის შემდეგ საპატრიარქოს გამოცემა „ქვაკუთხედის“ რედაქტორი საავტორო სვეტში წერს: „უფალმა არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვა საქართველოს ზედმეტი დაახლოება დასავლეთის ქვეყნებთან, მაგრამ აკურთხა მისი რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? იქნებ ის, რომ მთელი თავისი ამბიციურობისდა მიუხედავად, რუსეთი მაინც თავისი მადლის მატარებელი მართლმადიდებელი ქვეყანაა, რომელსაც ზურგს უმაგრებს უდიდეს წმინდანთა ზეციური ლოცვა-კურთხევა?! ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ისტორიული ჩარხი კიდევ ერთხელ, თითქოს უალტერნატივოდ შემობრუნდა დასავლეთისაკენ და სულ მაინტერესებდა, ახლა კი დაუშვებდა ღვთის განგებულება დასავლეთ-

თან უმჭიდროვეს ინტეგრაციას?! იქნებ საქართველოში აქა-იქ აღმოცენებული რუსული ბლოკ-პოსტები სწორედ ის მარწმუნეობა, რომელნიც ზეციდან დაეშვა დაუძლეველ ბარიკადებად ამ ინტეგრაციის გზაზე?!“  
რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის უკანასკნელი ვიზიტი საქართველოში კოსტრომისა და გალიჩის ეპარქიის არქიეპისკოპოს ალექსანდრეს ხელმძღვანელობით შედგა. ოფიციალური ინფორმაციით, სტუმრები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს შეხვდნენ, ესტუმრნენ „ბორჯომის“ ჩამომსხმელ ქარხნებს და ლიკანის რომანოვების სასახლეს. დელეგაციის მასპინძელი, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა) იყო. ოფიციალური ინფორმაციით, ვიზიტის მიზანი კოსტრომისა და გალიჩის და ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიებს შორის ურთიერთობების გაღრმავებაა.  
„თითქოს ეს პილიგრიმული დელეგაციაა. სინამდვილეში რუსეთის დელეგა-

ციის ხელმძღვანელი საპატრიარქოს მაღალჩინოსანია. ის მთელი ფედერაციის მასშტაბით მართავს მართლმადიდებლურ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს. ნიშანდობლივია, რომ მისი მასპინძელია ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსი სერაფიმე ჯოჯუა, ცნობილი პრორუსი, ვიარესლავ კოვალენკოს დიდი მაკურთხეველი და მეგობარი, რომელიც თავის ქადაგებებშიც კი ამბობს, რომ მეორედ მოსვლისას მარტო რუსეთი გადარჩება“, – აცხადებს ბასილ კობახიძე.  
იმის გამო, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დღემდე ერთერთ ყველაზე დახურულ სისტემად რჩება, საზოგადოებისთვის დაფარულია მის შიგნით მიმდინარე ტენდენციებიც. მიუხედავად ამისა, ის ყველაზე გავლენიანი ინსტიტუციაა და ამიტომ არავინ აანალიზებს, თუ რაზე დაფუძნებული რუსული და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიების კავშირი. □



კერძო საკუთრების უფლება

## უკანონო ბრძანება

ლტოლვილთა და ბანსახლების სამინისტრომ, მინისტრის 2008 წლის 26-ე ბრძანების საფუძველზე, კერძო პირების მიერ შექმნილ ფართში დევნილები შეასახლა. მოგვინებთ ბაირობა, რომ კობა სუბელიანის ბრძანება უკანონო იყო ბიორგი მგელაძე, „სტუდია მონიტორი“

ისტორია 2008 წლის 31 იანვარს დაიწყო: ჟანა უსტარაშვილმა, ნანა ცხვარიაშვილმა, ზურაბ დიასამიძემ, ირმა ბურჭულაძემ, რუსუდან მინდიკაურმა, ნაირა ჯავახიშვილმა და დავით ჯაბიძემ ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამართულ აუქციონზე თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კალაუზნის ქუჩის №6-ში მდებარე სამსართულიანი შენობის პირველი სართული შეიძინეს. ფართში, სადაც ბოლოს აფხაზეთის სასამართლო იყო განთავსებული, 7 ადამიანისგან შემდგარმა ჯგუფმა 170 ათასი ამერიკული დოლარი გადაიხადა.

„სანციის ფასი 100 ათასი დოლარიდან 170 ათას დოლარამდე ავიდა. ეკონომიკის სამინისტრომ თანხის სრულად გადახდისთვის 1-თვიანი ვადა მოგვცა, ჩვენ „პრო-კრედიტ ბანკიდან“ 10-წლიანი სესხი ავიღეთ – 150 ათასი დოლარი, რომელიც ბანკმა 27 თებერვალს თავადვე გადარიცხა ეკონომიკის სამინისტროს ანგარიშზე“, – აცხადებს ერთ-ერთი მესაკუთრე ჟანა უსტარაშვილი.

თანხის გადარიცხვიდან 1 კვირაში მესაკუთრეებმა შექმნილ ფართში უცხო პირები შეამჩნიეს. გაირკვა, რომ მათი ფართი დევნილებს ჰქონდათ დაკავებული. „როცა შენობას ვყიდულობდით, იქ დევნილები არ ცხოვრობდნენ, მოგვიანებით ეკონომიკის სამინისტრომ სასამართლოზე წარმოადგი-

ნა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, აუქციონზე გატანისას ეს ფართი თავისუფალი იყო. რაც ჩვენს საკუთრებაში დევნილები ვნახეთ, იმავე დღეს, 7 მარტს დევნილთა სამინისტროში შევხვდით მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს, ბესარიონ წერეთლის, რომელსაც ვაცნობეთ, რომ ჩვენ მიერ 1 თვის წინ აუქციონზე შექმნილ ფართში დევნილები იყვნენ შეჭრილები. ბესარიონ წერეთლიანმა გვითხრა, – ეს ხალხი ჩვენ არ შეგვისახლებია, უკანონოდ შევიდნენ და ერთ კვირაში გამოვეყვანითო. გახარებულეები გამოვედით, მაგრამ არ ვენდეთ საჯარო მოხელის სიტყვას და მინისტრის სახელზე წერილიც დავტოვეთ. კობა სუბელიანისგან ვითხოვდით, რომ ჩვენს კერძო საკუთრებაში არ მომხდარიყო ე.წ. დამისამართება ანუ უკანონოდ შეჭრილი დევნილებისთვის იქ ცხოვრების უფლება არ დაეკანონებინათ“, – აცხადებს ერთ-ერთი მესაკუთრე ზურაბ დიასამიძე.

ლტოლვილთა სამინისტროს დაპირებიდან 1 თვის შემდეგაც დევნილები ისევ კერძო პირების მიერ შექმნილ შენობაში ცხოვრობდნენ. მესაკუთრეებმა მათი გამოსახლების მოთხოვნით პოლიციას მიმართეს, თუმცა სამართალდამცავებმა წარმოადგინეს საბუთები, რომლითაც გაირკვა, რომ სამინისტრომ მათ საკუთრებაში დევნილები უკვე ოფიციალურად შეასახლა,

ანუ კალაუზნის №6-ში დაამისამართა. იმ დროს სამინისტროში უკვე არსებობდა ერთი კვირით ადრე, ანუ 7 მარტს შეტანილი წერილი, სადაც მესაკუთრეები სუბელიანს აფრთხილებდნენ, რომ ეს შენობა აუქციონზე შეიძინეს და მათ ეკუთვნოდათ.

პოლიციამ მესაკუთრეებს დევნილების გამოსახლებაზე უარი უთხრა. ამის შემდეგ მესაკუთრეებმა სასამართლოში იჩივეს და კობა სუბელიანის ბრძანების გაუქმება მოითხოვეს.

პროცესზე გაარკვიეს, რომ სუბელიანის №26 ბრძანება, რომელიც 2008 წლის 27 თებერვლით თარიღდება, უკანონო იყო.

„აღმოჩნდა, რომ დევნილების ჩვენს საკუთრებაში დამისამართება სუბელიანის 27 თებერვლის ბრძანების საფუძველზე მოხდა, ანუ იმ დროს, როცა ჩვენ უკვე თანხა გადარიცხული გვქონდა ეკონომიკის სამინისტროსთვის. ეს ბრძანება უკანონო და გაყალბებულია“, – აცხადებს ერთ-ერთი მესაკუთრე, ნანა ცხვარიაშვილი

ამ ბრძანებით სუბელიანმა დედაქალაქში განთავსებულ რამდენიმე შენობას კომპაქტურად განსახლების ობიექტის სტატუსი მიანიჭა, ანუ შეირჩა შენობები, სადაც სამომავლოდ დევნილების შესახლება შეიძლებოდა. თითოეულ შენობას ბრძანების თითოეული პუნქტი ეხება, რომელშიც ჩამოთვლილია ის დოკუმენტაცია, რომელსაც მინისტრი კონკრეტული შენობისთვის სტატუსის მინიჭებისას დაეყრდნო. დოკუმენტაციაში აუცილებლად შედის საჯარო რეესტრის წერილი, სადაც აღნიშნულია, ვისი საკუთრებაა ესა თუ ის ობიექტი, რომელშიც სახელმწიფო დევნილების შესახლებას აპირებს. კალაუზნის №6-ზე საუბარია აღნიშნული ბრძანების მე-8 პუნქტში. ამ პუნქტში ჩამოთვლილ ყველა დოკუმენტზე გამოცემის ზუსტი თარიღია მითითებული, გარდა ერთისა.

ბრძანების მე-8 პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტაციიდან მხოლოდ საჯარო რეესტრის წერილის გამოცემის თარიღი არ იყო მითითებული, რაც მესაკუთრეებს საეჭვოდ მოეჩვენათ და საჯარო რეესტრიდან აღნიშნული წერილის ასლი გამოითხოვეს.

რეესტრიდან მიღებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ წერილი, რომელიც სუბელიანმა 27 თებერვლის ბრძანებაში მოიხსენია, იმავე წლის 13 მარტსაა გამოცემული; ანუ სუბელიანმა 26-ე ბრძანებაში იმ დროს არარსებული წერილის ზუსტი

ნომერი მოიხსენია. აქედან გამომდინარე, კობა სუბელიანს ბრძანების გამოცემისას, 27 თებერვალს არ შეიძლება ჰქონოდა რეესტრის აღნიშნული წერილი, რომლითაც კალოუზნის №6-ში მდებარე ფართის მესაკუთრე დგინდებოდა, რაც მას უკრძალავდა ამ ობიექტის დევენილების შესასახლებლად გამოყენებას.

კობა სუბელიანის 27 თებერვლის ბრძანება და მასში მოხსენიებული საჯარო რეესტრის წერილი სამართლებრივი შეფასებისთვის იურისტ ირაკლი ცნობილაძეს მიეუტანეთ.

„წინასწარმეტყველებასთან გვაქვს საქმე. მინისტრის 27 თებერვლის ბრძანებაში მოხსენიებულია იმ წერილის ზუსტი ნომერი, რომელიც ბრძანების გამოცემის დროს არ არსებობდა და მხოლოდ მისი გამოცემიდან ორ კვირაში გამოვიდა. მინისტრის ასეთი ქმედება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩავთვალოთ. კობა სუბელიანის თანამდებობა პოლიტიკური თანამდებობაა და, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მიხედვით, პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება უფრო ამძიმებს სასჯელს. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე“, – გვითხრა ირაკლი ცნობილაძემ.

დაზარალებულმა მესაკუთრეებმა სუბელიანის ბრძანების გაუქმება სასამართლოს მოსთხოვეს.

„სასამართლოზე ჩვენ დავასაბუთეთ და ვაჩვენეთ, რომ სუბელიანის 26-ე ბრძანება უკანონო იყო, მოსამართლე ყველა შემთხვევაში სამართალდამცავებს გადაუგზავნიდა გაყალბებულ ბრძანებას შესაბამისი რეაგირებისთვის, მაგრამ სუბელიანმა პროცესის მიმდინარეობისას თავადვე გააუქმა აღნიშნული ბრძანება და სასამართლოდან გაითხოვა. ამით სუბელიანმა იმ მომენტისთვის თავი გადაირჩინა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან სასამართლოს აღარ შეეძლო ბრძანებაზე, როგორც მტკიცებულებაზე, საუბარი. ეს მტკიცებულება თავად სამინისტრომ გააუქმა და გაითხოვა“, – აცხადებს ერთ-ერთი მესაკუთრე, ნანა ცხვარიაშვილი

მოგვიანებით ლტოლვილთა სამინისტრომ კალოუზნის №6-ში შესახებულ დევენილებს სამართლებრივად იქ ყოფნის ყველანაირი უფლება ჩამოართვა, თუმცა ისინი ფართს 15 თვის განმავლობაში არ ტოვებდნენ. მესაკუთრეებმა არაერთხელ მიმართეს სამართალდამცავებს, თუმცა – უშედეგოდ. მათი თქმით, დევენილთა სამინისტრო თავს იკავებდა, პოლიციისთვის

დაედასტურებინა, რომ დევენილების გამო-სახლება კანონიერია.

იმის მომიზეზება, რომ სამართალდამცავები დევენილთა სამინისტროს ოფიციალურ თანხმობას ელოდებიან, არასწორი და არაკანონიერია. პოლიციისთვის ცნობილი იყო, რომ სამინისტრომ დევენილებს უკანონოდ დაკავებულ შენობაში ცხოვრების უფლება ჩამოართვა, რაც საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ, კანონის შესაბამისად, პოლიციას ისინი იძულებით გაეყვანა.

„მესაკუთრის უფლება კონსტიტუციით არის აღიარებული და ხელშეუხებელი უნდა იყოს. შინაგან საქმეთა მინისტრის 747-ე ბრძანებით განსაზღვრულია კერძო საკუთრებაში შეჭრის პირობების გამოსახლების ზუსტი ვადა, რაც 25 დღეს შეადგენს“, – აცხადებს იურისტი ირაკლი ცნობილაძე.

პოლიციის უმოქმედობა მესაკუთრეებმა სასამართლოში გაასაჩივრეს. მას შემდეგ, რაც მესაკუთრეები კუთვნილი შენობის გათავისუფლებას ითხოვენ, 1 ნელზე მეტი გავიდა. პროკრედიტ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ ისინი, უკვე 15 თვეა, ყოველთვიურად 2517 დოლარს იხდიან ბანკში. „ამხელა სესხი შექნილი შენობის გაქირავების იმედად ავიღეთ. ბანკს დაყადაღებული აქვს ჩვენი სახლები და თუ დევენილები დროულად არ გავიდნენ, აღარ ვიცით, რა გზას დავადგეთ“, – აცხადებს ერთ-ერთი მესაკუთრე, ჟანა უსტარაშვილი

დაზარალებულ მესაკუთრეებს შენობის დაბრუნება სასამართლოს მეშვეობით შეუძლიათ, თუმცა სარჩელის შეტანის შემთხვევაში სოლიდური სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოუწევთ, რაც სადავო შენობის ღირებულების, 170 ათასი დოლარის 3%-ს შეადგენს. ბაჟი დაახლოებით 5 ათასი ამერიკული დოლარი გამოდის.

დევენილთა სამინისტროს წინააღმდეგ პრეტენზიები კალოუზნის №6-ში უკანონოდ მცხოვრებ დევენილებსაც აქვთ.

მათი თქმით, ისინი აღნიშნულ შენობაში ობიექტის პრევატიზაციამდე ცხოვრობდნენ. „ჩვენ ეს ობიექტი თავად ვიპოვეთ და შემოვედით, სამინისტროს არაერთხელ ვთხოვეთ, დავემისამართებინეთ. როგორც იქნა, სამინისტრომ ოფიციალურად შეგვასახლა, თუმცა მოგვიანებით ისევ ჩამოგვართვა აქ ცხოვრების უფლება. მას შემდეგ გვპირდებიან, სხვა ფართში გადაყვანას, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. 11 ოჯახს ბავშვებთან ერთად გაუსაძლის პირობებში გვინევს ცხოვრება“, – აცხადებს დევენილი მკა გორგოძე.

კალოუზნის 6-ის ისტორიის შესწავლისას ჩვენ კობა სუბელიანის მიერ ჩადენილი კიდევ ერთი კანონდარღვევა აღმოვაჩინეთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სუბელიანმა 26-ე ბრძანების მე-8 პუნქტში საჯარო რეესტრის წერილი თარიღის გარეშე მოიხსენია. საბოლოოდ გაირკვა, რომ სუბელიანს 27 თებერვლის წერილში იმავე წლის 13 მარტის წერილი ჰქონდა მოხსენიებული. ჩვენ სუბელიანის იმავე ბრძანების მე-5 პუნქტში ვიპოვეთ საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის წერილი №021/01-13068, რომელიც ბრძანებაში ისევ ზუსტი თარიღის გარეშე იყო მოხსენიებული. ჩვენ საჯარო რეესტრს აღნიშნული წერილის ასლი მოვთხოვეთ და აღმოვაჩინეთ, რომ სუბელიანმა ისევ იწინასწარმეტყველა და 27 თებერვლის ბრძანებაში იმ დროს არარსებული – 29 თებერვლის წერილის ზუსტი ნომერი მიუთითა.

აღნიშნული სიყალბით სუბელიანმა ისევ მესაკუთრის თანხმობის გარეშე შესახლა დევენილები იოანე პეტრინის 14-ა-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე, რითაც დაარღვია იმ ობიექტის მესაკუთრის უფლება. როგორც ჩვენ გავარკვეეთ, ფართი, სადაც სუბელიანმა უკანონო ბრძანებით შეასახლა დევენილები, სახელმწიფო შპს-ს „სახელმმართველობა №3-ს“ ეკუთვნის. მის დირექტორს ლტოლვილთა სამინისტროს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

უკანონო ბრძანებაზე და მესაკუთრეების შელახულ უფლებებზე საუბარი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში არ ისურვეს, მათ კომენტარზე უარი გვითხრეს.

„მე ვესაუბრე დეპარტამენტის უფროსს, მინისტრის მოადგილეს, ბესარიონ წერეთლის და ბატონ მინისტრსაც. საბოლოოდ მინისტრმა გადაწყვიტა, რომ ამ საკითხზე კომენტარს ვერ გვაგვიკეთებ. ეს მინისტრის გადაწყვეტილება“, – განგვიცხადა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა, ნატო პერანიძემ.

სტატიაზე მუშაობის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ დევენილთა სამინისტრომ კალოუზნის №6-ში მცხოვრები დევენილების ნაწილი იმავე ქუჩის 18 ნომერში გადაიყვანა. დევენილთა მცირე ნაწილი ისევ განაგრძობს ძველ მისამართზე ცხოვრებას.

მინისტრ კობა სუბელიანის უკანონო ბრძანების საფუძველზე, მესაკუთრეებს საკუთრების უფლება შეეღალა და მატერიალური ზიანი მიადგათ. როგორც მესაკუთრეები აცხადებენ, ისინი კომპენსაციის მოთხოვნით აუცილებლად მიმართავენ სასამართლოს. კომპენსაციის გადახდა კი ქვეყნის ბიუჯეტიდან, გადამხდელების ხარჯზე უნდა მოხდეს. **■**



■ ნატალია ესტეიროვა



**ჩვენეთი**

# პოლიტეკოვსკაიას პრემიის პირველი ლაურეატი

ნატალია ესტემიროვას გეოლოგის შემდეგ  
ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის ჩვენეთის  
ტერიტორია ყრუდ ჩაიკეტა.

სპეციალურად „ლიბერალისტების“  
სანიმუშოებში სააგენტო „კავკაზსკი უჯელ“.  
[www.kavkaz-uzel.ru](http://www.kavkaz-uzel.ru)



2000-2009 წლებში რუსეთში 19 ჟურნალისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი მოკლული.

ყველაზე ბანგაშურებული მკვლელობები:

ნოემბერი 2004: პოლ ხლბენიკოვი, რუსული წარმოშობის ამერიკელი ჟურნალისტი, ჟურნალ Forbce-ის რუსული რედაქციის მთავარი რედაქტორი. მოკლულია მოსკოვის ცენტრში, Forbce-ის რედაქციიდან გამოსვლის დროს.

სექტემბერი 2006: ანა პოლიტკოვსკაია, „ნოვია გაზეტას“ ჟურნალისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ჩეჩნეთის თემას. ჩაცხრილეს საკუთარი სახლის ლიფტთან, მოსკოვის ცენტრში.

აგვისტო 2008: ინტერნეტ-გაზეთის „ინგუშეთი.რუ“-ს დამფუძნებელი მაგომედ ევლოევი. მოკლულია ნაზრანში (ინგუშეთი) მას შემდეგ, რაც მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს.

იანვარი 2009: ადვოკატი სტანისლავ მარკელოვი და „ნოვია გაზეტას“ ჟურნალისტი ანასტასია ბაბუროვა მოსკოვის ცენტრში, ქუჩაში მოკლეს. მარკელოვის საქმიანობა უკავშირდებოდა ცნობილ ჩეჩენურ საქმეებს – ტერაქტს დუბროვკაზე და ბუდანოვის საქმეს.

ივლისი 2009: ადამიანის უფლებათა დამცველი, „ნოვია გაზეტას“ მიმომხილველი ნატალია ესტემიროვა.

3IN NYU ნატალია ესტემიროვა:

ნატალია ესტემიროვამ ცხოვრების დიდი ნაწილი ჩეჩნეთში გაატარა. იგი დაიბადა 1959 წელს, სარატოვის ოლქში ჩეჩენურ-რუსულ ოჯახში. დაამთავრა გროზნოს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და 1998 წლამდე გროზნოს ერთ-ერთ სკოლაში ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა. 2000 წლიდან იგი ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის „მემორიალის“ თანამშრომელია და ასევე „ნოვია გაზეტას“ მიმომხილველი ჩეჩნეთიდან.

2004 წელს ესტემიროვამ შვედეთის პარლამენტის მიერ დაწესებული, ე.წ. ნობელის პრემიის ალტერნატიული ჯილდო - პრემია Right Livelihood Award მიიღო.

ის პირველია, ვინც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაწესებული „ანა პოლიტკოვსკაიას პრემიის“ ლაურეატი გახდა. პოლიტკოვსკაია მისი მეგობარი იყო.

ნატალია ესტემიროვას 15 წლის ქალიშვილი დარჩა.

ადამიანის უფლებათა დამცველი ნატალია ესტემიროვა თავის კვლევებში ხშირად აღწერდა ჩეჩნეთში გატაცებული და მოკლული ადამიანების ისტორიებს.

მისი მკვლელობა ზუსტად ამ სცენარის განმეორება იყო.

15 ივლისს, დილით 8.30-ზე გროზნოს ცენტრში საკუთარი სახლიდან გამოსული ესტემიროვა უცნობებმა თეთრი ფერის „ლადაში“ ჩააგდეს. ნატალიამ დაიყვირა, რომ იტაცებდნენ. მისი ხმა რამდენიმე მეზობელმა გაიგონა, მაგრამ გამოსარჩლება ვერაზინ გაბედა.

სალამოს მისი ცხედარი მეზობელ რესპუბლიკაში – ინგუშეთში, ნაზრანის რაიონის სოფელ გაზი-იურტთან იპოვეს. მას ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა და სხეულზე ძალადობისა და ორი ტყვიის ნაკვალევი ეტყობოდა.

ნატალია ესტემიროვას მკვლელობა კიდევ ერთი რგოლია ცნობილი რუსი საზოგადო მოღვაწეების ტრაგიკულ მკვლელობათა ჯაჭვში. ამ საქმეებს რუსეთში პოლიტიკური მკვლელობების კვალიფიკაციას აძლევენ, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე გამოუძიებელია. ანა პოლიტკოვსკაიას, სტანისლავ მარკელოვის, ანასტასია ბაბუროვას დაუსჯელი მკვლელობების შემდეგ რუსეთში ისევ ისმის ახალი, ძალიან მკაცრი საყვედურები ხელისუფლების მიმართ.

ესტემიროვას მკვლელობის მეორე დღეს, ადამიანის უფლებათა დამცველმა ცენტრმა „მემორიალმა“, რომლის თანამშრომელიც იყო ნატალია, ბრალდება პირადად ჩეჩნეთის პრეზიდენტს წაუყენა.

„არ ვიცი, კონკრეტულად ვინ გასცა ბრძანება – თავად რამზან კადიროვმა თუ მისმა უახლოესმა გარემოცვამ, რათა მისთვის ეკმენათ... რაც შეეხება პრეზიდენტ მდღევანდეს, მას ეტყობა ხელს აძლევს, რომ რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ სუბიექტს მკვლელი მართავს“, – აღნიშნულია „მემორიალის“ განცხადებაში.

რამდენიმე თვეა, ჩეჩნეთს აღარ აქვს „კონტრტერორისტული ოპერაციის“ ზონის სტატუსი. ეს სტატუსი მოიხსნა კადიროვის მოთხოვნით, რომელმაც განაცხადა, რომ ჩეჩნეთში ბოევიკები აღარ არიან და ახალი ცხოვრება დაიწყო.

ამ განცხადების შემდეგ ადამიანთა გატაცებების, მკვლელობების, გაუჩინარებისა და სახლების გადაწვის ფაქტები ჩრდილოკავკასიის ამ რესპუბლიკაში საგრძნობლად გახშირდა.

მიუხედავად იმისა, რომ „კონტრტერორისტული ოპერაციის“ ზონის სტატუსის მოხსნასთან ერთად რესპუბლიკაში ბლოკპოსტების რიცხვი შემცირდა, კადიროვის-

გან ფარულად ჩეჩნეთში ადამიანის გატაცება და მეზობელ ინგუშეთში გადაყვანა თითქმის შეუძლებელია, რადგან მისი ხალხი ყველაფერს აკონტროლებს.

რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი ანდრეი ბაბიციკი ამბობს, რომ „მათი რიცხვი, ვისაც შეუძლია ეს გააკეთოს, ძალიან ცოტაა, რადგან ჩეჩნეთი ერთი ადამიანის – რამზან კადიროვის აბსოლუტური დიქტატის ქვეშაა“.

„მემორიალის“ თავმჯდომარე ოლეგ ორლოვი ამბობს, რომ „კადიროვი ნატალიაში პირად მტერს ხედავდა“.

მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ესტემიროვას მიმართ კადიროვმა საჯაროდაც არაერთხელ გამოხატა.

2008 წლის 31 მარტს რამზან კადიროვი უხეში და თავხედური ფორმით ცდილობდა, ესტემიროვა ქალაქ გროზნოს საზოგადოებრივი საბჭოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა. მან გალანძღა ესტემიროვა, რადგან იგი შეენიანაღმდეგა კადიროვის ბრძანებას, ჩეჩნეთში ქალებისთვის თავსაბურავის ტარება სავალდებულო გამხდარიყო.

ამ ინციდენტის შემდეგ კოლეგები სერიოზულად ლელავდნენ ესტემიროვას უსაფრთხოებაზე და აიძულეს იგი, ჩეჩნეთი რამდენიმე თვით დაეტოვებინა.

მას შემდეგ 16 თვე გავიდა. კადიროვმა ჩეჩნეთის ისლამიზაციის თვალსაზრისით ისე ღრმად შეტოპა, რომ რესპუბლიკაში დღეს სტუდენტი გოგონები ფრჩხილებზე ნასმული ფერადი ლაქის გამო იდენებინა. მათ უშვერი სიტყვებით ლანძლავენ და ლექციებიდან აგდებენ. თავსაფარი ჩეჩენი ქალისთვის აუცილებელ ატრიბუტად იქცა. მათი სამოსიც მკაცრად განსაზღვრულია.

ნატალია ესტემიროვას მიერ გამოძიებული საქმეების კვალი მუდმივად სამთავრობო სტრუქტურებისკენ მიდიოდა.

მისი ერთ-ერთი უკანასკნელი საქმე 7 ივლისს სოფელ ახკინჩუ-ბორზოიში მომხდარი ფაქტი იყო. „ადამიანი გაიტაცეს, მიიყვანეს სოფელში და ხალხის თვალწინ საჯაროდ მოკლეს. თან თქვეს, რომ ყველას, ვინც ბოევიკებს დაეხმარება, საჯაროდ სიკვდილით დასჯა ელის“, – ჰყვება „მემორიალის“ მმართველი საბჭოს წევრი, ალექსანდრ ჩერკასოვი. მისი თქმით, ახკინჩუ-ბორზოიში მომხდარის გამოძიებას „ჩეჩნეთის ხელმძღვანელობის მხრიდან ძალზე ნერვული რეაქცია მოჰყვა“.

საქმეები, რომლებსაც ესტემიროვა იძიებდა, ძირითადად ეხებოდა ბოევიკების ოჯახებს, რომლებიც წარმოუდგენელ ზენოლას განიცდიან. ცოტა ხნის წინ მას



ჰქონდა ინტერვიუ, სადაც იგი ბოვეციკების ოჯახის წევრებს ესაუბრება, რომელთაც ძალოვნებმა სახლ-კარი გადაუწვეს. სწორედ ამ ინტერვიუს დაეფუძნა Human Rights Watch-ის ივლისის ანგარიში ჩეჩნეთთან დაკავშირებით.

მკვლევლობამდე ერთი დღით ადრე ესტემიროვა ცდილობდა ეგვიპტიდან დეპორტირებულ მასჭუდ აბდულაევთან შეხვედრას, რომელიც ჩეჩენი საველე მეთაურის, სუფიან აბდულაევის შვილია. რამდენიმე კვირის წინ მასჭუდი მოსკოვის „დომოდედოვოს“ აეროპორტიდან გაიტაცეს, თუმცა მალე იგი ჩეჩნური ტელევიზიის ეთერი გაშვდა და თქვა, რომ მას

იყოს მის პროფესიულ საქმიანობასთან, – მედვედევის ეჭვები მისმა პრესმდივანმა ნატალია ტიმაკოვამ გამოხატა.

ეს განცხადება რუსეთში ბევრს გაუკვირდა, რადგან პირველად მრავალი წლის მანძილზე ხელისუფლებამ მკაფიოდ და მკაცრად გამოხატა თავისი პოზიცია. გაჩნდა იმედი, რომ ესტემიროვას მკვლევები დაისჯებოდნენ.

თუმცა, ეს იმედები მალევე გაქარწყლდა. თავისი პირველი ლიბერალური რეაქციის შემდეგ მედვედევმა კადიროვის უდანაშაულობის შესახებაც ილაპარაკა. კადიროვის ესტემიროვას მკვლევლობასთან კავშირის ვერსიას მან „პრიმიტიული“ უწოდა.

და ევროპელი პოლიტიკოსების კრიტიკა მოესმინა. ესტემიროვას მკვლევლობაზე ყველა გავლენიანი საერთაშორისო მედია წერს.

„მემორიალს“ ჩეჩნეთში უსაფრთხოების გარანტიები არ აქვს, ამიტომ ადამიანის უფლებათა დამცველმა ცენტრმა რესპუბლიკაში დროებით შეაჩერა მუშაობა. პირად საუბრებში ჩეჩნეთის რიგითი მოქალაქეები ნუხილს ვერ მალავენ ამის გამო. მოსახლეობა შიშობს, რომ თუ ადამიანის უფლებათა დამცველები წავლენ, რეპრესიები გაძლიერდება.

„რა გვეშველება ჩვენ, ათობით და ასობით ადამიანს, რომელთაც გვეხმარებოდა



ფოტო: REUTERS / სტინონანო

**„ჩეჩნეთში ალაშიანის გატაცება ყველას როდი შეუძლია. ჩრდილოკავკასიის ეს რესპუბლიკა ერთი ალაშიანის - რამზან კადიროვის ახსოვებული ღიჟაჭის ქვეშაა“.**

არავინ ავინროვებს. ეჭვობენ, რომ იგი გაიტაცეს, რათა მამამისზე ზეწოლა მოეხდინათ.

რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება მყისიერად გამოეხმაურა ესტემიროვას მკვლევლობას. პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მწუხარება გამოხატა მომხდარის გამო და ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა. მან ძალოვნებს მკვლევლობის გამოძიება დაავალა. „ნატალია ესტემიროვას მკვლევობა შეიძლება დაკავშირებული

თავად ჩეჩნეთის პრეზიდენტმა კი პირადად დაურეკა „მემორიალის“ ხელმძღვანელს ოლეგ ორლოვს და არაეთიკურობაში დაადანაშაულა. გარდა ამისა, კადიროვმა ორლოვის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

რუსეთის ხელისუფლება იშვიათად აქცევს ყურადღებას ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების საყვედურებს, მაგრამ ამჯერად მედვედევი იძულებული გახდა, ამერიკელი

ნატამა ესტემიროვა? რა ვქნათ ჩვენ, ვინც გასაჭირს „მემორიალს“ ვუზიარებდით, როგორც ორგანიზაციას, რომელიც ჩვენი უფლებებისთვის იბრძოდა?“ – ამბობს ჩეჩნეთში მცხოვრები ახალგაზრდა ქალბატონი ზურა.

მას ეთანხმება მალიკაც. „მემორიალმა“ რომც განაახლოს მუშაობა, ის უკვე ვეღარ იქნება ისეთი აქტიური, რადგან ნატამასნაირი ადამიანები უკვე აღარ დარჩნენ“.

## აზერბაიჯანი ბლოგერები სიხეში

>> შპპინ რზაევი გაქო

აზერბაიჯანელი ბლოგერების დაპატიმრება შემამოფრთხილებელი სიგნალია საერთაშორისო საზოგადოებისთვის. აზერბაიჯანს არ სურს დემოკრატიული ცვლილებები ქვეყანაში.

9 ივლისს ახალგაზრდული მოძრაობა Alumni network-ის ლიდერი ემინ აბდულლაევი (ასევე ცნობილი როგორც

მილლი) და ორგანიზაცია OL-ის ხელმძღვანელი ადნან გაჯიზადე ბაქოს ცენტრში ერთ-ერთი რესტორნის მაგიდასთან ისხდნენ, როცა მათ ორი სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა.

აბდულლაევისა და გაჯიზადეს მეგობარი ორჰან გაფარლი, რომელიც მათთან

ერთად რესტორანში იმყოფებოდა, ამბობს, რომ უცნობებმა ადნანი და ემინი სალაპარაკოდ გაიხმეს. გაფარლის თქმით, საუბრის თემა მას არ ესმოდა, მაგრამ დაინახა, რომ ერთ-ერთმა მათგანმა ადნანს ცხვირში თავი დაარტყა და ჩხუბი ატყდა.

„როცა პოლიციის განყოფილებაში მივედი, თავდამსხმელები უკვე იქ იყვნენ, – ჰყვება გაფარლი, – იქ იმინი სულ სხვანაირად იქცეოდნენ, ზრდილობიანად და თავშეკავებულად. პოლიციამ ადნანი და ემინი დაიტოვა, სხვები კი გაუშვა“.

მეორე დღეს ბაქოს საბაილსკის რაიონის სასამართლომ აბდულლაევის და გა-



ჯიზადეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. მათ ბრალი „ხულიგნობაში“ ედებათ. მათთვის წაყენებული მუხლი ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

ემინ მილი ინტერნეტ ტელევიზიის ANTV-ს ერთ-ერთი შემქმნელია.

განათლება გერმანიაში მიიღო, ხელმძღვანელობდა ფრიდრიხ ებერტის ფონდს აზერბაიჯანში.

აღწილი გაჯიზადე ახალგაზრდული მოძრაობა OL-ის ერთ-ერთი დამაარსებელია და ცნობილი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ჰიკმეტ გაჯიზადეს ვაჟი.

ახალგაზრდები ძალიან აქტიურობდნენ სოციალურ ქსელში facebook, სადაც მათ სამი ათასზე მეტი მუდმივი მკითხველი ჰყავდათ. წერდნენ კრიტიკულ სტატიებს. გადაიღეს კლიპი, რომლის მთავარი პერსონაჟი ვირია. ამ კლიპით, რომელმაც ხელისუფლების წარმომადგენელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ისინი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ახალ კანონს აკრიტიკებდნენ.

ინტერნეტი აზერბაიჯანში ძვირი სიამოვნებაა. გლობალური ქსელით სოციალურად ყველაზე აქტიური ფენა სარგებლობს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ თავისუფალი ტელევიზიები და გაზეთები ქვეყანაში თითქმის არ არსებობს, მოვლენებს ობიექტურად სწორედ ბლოგები და ბლოგერები აშუქებენ. დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების ფონზე, ეს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ხელისუფლების საინფორმაციო მონოპოლიას.

საერთაშორისო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ამ ფაქტს მეორე დღესვე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ახალგაზრდა ბლოგერების მიმართ წაყენებული სასჯელი არაადეკვატურია და იგი უნდა შეიცვალოს.

2008 წლის პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რომელიც ამავე ორგანიზაციამ გამოაქვეყნა, აზერბაიჯანი მსოფლიოს 173 ქვეყნიდან 150-ე ადგილზეა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამხრეთ კავკასიის ამ ქვეყანაში ჟურნალისტები ფიზიკურ ძალადობასა და ზენოლას განიცდიან. ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს „თავისუფალი სიტყვის მშთანთქმელი“ უწოდა.

აშშ-ს საელჩო აზერბაიჯანში ამ ფაქტს სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა. „ჩვენ შემფოთებულები ვართ სასამართლოს გადაწყვეტილებით და იმ ფაქტით, რომ თავდამსხმელები გაათავისუფლეს. დაკავებულებს უარი უთხრეს ადვოკატთან ურთიერთობაზე და ასევე აუცილებელ სამედიცინო დახმარებაზე. ჩვენ დავაყენეთ ეს საკითხი აზერბაიჯანის მთავრობის მაღალჩინოსნებთან და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებთან“, – აღნიშნულია განცხადებაში.

აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აბდულლაევისა და გაჯიზადეს მიმართ გამოტანილ სასამართლო განაჩენს მხარს უჭერს.

„მოქალაქეებმა ვუსალ მამედოვმა და ბაბეკ გუსეინოვმა მხოლოდ წესრიგისკენ მოუწოდეს გაჯიზადესა და აბდულლაევს, მათ კი ფიზიკური ძალა გამოიყენეს

და ხულიგნობა ჩაიდინეს“, – აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

ამ განცხადებამ უფრო მეტად შეაშფოთა ოპოზიციური პარტია „მუსავათის“ წევრი ჰიკმეტ გაჯიზადე, რომელიც შიშობს, რომ მის შვილს – ადნანს პატიმრობის ვადას გაუხანგრძლივებენ.

„აზერბაიჯანში ხშირად ხდება ისე, რომ როცა დაპატიმრებას საყოველთაო პროტესტი მოჰყვება, პატიმრობის ვადას კიდევ უფრო ახანგრძლივებენ“, – ამბობს იგი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტმა კიდევ უფრო შეარყია აზერბაიჯანისა და მისი ხელისუფლების იმიჯი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ხელისუფლება დათმობებზე წასვლას, როგორც ჩანს, არ აპირებს.

აბდულლაევისა და გაჯიზადეს დაპატიმრება პირველი შემთხვევა არ არის, როცა აზერბაიჯანში ოპოზიციურად განწყობილ ჟურნალისტებს ხულიგნობის საბაბით დევნიან. იგივე მუხლი იყო გამოყენებული გაზეთ „აზადლიგის“ მთავარი რედაქტორის განიმატ ზაჰიდის მიმართ. იგი 2007 წლის შემოდგომაზე დააპატიმრეს. სასამართლომ რამდენჯერმე გაახანგრძლივა მისი წინასწარ პატიმრობაში ყოფნა და საბოლოო განაჩენი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა – მხოლოდ 2008 წლის 7 მარტს გამოუტანა.


„თავიდან ვფიქრობდი, რომ უბრალო დამთხვევები იყო, მაგრამ ახლა ვკითხულობ გარკვეულ ლოგიკას ხელისუფლების ქმედებებში. შესაძლოა, ხელისუფლებას იმის დემონსტრირება უნდა, რომ აზერბაიჯანს ვერ აიძულებენ დემოკრატიული ცვლილებების განხორციელებას და რომ ამ ქვეყანასთან თანამშრომლობა მხოლოდ ენერგეტიკისა და უსაფრთხოების სფეროებში შეიძლება“.

12 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა ერთობლივი განცხადებით გამოვიდნენ და ბლოგერების დაკავების გამო საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქცია გააკრიტიკეს.

„ჩვენ ამ ქმედებებს განვიხილავთ, როგორც საზოგადოებაში მცდარი აზრის შექმნის მცდელობას – რომ დემოკრატიის განვითარებით, ადამიანის უფლებების დაცვითა და თავისუფალი მედიით აზერბაიჯანში მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციები და დასავლეთის ქვეყნები არიან დაინტერესებული და არა თავად აზერბაიჯანის სახელმწიფო“.

„მოუწოდებთ სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიურ მისიებს აზერბაიჯანში, შეწყვიტონ გამოძიებაზე ზენოლა და ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

**აზერბაიჯანში  
თავისუფალი  
ტელევიზიებისა  
და გაზეთების  
არარსებობის  
პირობაში,  
ოპოზიციური  
ინფორმაციის  
ერთადერთი  
წყარო ბლოგები და  
ბლოგერები არიან.**



## რეგიონული უსაფრთხოება მეზობელი, როგორც საფრთხე

>> შოთა ხინჩაბაშვილი ნაციონალიზმის კვლევების მენეჯერი,  
არასამთავრობო ორგანიზაცია „ვირტუალური ტენტრი“

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშვიდობიანი თანაარსებობის მთავარი შემაფერებელი ფაქტორი საბჭოთა დროის კონფლიქტოგენურ ეთნონაციონალიზმს ეფუძნება

„ლიბერალის“ წინა ნომერში კავკასიის რეგიონული ინტეგრაციის საკითხს საინტერესო სტატია მიეძღვნა – „ქვეყანა კავკასია“. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მარგარიტა ახვლედიანი უჩვეულოდ თამამი დასკვნებისკენ მიდის, დასმული საკითხი სრულიად ნათელია და მის განხილვაზე ყალბი „რეალიზმის“ საბაბით უარის თქმა დამკვიდრებული შემეცნებითი მინიმალიზმის სამწუხარო გაგრძელება იქნებოდა.

ამ სტატიის მთავარი დებულება ასეთია: სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამმა რესპუბლიკამ უნდა დაძლიოს ვინრო ეროვნული ეგოიზმი (რომლის სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი გამოხატულებაა სუვერენიტეტი), მათ უნდა გააცნობიერონ, რომ საკუთარი უსაფრთხოების საკითხების მოგვარებას მხოლოდ შეთანხმებული სტრატეგიითა და, საბო-

ლოოდ, საერთო სისტემის ჩამოყალიბებით შეძლებენ.

ეს თეზისი გულისხმობს, რომ საგარეო ძალების ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები რეგიონში განვითარებული დესტაბილიზაციის არა მხოლოდ მთავარი, არამედ პრაქტიკულად ერთადერთი საფუძველია. ეს სამეცნიერო-პოპულარული კლიშე სურათს სრულად ვერ წარმოაჩენს და მნიშვნელოვანი გარემოებები მხედველობის მიღმა რჩება. რა თქმა უნდა, „გარე-ფაქტორის“ გადამწყვეტი როლის ცალსახად უარყოფაც სარისკოა. ამას არა მხოლოდ პოლიტიკურად არაკორექტულ დაშვებებამდე მივყავართ, არამედ ისევე კლიშეებამდე, რომლის უკიდურესი ფორმაა მითოლოგემა „დამოუკიდებლად ცხოვრების უუნარობის“ შესახებ. თუმცა, მსგავს მსჯელობებში ყოველთვისაა სიმართლის მარცვალი.

სამხრეთკავკასიელებს შორის „კინკლაობის“ პრობლემის საფუძველი თავად რეგიონის და მისი სამივე რესპუბლიკის სუვერენიტეტის პირობითობაშია. ამ ქვეყნების ლეგიტიმურობის რეალიზაცია მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით მოხდა, ჭეშმარიტი, სახალხო ლეგიტიმაცია კი ჯერ არ მომხდარა. დღეს, როდესაც სამხრეთ კავკასიის რეგიონზე



ვსაუბრობთ, „ტრანსკავკასიური“ სივრცე უპირობო მოცემულობად არ უნდა მივიღოთ. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს შემოსაზღვრულობა წარმოსახვითია და არსებითად არანაირი „სამხრეთ კავკასია“ არ არსებობს. ვერც იმ მოსაზრებას დავეთანხმები, რომ დასავლეთის გეოპოლიტიკური ძალები თუ რუსეთი ერთიან რეგიონად აღიქვამენ სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის სასიცოცხლო სივრცეს.

რას წარმოადგენს თითოეული მათგანი და რეალურად რა აერთიანებს სამივეს? „მატრიოშკას“ პრინციპით (მოსკოვი-მოკავშირე რესპუბლიკა-ავტონომია) სტრუქტურირებულ საბჭოთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ მოწყობას არსებითად ვერც ერთი ნაციონალური რესპუბლიკა ვერ გაცდა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ეროვნულ პოლიტიკაზე აგებულმა იერარქიამ ძირეული კრიზისი განიცადა, თუმცა ყველა სამხრეთკავკასიური „ნაციონალური პროექტი“ მაინც საბჭოთა კავშირის დროს ინსტიტუციონალიზებულ, შეზღუდულ ნაციონალიზმს დაეყრდნო და დღესაც ყველას „თავისი წილის“ ბოლომდე რეალიზაცია სურს. ეს კი აპრობირი ურთიერთდაპირისპირებას გულისხმობს. სამხრეთ კავკასიის თითქმის ყველა კუთხეში, ტერიტორიულად კონცენტრირებულ ეთნოუმცირესობას ცენტრთან ურთიერთობისა და ლოკალურ დონეზე ლეგიტიმაციის პრობლემა აქვს. თითოეულ რესპუბლიკაში, ისევე, როგორც ამ რესპუბლიკებს შორის ურთიერთობებში აშკარა სტრუქტურული იდეოლოგიური წინააღმდეგობაა.

ამ აზრის ხაზგასმა გვეხმარება „უსაფრთხოების პრობლემის“ ჭეშმარიტი არსის გამოვლენაში, რომლის გარეშეც, მისი დაძლევის ნებისმიერი ვერსია რეალობას მონყვევის ექნება. თუ საუბარია უსაფრთხოებაზე, ბუნებრივია, დასაზუსტებელია არა ობიექტურად არსებული, არამედ აღქმული საფრთხეების ძირითადი ხასიათი.

„უსაფრთხოება“ - ალქმულ საფრთხეებზე პასუხი თუ უბრალოდ „მშვიდობა“?

უდავოა, რომ კავკასიელებისთვის საკვანძო პრობლემა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საკუთარი ქვეყნების გაძლიერებაა; ამ თვალსაზრისით, რეგიონული სტაბილურობა და „მშვიდობიანობა“ არა თუ მიზნად, არამედ ხშირად მიზნის მიღწევის საშუალებადაც კი არ განიხილება. ბუნდოვანია, როგორ და სად უნდა გამოიკვეთოს საერთო ინტერესები, როდესაც პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში მეზობელი პოტენციურ მტრად, ხოლო

ეთნოკულტურული უმცირესობა „მეხუთე კოლონად“ აღიქმება. კავკასიური პოლიტიკური საზოგადოებების კონსოლიდაცია იმ ნაციონალიზმების მეშვეობით მოხდა, რომლებიც სარკისებურად ირეკლავდნენ საპირისპირო ნაციონალიზმებს. დღეს სომეხსა და აზერბაიჯანელს, ქართველსა და ოსს არა საზიარო, არამედ გასაყოფი აქვს ტერიტორია (საკრალური სივრცე) და ისტორია (იდეალიზებული და მითოლოგიზირებული, კოლექტიური წარსული); ერთადერთი, რაზეც ორიენტირებულია თითოეული საზოგადოება, არის ისტორიული პასუხისმგებლობისა და კოლექტიური ბრალეულობის მეზობელ ერზე პროექცირება.

ამ შიდა წინააღმდეგობების ფონზე და განსხვავებული საგარეო-პოლიტიკური და კულტურულ-ცივილიზაციური ორიენტაციების პირობებში, სამხრეთკავკასიური უსაფრთხოების სისტემა, საუკეთესო შემთხვევაში, გეოპოლიტიკურად ნეიტრალური სივრცის ჩამოყალიბების ლოგიკამდე მიდის. ამაში კი არც ერთი გარე რეგიონული სუბიექტი დაინტერესებული არ არის. რაც ყველაზე მთავარია, ეს არაფერს ჰპირდება ლოკალურ პოლიტიკურ ელიტებს, რომლებიც დღემდე ზრუნავენ, სისხლისმღვრელი პატრიოტიზმი უმაღლეს ადამიანურ მონობებად წარმოაჩინონ. ამ გზაზე კი ანტიმილიტარიზმის ლოგიკაზე დაფუძნებული „უსაფრთხოების კონცეფცია“ სულაც არ არის უსაფრთხოება.

ამრიგად, სამხრეთკავკასიელი მეზობლები საფრთხეს ერთმანეთშიც ხედავენ. ამ ფონზე, საგარეო-პოლიტიკური უპირატესობები „ცვლადი“ მოცემულობაა და სწორედ თვითგადარჩენის აქსიომას ექვემდებარება.

მაგალითად, აფხაზური ელიტის რუსოფილია და ქართული პოლიტიკის ევროატლანტიკური მისწრაფება, არც რეგიონში გლობალური მოთამაშეების გავლენების ურთიერთჭიდილის შედეგია და არც კულტურულ-ისტორიული არჩევანის; ეს, პირველ რიგში, ფუნდამენტურ საფრთხეებად აღქმულ გამონვევებზე აგებული ზედნაშენებია (პოლიტიკური პროექტები), სადაც დასავლელ თუ რუს პარტნიორებთან ღირებულებითი თანაზიარობის რიტორიკა საეჭვოა.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ პროცესებში ინტერკულტურული კომუნიკაციისა და კოლექტიური იდენტობის სათანადო გააზრება არ მომხდარა. რედუქციონისტური ანალიტიკური არსენალით, სტაბილურობის მიღწევის წინაპირობად მიჩნეულია „ტრანსკავკასიური შიდაინტეგრაცია“. ეს კი საფუძველშივე ეწინააღმდეგება იმას, რაზეც დაფუძნებულია რეგიონის ახალი ერი-სახელმწიფოების მალეგეტიმირებელი იდეოლოგია - ურთიერთგამიჯნავი ეთნონაციონალიზმი (მაგალითად, არ არსებობს სომხური სახელმწიფოებრივი მშენებლობის არანაირი კონცეფცია ირედენტისმის გარეშე, სრულიად დაუსაბუთებელი და ბუნდოვანია საერთოველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მორატორიუმდადებული პრინციპი და სხვა).

ფიქრობ, ახვლედიანის სტატიაში ციტირებული ალიევის დაკვირვება ზუსტია და ამ პრობლემის კარგი ილუსტრაციაა. თანამედროვე ქართულ-აზერბაიჯანული პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობა კონიუნქტურის ფუყე ქვემდებარება, რომელსაც იდეოლოგიური საფუძველი არ გააჩნია. რა აერთიანებს ალიევისა

**სომხურ-აზერბაიჯანული ეთნოკონფლიქტი, სომხურ-ქართული კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა და პოლიტიკური უნდობლობა საშუალებას იძლევა, ზედაპირული დაკვირვებითაც სხადი განვს, რომ სამხრეთკავკასიური ინტეგრაციის ილანს ამ ეტაპზე რუსურსი არ გააჩნია.**

და სააკაშვილის პოლიტიკურ ჯგუფებს? ა) რუსეთის საფრთხის ფაქტორის გაცნობიერება; ბ) სატრანზიტო პერსპექტივები. ერთი მხრივ, ეს ორი ელემენტი ერთმანეთზე გადაჯაჭვული და თანამშრომლობისათვის ყველაზე სტაბილურ საფუძველს ქმნის. მეორე მხრივ, ეს კონკრეტული შინაარსისა და მასშტაბების თანამშრომლობა კულტურულ-იდეოლოგიურ დონეზე ორი ქვეყნის საზოგადოებათა დაახლოებას არ ნიშნავს. ამასვე მეტყველებს გასული წლების დინამიკა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მსგავსი პროექტები, თავიანთი გეოსტრატეგიული დანიშნულებიდან გამომდინარე, სამხრეთკავკასიური ინტეგრაციიდან „არაკეთილსაიმედო“ კავკასიელ მოთამაშეებს რიყავს.

### კავკასიური ერთობის არსი

კავკასიური სივრცის გაერთიანების იდეა ახალი არ არის. ამის პირველი მცდელობა XI-XII საუკუნეებშიც იყო და საბოლოოდ წარუმატებლად დამთავრდა. თუმცა აქ საინტერესო სხვა რამ არის: იმდროინდელ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოლიტიკური ექსპანსიის პროცესი შესაბამისი იდეოლოგიური კონცეფციითაც იყო უზრუნველყოფილი („ქართლის ცხოვრება“) და ის არა მარტო ქრისტიანულ მესიანიზმს უკავშირდება, არამედ სომეხთა და ქართველთა ნათესაობის დასაბუთების საინტერესო მცდელობასაც. მოდერნულ, ინდუსტრიულ ეპოქაში შიდაკავკასიური კონსოლიდაციის იდეა დამოუკიდებელ ინიციატივებს მოკლებული ან მეტსიმეტად სუსტი იყო და, შესაბამისად, ხელშესახები იდეოლოგიური პროდუქტი ვერ შეიქმნა. თეორიული კონსტრუქტის ერთადერთი არსი ანტირუსული შეკავშირება იყო. გამსახურდიას კულტურულ რასიზმზე დამყარებული „კავკასიური სახლის“ ფიასკოს შემდეგ შევარდნაძის „მშვიდობიანი კავკასიის“ კონცეფცია გაჩნდა, რომელიც რეალურ საფუძველს მოკლებული იყო.

2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“ ფუნდამენტური დისბალანსი შეიტანა სამხრეთკავკასიურ სივრცეში. გეოპოლიტიკური დაპირისპირების გამწვავებამ თავდაპირველად იმედი გააჩინა, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული რევოლუციის ტალღა სამივე რესპუბლიკას მოედებოდა, თუმცა 2005 წლის დასასრულისთვის ნათელი გახდა, რომ არც სომხეთი იტყოდა უარს პუტინის რუსეთთან მეგობრობაზე და არც აღმოსავლეთევროპული გამოცდილებიდან კალკირებული მოძრაობა „იოიხ“ მოახდენდა აზერბაიჯანული პოლიტიკური ბაზრის რევოლუციონიზირებას.

ამ გარემოებამ საბოლოოდ უტოპიურად აქცია რეგიონული გაერთიანების პერსპექტივა და გამყოფი ხაზები გაცილებით მკვეთრი გახადა.

რა მნიშვნელობის მატარებელია თითოეული სამხრეთკავკასიური განვითარებადი სახელმწიფო ერთმანეთისთვის? სანამ ამას პასუხს გავცემ, საჭიროა, თავად კავკასიისა და „კავკასიელობის“ რაობა განისაზღვროს, იმისათვის, რომ პოპულარულ მითებს საბოლოოდ გამოვემშვიდობოთ. კავკასიის (არამარტო მის სამხრეთ ნაწილს) ყველაზე ზუსტად ახასიათებს ამერიკელი ისტორიკოსის რონალდ სუნის ცნება – „ერთიანი კულტურული სივრცე“. ის ერთ საარსებო გარემოში მცხოვრებ ხალხთა თანაცხოვრების გამოცდილებით ჩამოყალიბებულ საზიარო მახასიათებლებს აღნიშნავს. ჩემი აზრით, ეს მახასიათებლები ძირითადად ყოფითი და არაცნობიერია და განსაკუთრებით ვლინდება კავკასიური სივრცის გარეთ, უცნობ გარემოში, სადაც ყოფით ურთიერთობებში ჯგუფური სოლიდარობის განცდა ძლიერდება და „კავკასიელობა“ ჯგუფური კუთვნილების კონტურებსაც იძენს. მეორე მხრივ, პოლიტიკურ განზომილებაში არანაირი „კავკასია“ არ არსებობს, კულტურული ურთიერთობების რესურსის რეალიზაცია დღემდე არ მომხდარა. ვგულისხმობ გრძელვადიან, პოზიტიურ გამოცდილებას.

სომხურ-აზერბაიჯანული ეთნოკონფლიქტი, სომხურ-ქართული კულტურული ისტორიული მეტოქეობა და პოლიტიკური უნდობლობა საშუალებას იძლევა, ზედაპირული დაკვირვებითაც ცხადი გახდეს, რომ სამხრეთკავკასიური ინტეგრაციის იდეას ამ ეტაპზე რესურსი არ გააჩნია. მაგალითად, ქართველებისთვის აზერბაიჯანი სხვა არაფერია, თუ არა აღმოსავლურ-მუსლიმური თურქული სივრცის ნაგლეჯი, სადაც კორუფცია და ნეპოტიზმი ყვესი. ქართველი ამ სივრცესთან საკუთარი წარსულისა და საერთო ინტერესების იდენტიფიცირებას არ ახდენს. ამ ორ საზოგადოებას საზიარო ტკივილიც კი არ აქვს; მაშინ, როდესაც თანამედროვე რუსეთის ფედერაცია საბჭოთადროინდელი სივრცითი გავლენის რეაბილიტაციაზე ფიქრობს, სამხრეთ კავკასიაში არ არსებობს არანაირი საერთო ანტისაბჭოთა ნარატივი, თითოეული რესპუბლიკა თავის ჰერმეტიულ კოლექტიურ მესხიერებაშია ჩაძირული. მაშინ, როდესაც 9 აპრილი ქართული კოლექტიური მესხიერების უმთავრესი ტრავმაა, ათი ახალგაზრდა ქართველიდან ალბათ მხოლოდ ერთ ან ორ ადამიანს თუ ეცოდინება, რას აღნიშნავს „შავი იანვარი“. არ არსებობს კოლექტივიზირებული და პოპულარული

პარალელები ანტისაბჭოთა-ანტირუსულ სენტიმენტებში, სამხრეთკავკასიელი მეზობლები ერთმანეთისგან საოცრად დისტანცირებულები არიან; თუნდაც ქართული (პროფესტერული) გადმოსახედიდან, სომხეთიცა და აზერბაიჯანიც ისეთ გარემოს გვიქმნის, გულახდილ ფანტაზიებში ადამიანს რომ ათქმევინებს: „მეზობლებში არ გავგიმართლა“.

### „რა (არ) ვქნათ?“

რთულია იმის თქმა, დემოკრატიულ-პოპულისტური რევოლუციებით მთელი რეგიონის გაფერადება უშველიდა თუ არა რეგიონულ შეკავშირებას. ფაქტია, რომ დღეს რეალობა სხვაგვარია: ამიერკავკასიაში სხვადასხვა ტიპის, შეიძლება, უფრო „სტილის“, რეჟიმი თანაარსებობს. მშვიდობიანი თანაარსებობის შემაფერხებელი ფაქტორი ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ორიენტაციები კი არ არის, არამედ ის, რომ თითოეულის სახელმწიფოებრივი მშენებლობის კონცეფცია, პოპულარულ დონეზე მაინც, საბჭოთადროინდელ კონფლიქტოგენურ ეთნონაციონალიზმს ეფუძნება. ერთმანეთისგან ნარცისული დისტანცირების და საკუთარი ერთობის კულტურულ-რასობრივი აღმეტებულების ფარული განცდა რეგიონული თანამშრომლობის იდეოლოგიურ პოტენციალს ცუდ პირობებს სთავაზობს. ამის ნათელი მაგალითია ევროპული ორგანიზაციების მცდელობა, დაენერათ „სამხრეთ კავკასიის ისტორიის“ საერთო სახელმძღვანელო. შესაბამისად, საერთოკავკასიური (რეგიონული) იდენტობის ინჟინერიით არც ერთი საზოგადოება და სახელმწიფო არ არის დაინტერესებული და ვფიქრობ, ამაზე ჩვენც უარი უნდა ვთქვათ.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ „კავკასიურ ევროკავშირზე“ ოცნებას სამუდამოდ ხაზი გადავუსვით? ვვარაუდობ, ინტერენიკურ ურთიერთობებში არსებული კავკასიური იდენტობა დიდი შესაძლებლობების მქონე „ნედლი მასალაა“. როგორც ეთნიკურ ჯგუფებში საბჭოთა პოლიტიკით გაჩენილი დაუცველობის და ჩაგრულობის განცდის ინსტრუმენტალიზაცია მოხდა 1990-იანი წლების პოლიტიკურ პროცესებში, „კავკასიელობაც“ ოდენმე აქტიურად და უფრო ეფექტურად დაბრუნდება პოლიტიკურ დისკურსში. მნიშვნელოვანი წინაპირობა და გარანტია იმისა, რომ ეს იდეა ახალ „კავკასიურ კონფედერაციად“ არ იქცეს, პირველ რიგში, შიდასაზოგადოებრივი სივრცეების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლიბერალიზაციასა და ეთნონაციონალიზმის დამარცხებაშია, აქ კი, შესაძლოა, სიზიფეს შრომა გველოდეს. ■



ფოტო REUTERS / მოსტაზა ნოსაზანი

ირანი არჩევნების შემდეგ

# ჩვენ ღაპნაერთ „მუსაჰი“, მათ ნაიჰითხან „აჰმადინეჰადი“!

>> ალი ღარჰიზიანი, თეირანი

■ ირანის სასულიერო ლიდერი აიათოლა ალი ხამენეი ლოცვის დროს, თეირანი 2009

არჩევნების შემდეგ მსოფლიოს ყურადღება თითქოს შენელდა ირანის მიმართ, მაგრამ თავად ქვეყნაში სიტუაცია კიდევ უფრო გამძაფრდა. დღეს მიმდინარე პროცესები ადრე თუ გვიან აუცილებლად გახდება ამჟამინდელი რეჟიმის, თუ სრული ცვლილების არა, რადიკალური მოდერნიზაციის საფუძველი

დღეს ირანის საზოგადოება ორ ნაწილადაა გახლეჩილი. ერთი შედარებით მცირე ნაწილი – საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად გამოცხადებული მაჰმუდ აჰმადინეჰადის მომხრეები ყველანაირად ცდილობენ მათი ფავორიტის კანონიერ და მორალურ ლეგიტიმაციას. ამ ხალხის გვერდით დგას ქვეყნის სახელისუფლებო და მმართველობის სხვა ინსტიტუტები და, რაც მთავარია, მაჰმუდ აჰმადინეჰადს მხარს უწინდებურად აქტიურად უჭერს ისლამური რესპუბლიკის სასულიერო ლიდერი და უმაღლესი მთავარსარდალი, აიათოლა ალი ხამენეი.

ხამენეის პოზიციამ ლიდერის ავტორიტეტი, რომელიც მანამდე, ირანის კონიუნ-

ქტურის შესაბამისად, ეჭვმუყუვლად ითვლებოდა, უდიდესი დარტყმის ქვეშ დააყენა. თუ აქამდე სასულიერო ლიდერის ღია კრიტიკას, ასე თუ ისე, ყველა თავს არიდებდა, ახლა ლამის მთავარ დამნაშავედ სწორედ ალი ხამენეი გამოცხადდა.

სინამდვილეში, ალი ხამენეი სიტუაციის მძევალაა და შეიძლება კარგადაც ხვდება, რომ შექმნილი ვითარებით ყველაზე მეტად თვითონ ზარალდება, მაგრამ ვერ ბედავს, წავიდეს ვერც საკუთარი კლანური ინტერესებისა და ვერც უკვე დეკლარირებული პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ.

ლიდერს ამკარად აშინებენ იმით, რომ დღევანდელი ნებისმიერი კომპრომისი მომავალში იძულებითი დათმობების არასასურველ ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს და ამიტომაც, ურჩევნია, ბოლომდე პირველი ჩვენების ერთგული დარჩეს.

გარდა ამისა, ქვეყნის რეალურად მმართველმა სახელისუფლებო კლანებმა, დაკარგული ავტორიტეტის აღსადგენად, წარმატებული შავი პიარის მეშვეობით რამდენიმე საფრთხობელა შექმნეს.

ერთი ასეთი ყველაზე დამაფიქრებელი საფრთხობელა უცხოეთის აგენტურული ქსელის მუშაობაა ირანის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ.

2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ყველაზე

წარმატებულმა კანდიდატმა მირ ჰოსეინ მუსავიმ, რომელმაც ერთხანს პოზიციების დათმობა ამჯობინა, ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა და განაცხადა:

„ნეტავ ვის სჯერა იმისა, რომ ამდენი მომიტინგე უცხოეთის სპეცსამსახურებთან არის შეკრული და თავიანთი ერის სასიცოცხლო ინტერესებს ყიდის?! განა ჩვენი ქვეყანა ისე დამცირდა და დაკნინდა, რომ დიდი სახალხო საპროტესტო მოძრაობა გინდათ უცხოელთა იმპერიალისტურ ზრახვებს მიანეროთ! განა ეს ჩვენი ერის შეურაცხყოფა არ არის? განა ამით 40-მილიონიანი ამომრჩეველს შეურაცხყოფას არ აყენებთ?“

მირ ჰოსეინ მუსავიმ, რომელიც არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენებიდან რამდენიმე დღეში პრაქტიკულად გაქრა აქტიური ავანსცენიდან, სპეციალურ განცხადებაში ახსნა თავისი გაუჩინარების ძირითადი მიზეზიც.

მიუხედავად იმისა, რომ იგი საპარასკეო ლოცვასაც დაესწრო და 15 ივლისს ირანული ავიაკომპანიის თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს სამძიმრის წერილი გაუგზავნა, მაინც აღარ ჩანდა საზოგადოებრივ არენაზე და ხალხის ერთ ნაწილს ეჭვი გაუჩნდა, რომ კაცმა, ვისაც ბოლომდე უნდა ეტვირთა საპროტესტო მოძრაობის წინამძღოლობა, ისინი შუა გზაზე, ბედის ანაბარა მიატოვა.

ხალხის უკმაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ ეს ირანული ინტერნეტფორუმების გვერდებზე შესაბამისად აისახა.

მუსავიმ ლიად განაცხადა, რომ ხელი-სუფლებამ იგი ყველანაირად აიძულა, საპროტესტო მოვლენებს ჩამოშორებოდა და მთელი ეს ხანი პრაქტიკულად შინაპატიმრობაში გაეტარებინა.

მის მიმართ განხორციელებული სპეციალური ღონისძიებების ნაწილი იყო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე დარეგისტრირებული და მისი თაოსნობით გამომავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის, „მწვანე სიტყვის“, დახურვა.

მუსავი თავის მიმართვაში ამ საკითხსაც საგანგებოდ შეეხო და აღნიშნა, რომ სასამართლო ხელისუფლების მეთაურის, შაჰრუდის განცხადებით, გაზეთი „მწვანე სიტყვა“ არავის დაუპატიმრებია და დაუბრკოლებლად შეუძლია გამოვიდეს. სინამდვილეში კი, გაზეთის რედაქცია დალუქულია და თანამშრომელთა დიდი ნაწილი დაპატიმრებული.

არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან ერთი დღის შემდეგ სტამბაში, სადაც გაზეთი „მწვანე სიტყვა“ იბეჭდებოდა, ირანული პროკურატურის თანამშრომლები შეიჭრნენ და ტირანის უდიდესი ნაწილის

განადგურება მოითხოვეს. რამდენიმე დღეში კი გაზეთის მთავარი რედაქტორი და ტექნიკური მუშაკები დააპატიმრეს. დალუქეს და დააყადაღეს საგამომცემლო ოფისი.

მირ ჰოსეინ მუსავიმ აღნიშნა: „ის, რომ ჩვენი ძვირფასი თანამშრომლები ჯერ კიდევ დაპატიმრებულნი არიან ისე, რომ ადვოკატის მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდებიან, და არც ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლება გააჩნიათ, არის უდიდესი უკანონობა. უკანონობაა ის, რომ კონსტიტუციის სანინალმდებოდ, საპროტესტო აქციების ჩატარების ნებას არ გვაძლევენ. ქვეყნისათვის ძირგამომთხრელ საქმიანობას, ჩვენ კი არა, ის ადამიანები ეწვეიან, რომლებიც ძირითადი კანონის უამრავ მუხლს, საკუთარი ნება-სურვილის შესაბამისად, იგნორირებას უკეთებენ“.

აქვე მირ ჰოსეინ მუსავიმ ქვეყნის სამთავრობო რადიო-ტელევიზიების მუშაობა გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ეს ტელევიზიები ხალხის ინტერესების შესაბამისად არ მოქმედებენ.

მირ ჰოსეინ მუსავიმ განაცხადა: „ჩე-

## **პოლიტიკოს პაშაჰი რაფსანჯანის ახასიათება ერთი შესაფერი თვისება: სწრაფად აუღოს ალლო ხალხის განწყობილება და ილაპარაკოს სწორად ამ განწყობათა შესაბამისად, ზუსტი, სპაშიანი და ანონილი ზონით.**

მთვის ყოვლად წარმოუდგენელი იყო ქვეყნის რადიო-ტელევიზიის ის სახე, რომელიც არჩევნების შემდგომ დაინახეთ. მათ, ანდაზისა არ იყოს, „ქვეები დააბეს და ძაღლები აუშვეს!“ პერმანენტულად იწვევდნენ ადამიანებს, რომელთაც ტყუილის, სიცრუის, ცილისწამების, ნაყალბევი ისტორიების შექმნით, მიზნად საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ჰქონდათ დასახული. ეს იმ დროს, როცა 13-მილიონიანი საზოგადოებას (როგორც თქვენ ამბობთ), ჩვენი აზრით კი, ქვეყნის უმრავლესობას საკუთარი პოზიციის დაცვის ელემენტარული სამუშაოება წაართვეს.

როცა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს დიალოგისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობას ართმევენ, შეკავებული ენერგია აუცილებლად სადმე სხვაგან ამოხეთქავს და ხალხი უცხოურ მედიას მიაშურებს. ჩვენ სულაც არ გვინდა ჩვენი ხალხი უცხოურ მედიას დაუკავშირდეს და ამიტომაც

ვკითხულობთ: რატომ არ შეიძლება ერმა თავისი ამბები თავისივე საინფორმაციო საშუალებებიდან შეიტყოს?“

მირ ჰოსეინ მუსავის ამ ვრცელმა კომენტარებმა ცოტათი შეარბილა მისი უმოქმედობით გამოწვეული მწვავე სახალხო უკმაყოფილება, რადგან ირანული საზოგადოება არჩევნების ამ ყველაზე წარმატებულ კანდიდატს ბოლო ხანს ლამის ღალატში ადანაშაულებდა. სანამ ნამდვილი მიზეზი საჯაროდ ითქმებოდა, ხალხმა მუსავის დუმილი და გაქრობა ლავირებისა და ვითარების მოთელვის მცდელობად ჩამოართვა.

ასეთი მცდელობა უფრო წარმატებულად ირანული პოლიტიკური პროცესების „რუხ კარდინალს“, ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის გამოუვიდა. ქვეყნის უწინდელი პრეზიდენტი ჰაშემი რაფსანჯანი, რომელიც წლებადელი არჩევნებისას პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, მუჰიუდინ ქარუბის ღია მხარდამჭერად ითვლებოდა, საბოლოოდ, ირანული დემოკრატიული მოძრაობის, მართალია ფრთხილ, მაგრამ მაინც ყველაზე ანგარიშგასანევი დამცველად მოგვევლინა.

რაფსანჯანის ირანში წინააღმდეგობრივად აფასებენ. „გამჭრიახმა ქოსამ“, როგორც მას ხალხში უწოდებენ, მოახერხა ისე წარმატებულად ეთამაშა, რომ არც ხელისუფლების სადავეები და არც საზოგადოების ნდობა არ დაეკარგა. ამას რაფსანჯანი ფრთხილი და გონივრული პოლიტიკის წყალობით მიაღწია. მას აქვს უნარი, კარგად გააანალიზოს მიმდინარე

პროცესები და თავისი სამოქმედო გეგმები საზოგადოების უმრავლესობის სიმპათიებს შეუხამოს. ამ ტაქტიკის კლასიკური მაგალითი გახლდათ რაფსანჯანის პოზიცია უკანასკნელ მოვლენებთან დაკავშირებით. ის დაელოდა, საით გადაიხრებოდა საზოგადოებრივი აზრი და მხოლოდ ამის შემდგომ გამოთქვა თავისი შეხედულებები. საკუთარ შეხედულებათა დასაფიქსირებლად კი ქვეყნის ყველაზე მარჯვე და მაღალი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ტრიბუნა – თეირანის საპარასკეო ლოცვის კათედრა გამოიყენა.

საპარასკეო ლოცვა მუსლიმური ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ყურანით დადგენილი და შარიათით დაწესებული ამ მოვალეობის – ერთობლივ ლოცვაში მონაწილეობის მიღების – შესრულება მაჰმადიანური თემის ყველა წევრს ევალება. მლოცველები თავისი რიგებიდან თვითონვე ირჩევენ ერთობლივი ლოცვის ხელმძღვანელს, რომელსაც, გარ-

და სალოცავი რიტუალის ჩატარებისა, ცერემონიის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ქადაგების, ე. წ. „ხუტბის“ წარმოთქმაც აკისრია. ხუტბაში საპარასკეო ლოცვის წინამძღოლი ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას აფასებს და მის პოზიციას სშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ქადაგებისას ჰაშემი რაფსანჯანიმ ყველა ის პრობლემა წამოსწია, რაც ხალხს აწუხებს. მან ილაპარაკა პოლიტატიმრების გათავისუფლების აუცილებლობაზე, მედიასაშუალებათა სახელმწიფო კონტროლიდან გასვლის მექანიზმზე, მთავრობის მიერ ხალხის ნდობის დაბრუნების საჭიროებაზე.

პოლიტიკოს ჰაშემი რაფსანჯანის ახასიათებს ერთი შესაშური თვისება: სწრაფად აულოს ალო ხალხის განწყობილებას და ილაპარაკოს სწორედ ამ განწყობათა შესაბამისად, ზუსტი, საქმიანი და ანონიმი ტონით. თანაც მისი პრეზიდენტობის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ჰაშემი სიტყვას ჰაერზე არასოდეს ისვრის და თუ რამეს გადაწყვეტს, შესარულებს კიდეც.

ოლონდ, რა თქმა უნდა, იგი „ირანული დემოკრატიის მამად“ მანაც არ უნდა წარმოვიდგინოთ. რაფსანჯანი გარკვეული შუალედური რგოლია უმაღლესი სასულიერო ხელისუფლებასა და ხალხს შორის და იგი ამ ურთიერთობას შესანიშნავად აბალანსებს. როგორც ჩანს, ირანის მმართველ ელიტურ წრეებშიც ხვდებიან ამ დაბალანსების აუცილებლობას და ამიტომაც შეარჩიეს იგი ყველაზე მნიშვნელოვანი პარასკევის ერთობლივი ლოცვის ხელმძღვანელად. ყოველ შემთხვევაში, მისი პოზიცია ცხადყოფს, რომ თავად მთავრობის უმაღლეს ემელონებში ერთსულოვნება ნამდვილად არ არის და მმართველ გუნდში თავი იჩინა აშკარა წინააღმდეგობამ.

ამ წინააღმდეგობათა თავისებურ რეზონატორად გამოდგება უმაღლესი სასულიერო ლიდერის მიერ ერთსა და იმავე თემებზე გაკეთებული ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები.

ლიდერის არათანმიმდევრულობამ კიდევ ერთხელ ააგორა ძველი ქორი, რომელიც ხალხში, დიდი ხანია, ტრიალებს, მაგრამ ბოლო დროს უკვე ირანულ საინფორმაციო წყაროებშიც გაჟონა.

ამ ცნობების თანახმად, ხამენეის, მასზე განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ, რის გამოც ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყა, ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად მორფინს უკეთებენ. ლიდერის ნება-სურვილით, ნემსი მხოლოდ და მხოლოდ მის პირად ექიმს დოქტორ მანაფის უნდა გაეკეთებინა და ასეც ხდე-

ბოდა. თუმცა ბოლო დროს, ასაკთან ერთად ხამენეის გარემომყოფთა მიმართ უნდობლობა და ეჭვიანობა მოედალა და ეს ეჭვიანობა თავის პირად ექიმზეც გავრცელდა. ამიტომაც, მისი ბრძანებით, სანამ მანაფი მორფინს გაუკეთებს, მანამდე იძულებულია, ნემსი თვითონ გაიკეთოს, რომ ახირებული პატრონი წამლის ვარგისიანობაში დაარწმუნოს.

ირანული წყარო სწორედ ამ გარემოებით ხსნის სასულიერო ლიდერის საუბარსა და ქცევაში გაჩენილ შეუსაბამობებს და ასკვნის, რომ „ხამენეის, ძირითადად, ორი ბუნებრივი მდგომარეობა აქვს: ის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ, ანდა „ლომკაშია“, ამიტომაც შეუძლებელია მის სიტყვებსა და ქმედებაში ლოგიკის დანახვა. სამწუხაროდ, ხამენეი ერთი ჩვეულებრივი ნარკომანია და მისი ყოველდღიური ყოფა ნარკომანთა ყოფისაგან ღიდად არაფრით განსხვავდება“.

იგივე წყარო ლიდერის ალოგიკურობის მეორე მიზეზზეც მიუთითებს: „ბოლო დროს ვითარება იმდენად დამძიმდა, რომ ხამენეის უფროსმა ვაჟმა მუსტაფა ხამენიმ, რომელიც სახლისა და სახელმწიფოს ფაქტობრივი ბატონ-პატრონია და ყველაფერი მისი ნება-სურვილით ხორციელდება, საკმარისია მამას ნემსის გაკეთება აუკრძალოს (რაც, როგორც ამბობენ, არაერთხელ მომხდარა), რომ ხამენეი იმაზეც კი ხელს მოანერს, რასაც მთელი არსებით ეწინააღმდეგება, ოლონდ კი ნარკოტიკის აუცილებელი დოზა მიიღოს“.

ვერ დავინყებთ იმის მტკიცებას, რამდენად შეესაბამება ინტერნეტში გავრცელებული ამ ჩანანერის ავტორის მიერ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს. თუ ეს სიმართლეა, ჯანმრთელ ადამიანს, შესაძლოა, ირანის ძღვევამოსილი სასულიერო ლიდერის ტრაგიკული სიბერის მიმართ შეცოდების გრძნობაც კი გაუჩნდეს.

თუმცა მთავარი აქ სხვა რამ, უფრო სწორად, სხვა ვინმეა: მუსტაფა ხამენეი – ლიდერის ვაჟი, რომლის სახელიც პირველად ქვეყნის წინა საპარლამენტო არჩევნების დროს მომხდარ მაქინაციებთან დაკავშირ-

**სწორად მუსტაფა ხამენეი ითვლება წლავანდელი ფართომასშტაბიანი რეპრესიებისა და დემონსტრაციების აპიკისტია მასობრივი დაპატიმრებების ერთ-ერთი მგზნებარე ინისიატორად.**



საპარლამენტო აქცია, თბილისი, 17 ივლისი 2009

ფოტო REUTERS / სტრინგერი



ბით ამოტივტივდა, როცა იგი წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთმა კანდიდატმა და მამინდელი საპარლამენტო არჩევნების მონაწილემ, მეპტი ქარუბნიმ სასურველი პოლიტიკური ფრაქციების არანესიერ და არაკანონიერ ლობირებაში დაადანაშაულა.

სწორედ მუსტაფა ხამენი ითვლება წლევანდელი ფართომასშტაბიანი რეპრეზენტებისა და დემონსტრაციების აქტივისტთა მასობრივი დაპატიმრების ერთ-ერთ მგზნებარე ინიციატორად.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განსხვავებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხედულებების ადამიანების დაპატიმრება იმდენად მასშტაბური გახდა, რომ ირანში შექმნილმა ვითარებამ ლოიალური „საერთაშორისო ამნისტიის ორგანიზაცია“ კი შეაშფოთა.

ამ ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის მმართველი რეჟიმის მიერ, დაახლოებით ერთ თვეზე მეტია, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართ უმკაცრესი რეპრესიები ხორციელდება; ხდება დევნა, ხოცვა-ჟლეტა, მასობრივი დაპატიმრებები და შეურაცხყოფა. ამასთან დაკავშირებით „საერთაშორისო ამნისტიის ორგანიზაცია“ 25 ივლისს აცხადებს მსოფლიოს ირანელი ხალხისადმი სოლიდარობის დღედ. ამ დღეს მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში ირანის საელჩოებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების წინ გაიმართება საპროტესტო აქციები.

პატიმართა გათავისუფლების მოთხოვნით პროტესტის ამ ფორმას მანამდე თვითონ ირანელმა ემიგრანტებმა და საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებმაც მიმართეს.

ერთი კვირის წინ ამერიკაში მცხოვრებ ირანელთა სათვისტომოს 10-მა წარმომადგენელმა ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისის წინ საპროტესტო შიმშილობა წამოიწყო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გამეფებული განუკითხაობისა და ტირანიის წინააღმდეგ.

ინტერნეტი შიმშილობის ორგანიზებისა და ამ მოვლენისათვის შესაბამისი რეზონანსის მიცემის მარჯვე საშუალება გამოდგა.

პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ცნობილი ადამიანი უერთდება საპროტესტო აქციას. ეს ინფორმაციები კი ხალხზე მომნუსხველად მოქმედებს.

ამ რამდენიმე დღის წინ, მაგალითად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცნობილმა

ირანელმა მომღერალმა ქალმა, გუგუშმა გადანყვიტა, გაერო-ს შენობის წინ მიმდინარე აქციას და ირანელ ხალხს შეუერთდა. გუგუში ალბათ ყველა თაობის ირანელთა ყველაზე საყვარელი მომღერალია.

ისლამურ რევოლუციამდე მომღერალი დიდების მწვერვალზე იყო და მას ფილმებშიც იღებდნენ. 80-იანი წლების ქართველ მაყურებელს, შესაძლოა, ის ახსოვდეს ჩვენს კინოთეატრებში გასული ფილმიდან „ხანგრძლივი ღამე“.

1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ მომღერალი ერთხანს თავის სამშობლოში დარჩა, რამდენიმე წლის შემდეგ კი ამერიკაში ემიგრაცია მოახერხა.

ინტერნეტით გავრცელდა მისი მიმართვის ტექსტები:

„დაჭრილი და დაღუპული ადამიანების შემზარავი კადრების ხილვა გულწრფელად მატირებს და, სამშობლოს გარეთ მცხოვრები ყველა ირანელის მსგავსად, ჩემი გულიც დღეს ირანის ქალაქებში იმყოფება. ყოველწამიერად ვცდილობ, წარმოსახვის მეშვეობით, ციხეების სპეციალურ საკნებში შევალწიო და ახლოდან ვნახო და შევიგრძნო, რა ხდება იქ. ეს არის მტკივნეული გამოცდილება, რომელსაც გონებით დავატარებ. თან ვფიქრობ, როცა სპეციალურ საკნებში ტყვეობის ეს წარმოსახვითი გამოცდილება ასეთი მტკივნეულია, როგორ უძლებენ ირანის მამაცი და გამბედავი შვილები ამგვარ სინამდვილეს. ერთ მხარეს დგანან თვალახვეული პატიმრები, მეორე მხარეს კი მათი ჯალათები, რომლებიც ყველა საშუალებით ცდილობენ ირანის მინა-წყლის რჩეული შვილების დამხოვასა და დაკნინებას.“

მე თანადგომას ვუცხადებ და ამერიკაში მცხოვრებ ყველა ირანელს მოუწოდებ, შეუერთდეს ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის წინ დაგეგმილ შიმშილობას. თვითონაც, როგორც ერთ-ერთ ირანელს, განზრახული მაქვს, ამ აქციაზე ბოლომდე ვიდგე, რათა პოლიტიკური და სინდისის პატიმრების გათავისუფლების საქმეში ეგებ ერთი ნაბიჯით მაინც წინ წავეინით!“

გუგუშის ამ მიმართვასა და საერთოდ შიმშილობის აქციას ძალზე მალე შეუერთდა ასევე ამერიკაში მცხოვრები და არანაკლებ პოპულარული მომღერალი – ები.

ირანში მცხოვრები ხელოვანებიდან კი ტრადიციული მუსიკის დიდოსტატი, მაჰმუდ შაჯარიანი საპროტესტო აქციების დაწყების პირველი დღიდანვე ქუჩაში გამოვიდა და ღიად დააფიქსირა თავისი სიმპათია პრეზიდენტობის კანდიდატის მექდი ქარუბის მისამართით.

ხელისუფლების მიერ საპროტესტო

მიტინგების დარბევისა და ათეულობით მომიტინგის მკვლელობის შემდეგ შაჯარიანი ქვეყნის რადიოსადგურებს მისი ერთ-ერთი პოპულარული კომპოზიციის „ირანის ღირსების“ გადაცემა აუკრძალა.

მუსიკოსის განცხადებით, „ეს კომპოზიცია ისლამური რევოლუციის დღეებში, მაშინ შეიქმნა, როცა ხალხი ღირსებისათვის იბრძოდა და ქვეყანაში თავისუფლებისა და რელიგიური იდეალების რწმენა არსებობდა. დღევანდელ ვითარებაში კი რეჟიმს, რომელიც ისლამური რევოლუციის სავალალო შედეგად მივიღეთ, უფლება აღარ აქვს, გულწრფელი კომპოზიცია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და ქვეყანაში, სადაც ყოველწამიერ აკნინებენ ადამიანის ღირსებას, ილახება კაცის თავმოყვარეობა და ფუნდამენტური უფლებები, სწორედ მისი მეშვეობით აღარარსებული ღირსება განადიდონ“.

ღირსების აყრის, განსაკუთრებით კი დაპატიმრებულთა შეურაცხყოფის შემზარავი ფაქტები ირანული ინტერნეტსაიტების მეშვეობით თითქმის ყოველდღიურად მზეფერდება.

ინგლისური „გარდიანის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ შირაზში საპროტესტო აქციის დროს დაკავებულ ახალგაზრდებზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა სექსუალური ძალადობა განახორციელეს.

ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის ამბავსაც აღნიშნული გაზეთი გვაუწყებს, საპროტესტი აქციაზე დაკავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ რამდენჯერმე გახდა სამართალდამცავთა მხრიდან სექსუალური, მათ შორის, ჯგუფური ძალადობის ობიექტი.

ეს იმ ქვეყანაში ხდება, რომლის პრეზიდენტმა – მაჰმუდ აჰმადინეჟადმა ერთ-ერთი მაღალი საერთაშორისო ტრიბუნლიდან საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე განაცხადა, – ჩვენ გეები და ლესბოსელები არა გვყავსო!

საერთოდ, მთელი პრობლემა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ერთი და იგივე მოვლენებისათვის სხვადასხვა სახელის დარქმევამ გამოიწვია. ირანის მმართველი ელიტა დღესაც ჯოტად ამტკიცებს თეთრზე – შავიაო, – და თავისი „სიმართლის“ გასატანად არც საკუთარი მოქალაქეების დატერორებასა და სისხლისღვრას არიდება.

ამ მოვლენის არსს საპროტესტო აქციის ერთი ლოზუნგი ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს: „ჩვენ დავნერეთ „მუსავი“, მათ წაიკითხეს „აჰმადინეჟადი“!

ბოლოს და ბოლოს, საქმეც ზუსტად ესაა. ■

მედიკალიზის ვიზიტი ცხინვალში

# მედიკალიზი ცხინვალში

ოთხსაათიანი ვიზიტით რუსეთის  
პრეზიდენტმა ოს ხალხს უპრეცედენტო  
მხარდაჭერა აბრძნობინა და ჯენტლმენობის  
ბამოვლენაც მოახერხა >>

ანა ჯიოვაა ცხინვალი



ფოტოგრაფი:  
■ რუსეთის  
პრეზიდენტის  
ვიზიტი ცხინვალში,  
13 ივლისი 2009

**13 ივლისს, მოსკოვის დროით 13 საათზე აეროპორტში დაეშვა ვერტმფრენი, რომელმაც ცხინვალში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ჩამოიყვანა.**

ამ დღემდე რუსეთის არც ერთ პრეზიდენტს და საბჭოთა კავშირის არც ერთ გენერალურ მდივანს ამ მიწაზე ფეხი არ დაუდგამს.

„დაახლოებით პირველის ნახვერისთვის გამოვედი თეატრის მოედანზე. მთავრობის სახლთან ჩოჩქოლი იყო. კიბეებზე წითელ ხალიჩას აფენდნენ, ყვავილები დაჰქონდათ აქეთ-იქით, გიჟებივით დარბოდნენ. ეტყობა, ვიღაც სტუმარი ჩამოდისო, – ვთქვით იქ შეკრებილებმა, მაგრამ აზრადაც არ მოგვსვლია, რომ მედვედევი იქნებოდა“, – ჰყვება ცხინვალში მცხოვრები თემური.

უმალესი რანგის სტუმრის ჩამოსვლის შესახებ თავად რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ მედვედევის ვიზიტამდე ერთი საათით ადრე შეიტყო.

ამას ადასტურებს ინფორმაციისა და ბეჭდვის მინისტრთან ირინა გაგლოევასთან გამართული შეხვედრაც, სადაც ადგილობრივი ჟურნალისტები დაპატიჟეს. შეხვედრა 13-ში დილით გაიმართა. მინისტრმა ჟურნალისტები გააფრთხილა, – ხუთი დღის ვადაში რესპუბლიკაში მედვედევის ვიზიტს ველითო. შეხვე-

დრა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა გაგლოევას მობილურმა დარეკა. ხაზზე პრეზიდენტი კოკოითი იყო. „დღეს მედვედევი ჩამოდის“, – უთხრა მან გაგლოევას. ზუსტად 30 წუთში რუსეთის პრეზიდენტი ცხინვალში იყო.

„ნახევარ საათში ჩამაცვეს. კაბაც არ მქონდა მონესრიგებული. ზოგი რაღაცას აუთოვებდა, ზოგი ღილს აკერებდა, სხვები მაკაიუს მიკეთებდნენ. მოკლედ, ფართხა-ფურთხით გამომანყვეს“, – ჰყვება ბედნიერებისგან გაბრწყინებული 20 წლის მარინა. ის ახლა ცხინვალში ნამდვილი ვარსკვლავია – პრეზიდენტმა მედვედევმა მისი მიწოდებული ხაზიგინი გასინჯა.

„ხელში ცხელი ღვეზელი მეჭირა, ღუმელიდან ორი წუთის წინ ამოიღეს, სასწრაფოდ, 20 წუთში გამოაცხვეს... როცა მომიახლოვდა, მუხლები ამიკანკალდა. პრეზიდენტი მედვედევი ცხოვრებაში ისეთი ახალგაზრდა, სიმპათიური და თავაზიანი ყოფილა“, – უკვე მესამედ ჰყვება მარინა მედვედევთან შეხვედრის დეტალებს.

სტალინის ქუჩაზე, მთავრობის სახლ-



თან პრეზიდენტების კორტეჟის გაჩერებისას რამდენიმე ათეული ადამიანი იყო შეკრებილი. მანქანიდან რუსეთის პრეზიდენტი რომ გადმოვიდა, მათ ახლობლებთან მობილურებით რეკვა ატეხეს.

ხალხი მას მქუხარე ტაშით შეხვდა. მხოლოდ ერთ სიტყვას გაიძახოდნენ: „მადლობა!“

სახელმწიფო ანსამბლმა „სიმდი“ ნაციონალური სიმღერა „აისაი ანაზაი“ შეასრულა. სტუმარმა ოსურ საბიზგინს გაუსინჯა გემო და ახლად მოხარული ლუდი დააყოლა. პროტოკოლური ფოტოსესია ორიოდ წუთს გაგრძელდა. პრეზიდენტები ილიმოდნენ და ერთხელ გადაეხვივნენ კიდევ ერთმანეთს.

ლანა, ცხინვალელი ჟურნალისტი ჰყვება: „მიუხედავად იმისა, რომ მედვედევის ვიზიტი სამხრეთ ოსეთში ძალიან ხანმოკლე იყო, მან თავისი ადამიანური და ჯენტლმენური თვისებების გამოვლენა მოასწრო. ერთ-ერთ ჟურნალისტ გოგონას დიქტოფონი დაუვარდა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი მამაკაცური ინსტინქტით დაიხარა მის ასაღებად“.

ოფიციალურ შეხვედრებზე ჟურნალისტები არ დაუშვეს. პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრა მთავრობის სახლში ორმოც წუთს გრძელდებოდა. შემდეგ პრეზიდენტ მედვედევს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები შეხვდნენ. შენობიდან გამოსულს მოედანზე უკვე ზღვა ხალხი ელოდა. „მად - ლო - ბა!“ – ყვიროდა ხალხი. მოკრძალებული ღიმილით მედვედევი მიკროფონთან მივიდა და ხალხს აგვისტოს ომის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის თავად გადაუხადა მადლობა.

ცხინვალის დათვალეირება დაიწყო მეხუთე სკოლიდან, სადაც ოსეთის თავისუფლებისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალია.

მედვედევმა ასევე მოინახულა რუსული სამხედრო ბაზა და ქალაქში რამდენიმე წუთს ისეირნა.

როგორც ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები პირად საუბრებში აცხადებენ, მედვედევი უკმაყოფილო დარჩა აღდგენითი სამუშაოებით.

ომიდან თითქმის წელიწადი გავიდა და, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა რესპუბლიკას სოლიდური ფინანსური დახმარება აღმოუჩინა, ქალაქი ისევ დანგრეულია და ხალხი კარვებში ცხოვრობს.

წყაროები ცხინვალის ხელისუფლებიდან ამბობენ, რომ მედვედევს კოკოითისთან მკაცრი საუბარი ჰქონდა და სხვა საკითხებთან ერთად ოსეთის პარლამენტის ბოლო ინიციატივაც გააკრიტიკა (დეპუტატებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, მიიღონ ახალი კონსტიტუცია, რომელიც ედუარდ კოკოითის მესამე ვადით არჩევის უფლებას მისცემს). მედვედევმა კოკოითის მიანიშნა, რომ კონსტიტუციის შეცვლა მიზანშეწონილი არ არის.

ცხინვალელი ჟურნალისტი თემურ ცხოვრებოვი ამბობს, რომ რუსეთის მხარდაჭერა სამხრეთ ოსეთის მიმართ მუდმივი არ იქნება. „ოსეთის პოლიტიკურმა აზროვნებამ უნდა გააკეთოს მკაფიო დასკვნა – ოსებზეა დამოკიდებული, რამდენად მყარ რესპუბლიკას შექმნიან ისინი დროის იმ მონაკვეთში, რომელიც მათთვის არის განსაზღვრული, ანუ პუტინი-მედვედევის მმართველობის პერიოდში. რა იქნება მეფე, არავინ იცის“, – ამბობს იგი.

მედვედევი ლენინგორის რაიონსა და ჯავაშიც ჩავიდა. ჯავაში დიმიტრი ანატოლის ძეს ოსური სუფრა დაახვედრეს. ადამიანის უფლებათა დამცველი ვისარიონ ასეევი იმ უმცირესობაშია, რომელმაც საერთო ეიფორიის ფონზე მედვედევის ვიზიტი გააკრიტიკა. „ობამა რომ მოსკოვში ჩავიდა, იგი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შეხვდა. ამერიკის პრეზიდენტს სურდა, თავად შეექმნა წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ რუსეთში. დიმიტრი მედვედევის ვიზიტის დროს კი ეს არ ყოფილა. თუმცა, ჩემი აზრით, მას მაინც ჰქონდა საშუალება, შეეფასებინა არსებული მდგომარეობა. ის ფაქტი, რომ მისი ვიზიტის შემდეგ ცხინვალს რუსეთის საგანგებო საქმეთა მინისტრი სერგეი შოიგუ ესტუმრა, სწორედ ამას მოწმობს; ანუ, მედვედევმა იცის, რომ სამხრეთ ოსეთი ამ ხელისუფლების პირობებში კოლაფსში იმყოფება“, – განაცხადა მან.

ამ ვიზიტმა რამდენიმე საათით ააფორიაქა აგვისტოს ომის შემდეგ დათრგუნული ცხინვალის დუნე ცხოვრება. მედვედევმა სამხრეთ ოსეთში დაახლოებით ოთხი საათი დაჰყო. მის სტუმრობას კი აქ კიდევ დიდხანს გაიხსენებენ, რადგან ცხინვალის მოსახლეობისთვის დიმიტრი მედვედევის ვიზიტი იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთი მის მიერ აღიარებულ რესპუბლიკას გასაჭირში მომავალშიც არ დატოვებს. **■**

# პრივილეზირებული თავისუფლება

საქართველოში აღმსარებლობის თავისუფლება კონსტიტუციითა და სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციითაა განმტკიცებული, თუმცა რელიგიური უმცირესობებისთვის საქართველოში თანაბარი გარემო არ არსებობს >>

ენო ბაქიშვილი

2005 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში სოზარ სუბარის მოხსენების მოსმენის შემდეგ დეპუტატების უმრავლესობამ პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა. უმრავლესობა და ოპოზიცია ერთნაირად გააბრაზა სახალხო დამცველის პოზიციამ. იმ დღეს სუბარმა თავის ყოველწლიურ მოხსენებაში რელიგიის საკითხში სახელმწიფო პოლიტიკა გააკრიტიკა. მისი თქმით, მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის ხელმწიფო საკონსტიტუციო შეთანხმება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო კონვენციებით აღიარებულ თანასწორუფლებიანობის პრინციპს არღვევდა. შეთანხმება, რომელიც 2002 წელს, შევარდნაძის მმართველობისას დაიდო, მართლმადიდებელ ეკლესიას, საქართველოში მოქმედ სხვა რელიგიურ ჯგუფებთან შედარებით, მნიშვნელოვან პრივილეგიებს ანიჭებს და კონსტიტუციის მეცხრე მუხლის ორი პუნქტით არის განმტკიცებული. სახალხო დამცველმა ამ ტიპის შეთანხმების გაფორმება იმ რელიგიურ ორგანიზაციებთანაც მოითხოვა, რომლებსაც საქართველოში საუკუნეების ისტორია აქვთ – იუდაურ თემთან, სომხურ სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასთან, ისლამთან და კათოლიკე ეკლესიასთან. მაშინ სახალხო დამცველს პოლიტიკური მხარდაჭერა პარლამენტართაგან მხოლოდ ერთმა დეპუტატმა, გიგა ბოკერიამ გამოუცხადა.

მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკა არ შეცვლილა. საპატრიარქოს გაღიზიანებას ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთნაირად ერიდება. რამდენიმე დღის წინ ოპოზიციის ნა-

წილმა „ნორმატიული აქტების“ შესახებ კანონპროექტი გააპროტესტა. მათი აზრით, შემოთავაზებული ცვლილებების ამოქმედების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას, უფრო სწორად, მის უპირატესობას სხვა კანონებთან მიმართებაში, საფრთხე დაემუქრება. როგორც ჩანს, ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს ძალიან აწუხებთ ის, რომ შეიძლება, სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის ხელშეკრულების დადება სხვა კონფესიებთანაც გახდეს შესაძლებელი. მათი თქმით, „ეკლესია დაკარგავს იმ მცირე უპირატესობასაც კი, რაც მას დღეს აქვს“. კანონ-პროექტში კონსტიტუციური შეთანხმება მართლაც ამოღებულია მეშვიდე მუხლის ნორმატიული აქტების ჩამონათვლიდან. თუმცა, მაინც საეჭვოა, რომ კანონპროექტის დამტკიცებამ კონსტიტუციურ შეთანხმებას ძალა დაუკარგოს, რადგანაც იმავე მუხლში გარკვევით წერია, რომ „საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიმართ“.

თავისუფლების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარის ლევან რამიშვილის აზრით, რელიგიის შესახებ კანონის მიღებამ და ე.წ. „ტრადიციულ“ რელიგიებთან ხელშეკრულებების გაფორმებამ შეიძლება უფრო მეტად გაამძაფროს დისკრიმინაციული ფონი სხვა, ჩვენში შედარებით ახლად დამკვიდრებული რელიგიების მიმართ და სახელმწიფოც სწორედ ამიტომ ფრთხილობს. „ძნელია იმის განსაზღვრა, რა არის რელიგია და რომელი ორგანიზაციებია რელიგიური. რელიგიურ გაერთიანებებს, ვინც სახელმწიფოსთან ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვს, სურთ, რომ დაახლოებით ისეთი პრივილეგიები ჰქონდეთ, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს“, – ამბობს ლევან რამიშვილი და ფეხბურთის მაგალითი მოჰყავს, სადაც არსებობს პრემიერ ლიგა, შემდეგ მოდის პირველი ლიგა და შე-



**„მას“ ეკლესიის მოქალაქე მამა ბელასი პროპილი ამბობს: „შეიშოვთ, რომ ოპოზიციის გამაჩვენებინ შამთხვევაში, ისევ დაუხველაბი აღმოვიჩნდებით“.**



მდეგ – ყველა დანარჩენი. ლევან რამიშვილის აზრით, რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებიც უარს ამბობენ რეგისტრაციის იმ მოდელზე, რომელსაც მათ სახელმწიფო სთავაზობს – ანუ კერძო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაციაზე, სწორედ პრივილეგიების მიღება სურთ.

სომხური ეკლესიის სურბ გევორგის მსახურმა მამა ნარეკმა მისი ეკლესიის ამგვარი სურვილი რამდენიმე მიზეზით ასსნა: პირველი ისაა, რომ სომხური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში, 1500 წელია, არსებობს და, ახლახან შექმნილი რელიგიური უმცირესობებისგან განსხვავებით, გარკვეული პრივილეგიები ეკუთვნის; მეორე – სომხური ეკლესია სა-

ქართველოში ისტორიულად ფლობდა ქონებას, რომელსაც ვერ იბრუნებს.

მაშინ, როდესაც საქართველოს ეკლესიისთვის ისტორიულად კუთვნილი ქონების დაბრუნების გარანტიები კონსტიტუციურ შეთანხმებაშია ჩადებული, დანარჩენი დენომინაციების ქონების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ სახელმწიფოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამ პროცესს არც კანონი არეგულირებს, რაც ბუნებრივია, რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა პროტესტს იწვევს.

რამდენიმე წლის წინ, ქართული საზოგადოება აღშფოთებით შეხვდა სომხური ეკლესიის განცხადებას იმის შესახებ, რომ სომხებმა საქართველოში 600 რელიგიური

ნაგებობა ააშენეს. „საქართველოში ჩათვალეს, თითქოს სომხები 600 ეკლესიის გადაცემას ითხოვდნენ, რაც ღიმილისმომგვრელია, – ამბობს მამა ნარეკი. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდოდა, რომ საქართველოში ჩვენ არაფერს ვანგრევდით, პირიქით, ვაშენებდით და ჩვენი წვლილი შეგვექონდა ქართული კულტურის განვითარებაში“. დღეს სომხური ეკლესია საქართველოში სულ 6 ტაძრის დაბრუნებას მოითხოვს. ექვსივე ტაძარი სომხურია და იქ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჯერჯერობით წირვა-ლოცვა არ დაუწყია. შარშან ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ნორაშენის ეკლესიაში სომხური მრევლის და სამღვდლოების უკანონოდ

ფოტო: თეიმურაზი პარპიანიძე

შეჭრის და იქ ღვთისმსახურების ჩატარების შემდეგ დიდი აჟიოტაჟი ატყდა ქართულ ტელემედიაში. მანამდე კი, როცა მღვდელმა ტარიელ სიკინჭილაშვილმა ნორაშენის ეკლესიის ეზოში თამამშვეების საფლავების ქვებს ბულდოზერები მიაყენა, არც ერთ ქართულ ტელევიზიას ეს ფაქტი არ გაუშუქებია. მაშინ სომხურმა მრევლმა ტელეფონით გადაღებული კადრები ინტერნეტით გაავრცელა და ასე სცადა ყურადღების მიქცევა. თუმცა, ნორაშენთან და სხვა სომხურ ეკლესიებთან დაკავშირებით არაფერი შეცვლილა.

მამა ნარეკი იმაზეც წუხს, რომ სომხური კულტურის ძეგლების რესტავრაციისთვის საქართველოს სახელმწიფო თანხებს არ გამოყოფს და ეს შენობები ნელ-ნელა ინგრევა.

„საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და ყოველთა სომეხთა პატრიარქმა წლების წინ მოილაპარაკეს, რომ, როგორც კი საქართველოში მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება, სადავო ეკლესიებს სომხურ მხარეს გადასცემდნენ. ჩვენ ვთვლით, რომ ეს დრო დადგა. ვინ უშლის ხელს კანონიერების აღდგენას, არ ვიცით, რადგან სახელმწიფო მოხელეები საპატრიარქოსკენ იშვრენ ხელს, საპატრიარქო კი პირიქით – ყველაფერს სახელმწიფოს აბრალებს“, – ამბობს მამა ნარეკი.

ქონების დაბრუნებას უშედეგოდ ცდილობს კათოლიკური ეკლესიაც. წლებია, გრძელდება დავა იმ ტაძრებზე, რომლებსაც კათოლიკეები თავიანთ საკუთრებად თვლიან. დღეს ქართველი კათოლიკეები ბათუმის, გორის, ქუთაისის, სოფელ ივლიტასა და უდეს ტაძრების დაბრუნე-

ბას უკვე აღარ მოითხოვენ. კათოლიკეთა ეპისკოპოსმა მამა ჯუზეპე პაზოტომ გვითხრა, – ჩვენ მხოლოდ იმას ვითხოვთ, რომ რახან მართლმადიდებლებს ეს ეკლესიები ახლა სჭირდებათ და იქ წირვა-ლოცვა ტარდება, ეკლესიამ და საქართველოს სახელმწიფომ აღიარონ, რომ ეს შენობები ისტორიულად კათოლიკეთა კუთვნილება იყო, და მერე თუნდაც 1000 წლის შემდეგ, როცა აღარ დაგჭირდებათ, დაგვიბრუნეთ. დავა ამ ტაძრების შესახებ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. „სადავო ეკლესიებთან დაკავშირებულ პროცესს თან სდევს ისტორიული მემკვიდრეობის ხელყოფის ფაქტები. მაგალითად, სოფელ ივლიტაში შეიცვალა ეკლესიის ინტერიერი, გორში კედლებიდან ამოიღეს ფრესკები. ეს არის კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფა, რასაც სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია“, – ნათქვამია საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის ანგარიშში.

„15 წელიწადია, აქ ვარ და 15 წელია, ერთი პრობლემა დგას კათოლიკური ეკლესიის წინაშე, – ამბობს მამა ჯუზეპე, – სხვა რელიგიების წარმომადგენლებთან ერთად კანონიც მოვამზადეთ, მაგრამ ჩვენს მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. დღეს საქართველოში კათოლიკურ ეკლესიას იურიდიული სტატუსი არ აქვს, იმიტომ, რომ სახელმწიფო არ გვაძლევს საჯარო იურიდიულ პირად დარეგისტრირების საშუალებას. ეკლესია კი არ არის კერძო იურიდიული პირი! ველოდებით იმ დროს, როცა გვექნება საშუალება, დავრეგისტრირდეთ, როგორც ეკლესია; ასევე გვანუხებს ქონების დაბრუნების საკითხიც, რომელიც ვერა და ვერ გვარდება; თანაც, მარტო კათოლიკური ეკლესია არ არის ამგვარ მდგომარეობაში. თუ ეს საკითხები არ გადაიჭრა, საქართველოში რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ჯანსაღი და თანაბარი ურთიერთობები არ იქნება. ქვეყანაში მშვიდობის საფუძველი სამართლიანობაა და თუ სამართლიანობა არ იქნა, არც მშვიდობა იქნება. უნდა დაველოდოთ, სხვა გზა არ გვაქვს.“

**გაშინ, როდესაც საქართველოს ეკლესიისთვის ისტორიულად კუთვნილი ქონების დაბრუნების გარანტიები კონსტიტუციურ შეთანხმებაშია ჩაღებული, დანარჩენი დემონსტრაციის ქონების საკითხის გადაწყვეტა ხოლოდ სახელმწიფოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.**



■ „მის“ (მართლმადიდებელი ესკლესია საქართველოში)



■ „მის“ (მართლმადიდებელი ესკლესია საქართველოში)

რეგისტრაციის არქონა, ბუნებრივია, ებრაელთა თემს და მუსლიმებსაც ანუ-ხებთ, მაგრამ სომხური და კათოლიკური ეკლესიისგან განსხვავებით, ისინი ამ საკითხს დრამატულად არ უყურებენ. ამბობენ, რომ სახელმწიფო ყველანაირად ეხმარება. ისიც მითხრეს, რელიგიურ ნაგებობებს და მიწებს კერძო პირებზე ვაფორმებთ და ამიტომაც, სტატუსის არქონა დიდად არ გვიშლის ხელსო. აგრეთვე საქართველოს ეკლესიისა და კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის კეთილგანწყობილ დამოკიდებულებასაც ილაპარაკეს. მათი ნაამბობიდან კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ საპატრიარქოს დაპირისპირება და დავა ქრისტიანულ კონფესიებთან უფრო აქვს.

რელიგიური ორგანიზაციების ნაწილი სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ რეგისტრაციის მოდელს დათანხმდა, ძირითადად ისინი, ვინც საქართველოში შედარებით ახალი დამკვიდრებულია. მათ შორის, ვინც რეგისტრაციის ამ მოდელს დიდად არ აკრიტიკებს, მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტიტთა ეკლესიაცაა, თუმცა, ის საქართველოში არსებობის 100 წელზე მეტს ითვლის. ამ ეკლესიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და რელიგიური თავისუფლების განყოფილების ხელმძღვანელი, სერგო ნამორაძე ამბობს, რომ სტატუსი, რომელიც სახელმწიფომ რელიგიურ უმცირესობებს შესთავაზა, სრულფასოვანი არ არის, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ: „მაღლობლები ვართ, რომ რეგისტრაციის პროცედურა გამართვდა. ამის გარეშე, შეუძლებელი იყო არსებობა. ჩვენ გვაქვს ქონება, გვჭირდება საბანკო ანგარიში, გამოცემით ლიტერატურას, საჭიროა, ვი-

მოქმედოთ, როგორც იურიდიულმა პირებმა. საკონსტიტუციო შეთანხმება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის მართლაც ბადებს გარკვეულ კითხვებს, უპირველესად, იურიდიული და საკონსტიტუციო თვალსაზრისით. ვარდების რევოლუციამდე ჩვენი მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. 2004 წლიდან 2008 წლამდე პერიოდს ნამდვილად არ ვემდურით, ახლა ვექტორი ისევ უარყოფით მხარეს გადაიხარა. ის, რომ ფიზიკურ შეურაცხყოფას არ გვაყენებენ, აღარ გვარბევინ, ბევრს არაფერს ნიშნავს. პრობლემა საზოგადოების არაინფორმირებულობაშია. ჩვენი მოქალაქეების უმეტესობას არ შეუძლია განასხვავოს იდოლოგი და პროტესტანტი. როდესაც იგებენ, რომ არ ხარ მართლმადიდებელი, ეჭვის თვლით გიყურებენ, თვლიან, რომ ცუდი ქართველი და ცუდი პატრიოტი ხარ. არადა, რელიგია არჩევანის სფეროა და არა – მოცემულობა“.

საზოგადოების არაინფორმირებულობაზე სხვა რელიგიების წარმომადგენლებიც ლაპარაკობენ. მედია მათ პრობლემებს ნაკლებად აშუქებს, სკოლებში არ ისწავლება რელიგიების ისტორია. არც ისაა ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი, რომ საქართველოში, გარდა ქართული სამოციქულო ეკლესიისა, რამდენიმე სხვა მართლმადიდებელი ეკლესიაც მოქმედებს. მათ ნაწილს საქართველოს საპატრიარქო განხეთქილებაში, ე.წ. „სქიზმაში“ მყოფებს უწოდებს. ასეთი რამდენიმე ეკლესიაა, მათ შორის – სტაროვერები, გლდანის ეპარქია, ზედაზნის ჯგუფი, ბოსტონის დაჯგუფება, ბერძნული სქიზმა, „სხენის მართლმადიდებლური ეკლესია“.

ლეთისმშობლის მიძინების ტაძარი, რომელიც თბილისში, იყალთოს გორაზე დგას, სხვა ახალგაბეული ეკლესიებისგან გარეგნულად არაფრით განსხვავდება. ეს „მეს“ (მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოში) მრევლის და სამღვდლოების სალოცავია. 1997 წელს მათ გამოყოფას საქართველოს საპატრიარქოსგან რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ჯგუფის წევრების აზრით, მიუღებელი იყო საქართველოს ეკლესიის ეკუმენურ საბჭოში ყოფნა; აგრეთვე ისიც, რომ საბჭოთა პერიოდში ეკლესია აქტიურად თანამშრომლობდა კომუნისტურ რეჟიმთან და საბჭოთა უშიშროებასთან. ჯერჯერობით მათ არაფერს ავიწროებებს – აქვთ ტაძრები და სემრელოები გურიაში, თბილისსა და ქუთაისში. მაგრამ ვარდების რევოლუციამდე მრავალი დამცირება, ცილისწამება და დარბევა გამოიარეს. 2002 წელს გურიაში, სოფელ შემოქმედში ერთ-ერთი

კერძო მოსახლის ეზოში აგებული ეკლესია ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაანგრია.

„მეს“ ეკლესიის მოძღვარი მამა გელასი აროშვილი ამბობს, – „შევარდნაძის დროს პოლიცია, ადგილობრივი ხელისუფლება და კრიმინალები ერთად იბრძოდნენ ჩვენ წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, ამოვისუნთქეთ. ვშიშობთ, რომ ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, ისევ დაუცველები აღმოვჩნდებით. უკანასკნელი მოვლენებიდანაც ჩანს, როგორაა განწყობილი ოპოზიციის დიდი ნაწილი. გაიხსენეთ, რას აკეთებს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი. მათ თუ პოლიტიკური მხარდაჭერაც ექნათ, წარმოიდგინეთ, რას იზამენ. კანონმდებლობაც არ არის გამართული. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული საკონსტიტუციო ხელშეკრულება ჩვენ წინააღმდეგაა მიმართული. ამ შეთანხმების მიხედვით, სამღვდლო შესამოსელის ტარების უფლება მხოლოდ საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ მღვდლებს აქვთ, საპატრიარქოს აქვს მართლმადიდებლური ლიტერატურის გამოცემის ექსკლუზიური უფლება, საეკლესიო ნივთების წარმოებაც მხოლოდ საპატრიარქოს ლიცენზიით უნდა ხდებოდეს. საკონსტიტუციო სასამართლოში შევიტანეთ სარჩელი, თუმცა სასამართლომ ჩვენი სარჩელი განსახილველად არ მიიღო, – ეს მუხლები თქვენ არ გეხებათო“...

წობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი, ეპისკოპოსი და ადამიანის უფლებათა დამცველი, დესმონდ ტუტუ შალვა ნათელაშვილმა „აფრიკელ კაცობიად“ მოიხსენია. თითქოს, არც უნდა გაგვიკვირებოდა, გაუნათლებელი პოლიტიკოსები იმეფაობა არ არის, მაგრამ ეს ფრაზა რელიგიურ უმცირესობებთან ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას ადეკვატურად აღწერს. მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის შემდეგ, რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლების მხრივ, ქვეყანაში ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა, როგორც ვნახეთ, დისკრიმინაციული გარემო მაინც არსებობს და ვინც უმრავლესობაში, ანუ მართლმადიდებელი, არ არის, თავს ხშირად დაჩაგრულად და გარიყულად გრძნობს.

იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკოსებმა ხელი შეუწყონ ქვეყანაში თანაბარი უფლებების დამკვიდრებას, ისინი, პირიქით, აკრიტიკებენ ხელისუფლების ახალ ინიციატივას, რომელიც ეკლესიას უკვე მოპოვებულ პრივილეგიებს არ ართმევს, მაგრამ მასთან თანასწორობის შანსს სხვებსაც აძლევს. □

ფოტო: თიმოტ პარტიკაშვილი



**სახელმწიფო პროგრამა ჯანდაცვის სფეროში**

# იაფი დაზღვევის ძვირი ბაკვეთილები

შეცდომების მიუხედავად, იაფი დაზღვევის პროგრამა შესაძლებელია გადარჩეს >>

**რეზა საყვარიშვილი**

155 ათასზე მეტი დაზღვევის მოსურნე – ასეთია „იაფი დაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამის პირველადი შედეგები. პირველადი იმიტომ, რომ ეს მონაცემთა ბაზა სოციალური სუბსიდიების სააგენტოში უნდა გადაიგზავნოს და მხოლოდ იქ მომხდარი გამოცხრილების შემდეგ დადგინდეს იაფად დაზღვეულთა საბოლოო ოდენობა.

პროგრამა თავდაპირველი ჩანაფიქრით, 1 ივლისს უნდა დასრულებულიყო. თუმცა, ამ ვადის ამოწურვამდე ცოტა ხნით ადრე ცნობილი გახდა, რომ პროგრამა 3 კვირით გაგრძელდა. იენისის ბოლოსთვის პროგრამის შედეგები ძალიან მოკრძალებული იყო. იმ 500 ათასი პოტენციური დასაზღვევიდან, რომლის მოზიდვასაც პროგრამის განხორციელების სანყის ეტაპზე მოელოდნენ, იენისის ბოლოს მხოლოდ 40 ათასი ადამიანი იყო დაზღვეული.

სამი კვირის მომატებამ პროგრამას გაცილებით მეტი შესძინა: პროგრამის

დასრულებამდე ორი დღით ადრე ჯანდაცვის სამინისტროში უკვე 100 ათას დაზღვეულზე საუბრობდნენ, პროგრამა კი საბოლოოდ 150-ათასიანი ნიშნულის გადალახვით „დაიხურა“.

დღეს ჯანდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ იაფი დაზღვევა წარმატებით განხორციელდა და ის 500 ათასი კაცის დაზღვევაზე განერილი არასოდეს ყოფილა. მისივე თქმით, ბოლო პერიოდში დაზღვევის მსურველთა რაოდენობის ზრდა შეინიშნება.

„გარკვეულწილად, პროგრამის განხორციელებას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა შეუშალა ხელი. იაფი დაზღვევა ახალი პროგრამაა და ხალხს მეტი ინფორმაცია სჭირდება, რათა როგორც სახელმწიფო პროგრამების, ასევე სადაზღვეო სექტორის მიმართ მეტი ნდობა ჰქონდეს“ – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა სანდრო კვიციანიშვილმა.

სამთავრობო პროგრამას, მით უფრო, მისი მძიმე სტარტის გამო, კრახს ბევრი უწინასწარმეტყველებდა. მიზეზები საამისოდ უამრავი იყო. პრობლემათა მთელი დიაპაზონი კი ერთი მარტივი ტერმინით შეიძლება შეფასდეს – არასათანადო მოლოდინების შექმნა.



ილუსტრაცია ანა ტაბატაძის





ერთ-ერთ ეტაპზე იაფ დაზღვევას კრიტიკა არც საქართველოს პრეზიდენტმა დააკლო. სააკაშვილმა უკმაყოფილება უშუალოდ მთავრობის სხდომაზე დააფიქსირა, სადაც განაცხადა, რომ „პროგრამა მილოლაეს“ და ჯანდაცვის მინისტრს მოუწოდა მოსახლეობას საყოველთაო დაზღვევის შესახებ მეტი ახსნა-განმარტებები მიანოდეთო.

ხელისუფლების მონდომება, „დაექოქა“ ეს პროექტი, გასაგებია. თუმცა, ისიც გასაგებია, რომ იმ პირობებში, როგორშიც პროგრამა დაიგეგმა და განხორციელდა, უფრო მეტი შედეგის მიღწევა, პრაქტიკულად, გამორიცხული იყო.

ასეთი მოცულობის სახელმწიფო პროგრამის რეკლამირების მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის, ყველაზე დაბალრეიტინგული ტელებერკეტის, იმედად დატოვება აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო.

მინიმალური სადაზღვევო პაკეტის 5-ლარიანად მონათვლა მაშინ, როცა სანყის ეტაპზევე მისი ერთნაირი საფასურის სრულად გადახდა იყო საჭირო, არანაკლებ დიდი შეცდომა იყო. და იმის მიუხედავად, რომ 60-ლარიანი პაკეტიდან დაზღვეულს ერთჯერადად მხოლოდ მესამედი წილის – 19,8 ლარის გადახდა ევალებოდა, მისი აზროვნების 5 ლარზე „დამიზნების“ შემდეგ 4-ჯერ მეტ თანხაზე ქვითრის გამოწერა მიმზიდველი ნაბიჯი არ აღმოჩნდა.

ყველაზე დიდი შეცდომა – იმ მოლოდინის შექმნა იყო, რომ იაფი დაზღვევა ჯანმრთელობის ბევრი პრობლემის მოგვარების საშუალება იქნებოდა.

1 მარტს დაწყებული ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური და ხმაურიანი პროექტის შედეგი ასეთია: იაფი დაზღვევის პროგრამის პირველ ეტაპზე სადაზღვევო კომპანიებმა წინასწარ გათვლილზე 3,5-ჯერ ნაკლები ადამიანი დააზღვეეს. ბოლო, დაუზუსტებელი მონაცემებით, დაზღვეულთა საერთო რაოდენობა 155 ათასს აღემატება.

ბოლო დღეებამდე პროგრამის ფარგლებში ყველაზე მეტი მომხმარებელი კომპანია „ირაოს“ ჰყავდა. 10-ათასკაციანი ზღვარი, რაც კომპანიებს სახელმწიფო მხრიდან დამატებითი თანხების მიღების საშუალებას აძლევდა, მხოლოდ 6-მა კომპანიამ: „ირაომ“, „ჯი-პი-აი ჰოლდინგმა“, „აი-სი ჯგუფმა“, „ალდაგი ბისიამ“, „იმედი-ელმა“ და „პარტნიორმა“ გადალახა. ზარალის რისკი მეტი აქვს დარჩენილ 4 კომპანიას. პროგრამის ფარგლებში, ყველაზე ნაკლები დაზღვეული – 482 ადამიანი „სახალხო დაზღვევას“ ჰყავდა. თუმცა, კომპანია წლის ბოლოდან მის ახალ მფლობელს – „აი-სი ჯგუფს“ შეუერთდება და მათი პრობლემებიც საერთო გახდება.

სახელმწიფოს მიერ დამატებული 3-კვირიანი პერიოდით პოზიციების გამყარება ძირითადად „ირაომ“, „აი-სი ჯგუფმა“, „პარტნიორმა“, „ალდაგი ბისიამ“ და „არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ“ შეძლეს. „ირაომ“ ბოლო ერთ თვეში საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარი – 12 ათასი ადამიანი დააზღვია, „აი-სი ჯგუფმა“ კი დაზღვეულთა 90% – 10 ათასი მომხმარებელი მოიზიდა.

საერთო მონაცემებით, მომხმარებელთა 98%

მინიმალური 5-ლარიანი პაკეტით დაზღვევა. დამატებითი 10-ლარიანი და 15-ლარიანი პაკეტებით კი მხოლოდ 1741 ადამიანი დაინტერესდა და აქედან თითქმის ყველა – 1739 „ალდაგი ბისიამ“ დააზღვია.

ეს მონაცემები არ ასახავს საბოლოო სურათს, რომელიც ჯერ არ გამოკვეთილა. სადაზღვევო კომპანიები აცხადებენ, რომ ახლა აწარმოებენ განაცხადების მობილიზებას რეგიონებიდან და საბოლოო სურათიც მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა.

ოთხი თვის განმავლობაში იაფი დაზღვევის პროგრამით რამდენიმე ასეულმა ადამიანმა ისარგებლა. სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული თანხები კი 50 ათას ლარს აღემატება. ამ პერიოდის განმავლობაში მედიაციის სამსახურში, რომელიც სადაზღვევო კომპანიებისა და დაზღვეულების პრეტენზიებს განიხილავს, სადაზღვევო კომპანიების წინააღმდეგ სულ 5 საჩივარი შესული (1 – შესაძლო სასამართლოს პერსპექტივით, 4 – შედარებით ნაკლები სიმძიმის), რომლებიც მომსახურებასა და თანხების ანაზღაურებას ეხება.

ჯანდაცვის მინისტრის ბოლო განცხადებით, პროგრამის განვლილი ეტაპის შესწავლის და მისი კრიტიკული ანალიზის შემდეგ, არ გამოირიცხება მომავალში მისი შეცვლილი სახით განხორციელება.

სადაზღვევო ასოციაციის ხელმძღვანელი დევი ხეჩინაშვილი კი მიიჩნევს, რომ იაფი დაზღვევის პროგრამა უნიკალური მაგნი იყო ინდივიდებისთვის, რათა საკმაოდ კონსერვატიულ და მათთვის ჩაკეტილ სადაზღვევო სისტემაში ფეხი შეედგათ (დღესაც სადაზღვევო სექტორი უფრო მეტად კორპორატიულ სეგმენტზეა ორიენტირებული და ნაკლებად იზიდავს ინდივიდებს).

როდესაც დაზღვეული ერთხელ მაინც დაინახავს, რომ სადაზღვევო პოლისით სამედიცინო მომსახურება გაცილებით მარტივად და იაფად მიიღო, იგი შეეცდება მომავალშიც დაეზღვიოს.

მომავალში სადაზღვევო კომპანიებს მოსახლეობის ბევრად უფრო დიდ ნაწილთან მოუწევთ ურთიერთობის გაგრძელება. და ეს მათთვის როგორც ზრდის და განვითარების, ასევე შეფერხება-დაცემის საფუძველიც შეიძლება გახდეს.

შესაბამისად, ბაზარზე ადგილის გამყარებისთვის სადაზღვევო კომპანიებს კლიენტებთან გაცილებით აქტიური და ეფექტური ფინანსურ-საკომუნიკაციო ენის მოძებნა მოუხდებათ. **■**

**ყველაზე დიდი შეხდომა - იმ მოლოდინის შექმნა იყო, რომ იაფი დაზღვევა ჯანმრთელობის პრობლემის მოგვარების საშუალება იქნებოდა.**

# შრომითი კანონმდებლობა მარადიული ომის ახალი ბრძოლა

>> რევაზ საყვარელიძე

## საქართველოს შრომითი კანონმდებლობა მნიშვნელოვან გარდატეხას განიცდის

დამქირავებლის და დაქირავებულის კონფლიქტი თავისი არსით ისეთივე ძველია, როგორც გადასახადის გადამხდელის და ამკრეფის, ან მევალის და მევახშის ურთიერთობა. ყოველთვის არსებობს ამ პოტენციური წინააღმდეგობის მშვიდობიანად მოგვარების ალბათობა, მაგრამ, როგორც წესი, კეთილ ნებაზე დამოკიდებულს არაფერს ტოვებენ და საბოლოოდ უფლება-მოვალეობების დეტალური განსაზღვრა ხდება.

ამ მარადიულ კონფლიქტში პირდაპირ და ირიბად მონაწილე მხარეებიც, პრაქტიკულად, თავიდანვე განსაზღვრულია. დამქირავებლის და დაქირავებულის დუეტს სახელმწიფოსა და პროფკავშირების მონაწილეობაც ემატება და, როგორც წესი, ურთიერთობაც სწორედ ამ კვარტეტის კომუნიკაციის ფარგლებში ხდება.

ქართულ შრომით კანონმდებლობას დამოუკიდებელი სახით არსებობის ძალიან მოკლე ისტორია აქვს. ბოლო დრომდე ის უფრო მეტად საბჭოთა შრომითი კანონმდებლობის უხეირო და ჩამორჩენილი კალკი იყო. თუმცა, მის საბაზისო დებულებებში აშკარად იკვეთებოდა დისბალანსი – სიმძიმის ცენტრი საგრძნობლად „მარცხნივ“ იყო გადახრილი და გაცილებით მეტად გამოხატავდა დაქირავებულის ინტერესებს, ვიდრე დამქირავებლისას.

პოსტრევოლუციურ ხანაში სიმძიმის ცენტრის „მარჯვნივ“ გადახრამ გვერდი არც შრომით კანონმდებლობას აუარა და წინანდელი სურათი რადიკალურად შეცვალა – უფლებებო დამქირავებელი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდა, უფლებამოსილი დაქირავებული კი საესეუბით უფლებაყრილი აღმოჩნდა.

ახლა ჩვენ თვალწინ ქანქარა ისევ ამოძრავდა. საბოლოოდ სად მოიძებნება შუალედი, ამაზე დიდწილად იქნება დამოკიდებული ქართული ბიზნესის განვითარების შემდგომი მახასიათებლები.

მემარჯვენე რადიკალების პოზიცია ურყევია – არსებული კანონმდებლობა არ უნდა შეიცვალოს, რადგან სამუშაო ძალას

უფრო მობილურს ხდის, ბიზნესის მწარმოებელს კი – ნაკლებად დამოკიდებულს პერსონალის დესტრუქციულ წინააღმდეგობაზე.

პოზიციის გასამყარებლად მათ არგუმენტს საერთაშორისო ინსტიტუტი უმაგრებს ზურგს. მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის Doing Business-2008-ის ანგარიშის მიხედვით, საქართველო 2007 წელს №1 რეფორმატორ ქვეყნად არის აღიარებული, საერთო მსოფლიო რეიტინგში კი ქვეყანას მე-18 ადგილი აქვს მინიჭებული (შედარებისთვის: 2004 წელს საქართველო, ბიზნესის იოლად კეთების თვალსაზრისით, 137-ე ადგილზე იყო, 2005 წელს – 112-ზე, 2006-ში კი 37-ე ადგილზე გადაინაცვლა).

ამ რეიტინგში საქართველომ ყველაზე მაღალი შეფასება სწორედ შრომის ბაზრის, ლაბორალური შრომითი კანონმდებლობის კუთხით მიიღო – ჩვენმა ქვეყანამ ამ მაჩვენებლით მსოფლიო რეიტინგის მეოთხე საფეხური დაიკავა.

სიმეონ ჯანკოვი, Doing Business-ის კვლევათა სერიის ავტორი:

„სხვადასხვა სახის რეფორმები ეკონომიკური, შრომითი კანონმდებლობის რეფორმა და ა.შ. 3-დან 5 წლამდე პერიოდს მოითხოვს, რათა მისი შედეგები ქვეყნის რეალურ ცხოვრებაში აისახოს. ზოგიერთ შემთხვევაში, ამას 7-8 წელიც კი სჭირდება. რეფორმების ეფექტიანობის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის კომპანიების, ანუ ახალი ბიზნესების რაოდენობა. საქართველოში რეფორმების წარმატების ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, გაიზარდა 100 სულ მოსახლეზე კერძო ბიზნესების რაოდენობა და საქართველო ამ მხრივ არის მე-6 ადგილზე. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში 100 სულ მოსახლეზე 15 ბიზნესია რეგისტრირებული. თქვენ დაახლოებით ისეთივე მაჩვენებლები გაქვთ, როგორც ახალ ზელანდიას, ავსტრალიას, სინგაპურს, მაღაიზიასა და ჰონკონგს“.

ჯანკოვის დათქმული 3-5 და, მით უმეტეს, 7-8 წელიწადი ბევრ ქართულ კანონს „არ დასცალდება“. ის ტემპი, რომლითაც, ხელისუფლების პრიორიტეტების მორიგი სოციალიზაციის გამო, კანონმდებლობის





გადაწერა ხდება, ნათელყოფს, რომ ბევრ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, მათ შორის, შრომითი კანონმდებლობასაც გადაწერა არ ასცდება. და დღეს ამ პროცესის დასაბუთებას არა ნაკლებ წონიანი არგუმენტები აქვს, ვიდრე ორიოდ წლის წინ მის სრულ ანტივერსიას – შრომითი კანონმდებლობის სრულ ლიბერალიზაციას ჰქონდა.

საქართველოს, შესაძლოა, ევროკავშირთან პრეფერენციების გენერალიზებული სისტემით (GSP+) სარგებლობის უფლება ჩამოართვან.

მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი აქაც შრომითი კანონმდებლობა – ევროკომისია და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს შრომის კოდექსს დისკრიმინაციულად აფასებს და მთავრობისგან მის შეცვლას მოითხოვს.

GSP+-ით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა არ არის სახუმარო საქმე, რადგან შელავათიან რეჟიმში 6,4 ათასი დასახელების პროდუქტია მოქცეული. 16 ქვეყნის (მათ შორის, საქართველოს) საჯარო პარტნიორების სიაში შეყვანის შემდეგ ეს სახელმწიფოები ევროკავშირის

ქვეყნებში საკუთარი პროდუქციის შეტანისას დაბალი ან ნულოვანი საბაჟო გადასახადებით სარგებლობენ.

საქართველოს გარდა, დღეს შრომის მსოფლიო ორგანიზაციის ეჭვიანი დაკვირვების ობიექტი ძირითადად აფრიკული სახელმწიფოებია. საქართველომ, შესაძლებელია, პრეფერენციებით სარგებლობის შესაძლებლობა სწორედ ამ კამპანიასთან ერთად დაკარგოს; მით უფრო, რომ ევროკომისიამ საქართველოს შრომითი კანონმდებლობა ევროპის სოციალურ ქარტიასთანაც შეუსაბამოდ ცნო.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, საქართველომ პრობლემის მოგვარება და ევროსტანდარტებთან ჰარმონიზება ითავა. გარდა ამისა, შრომითი კანონმდებლობის დისბალანსს საქართველოს, სავარაუდოდ, ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებშიც არაერთხელ შეახსენებენ. ამ ფაქტორს დიდი ყურადღება დაეთმობა ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხილვისასაც. ასე რომ, ყველაფერი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობის გადასინჯვა გარდაუვალია.

საგულისხმოა, რომ შრომითი ურთიერთობების რთულ პროცესში ჩართული და ზემოთ უკვე ნახსენები კიდევ ორი მოთამაშე პროცესში უკვე აქტიურად მონაწილეობს. ის, რომ საქართველოს შრომის კოდექსი გადასინჯება, უწევიაში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა და გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელმაც დაადასტურეს.

მეტოც, გაერთიანებულმა პროფკავშირებმა შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტი უკვე მოამზადა და ამ ეტაპზე მთავრობასა და დამსაქმებელთა ასოციაციასთან კონსულტაციები მიმდინარეობს.

პირველ ეტაპზე ნავარაუდევია, რომ ცვლილებები შრომის კოდექსის 30-მდე მუხლს შეეხება; ასევე, წინასწარი გეგმით, რეფორმის პირველი ეტაპი ოქტომბრამდე უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს.

ამჟამინდელი სქემით, უპირველესი ცვლილებები შეეხება ფეხმძიმეთა უფლებებს, სამსახურში მიღება-გათავისუფლების ნორმებს, სამუშაო საათების რაოდენობას, ზეგანაკვეთური სამუშაოს დადგენის და ანაზღაურების წესებს.

ცვლილებათა პროექტით, სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნა, შესაძლოა, ხელფასის ასმაგი ოდენობით დაისაჯოს. გაუქმ-

დება ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მუხლიც, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებელს უფლება აქვს, სამსახურიდან გაათავისუფლებისას დასაქმებულს მიზეზი არ დაუხსნოს. ცვლილებების თანახმად, ეს აუცილებელი გახდება.

ცვლილებები, რომლებსაც პროფკავშირები მთავრობასთან ათანხმებენ, ასევე გულისხმობს ასოციაციის თავისუფლებას და კოლექტიური მოლაპარაკებების ხელშეწყობას. გარდა ამისა, მკაცრად განისაზღვრება სამუშაო საათები, რომელთა რაოდენობამაც კვირაში 41 საათს არ უნდა გადააჭარბოს. უფრო მეტი დატვირთვის შემთხვევაში, დამქირავებელი ვალდებული იქნება, დასაქმებულს ზეგანაკვეთური ყოველსაათობრივი დამატებითი ანაზღაურება დაუწესოს.

ეს მხოლოდ ნაწილია იმ სახელებისა (ან აღდგენილი ძველი ნორმებისა), რაც საქართველოს რეფორმირებულ შრომით კანონმდებლობაში ჩაინერგება. კანონმდებლობაში, რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გარდატეხას განიცდის.

საქართველოს ამ ეტაპზე არჩევანის გაკეთება არა მხოლოდ მემარჯვენე-მარცხენე მიდრეკილებებსა და დამქირავებლის ან დამქირავებლის ინტერესებს შორის, არამედ ორი ავტორიტეტული და კომპეტენტური საერთაშორისო ინსტიტუტის და, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის ორი უმსხვილესი დონორის პოზიციებს შორისაც მოუწევს.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის შეფასება, რომელიც საქართველოს ჯერაც მოქმედ შრომით კანონმდებლობას გამოკვეთილად დადებითად აფასებს, დონორების და ქვეყნის პარტნიორების გარკვეული ჯგუფის პოზიციას ასახავს. საფინანსო კორპორაცია, რომელიც კერძო სექტორის ხელშესანყობად არის შექმნილი, მსოფლიო ბანკის ჯგუფში შედის, სადაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსგავსად, ძლიერია ამერიკული გავლენის ფლანგი.

ევროპული სტრუქტურების გამოკვეთილად სოციალური ორიენტირი კი სულ სხვა დონორების და სივრცის პრიორიტეტებს ეფუძნება და ქვეყანას ამ კრიტერიუმებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენასაც ავალდებულებს.

სხვა ყველაფერთან ერთად, დღეს საქართველო შრომითი კანონმდებლობის შეცვლით სწორედ ამ ორ მიდგომას შორისაც აკეთებს არჩევანს. და, ტრადიციულად, კვლავაც იმ საფრთხის წინაშეა, რომ, რომელიმე მხარის სასარგებლოდ თუ საზიანოდ, ზედმეტად მკვეთრი დისბალანსი არ გამოუვიდეს. ■



■ ედვარდ ფუზასი, 2006 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში

ფოტო REUTERS / ფილ მასკარინი

## საერთაშორისო დახმარება საქართველოს საქართველოს აღდგენის სწორი გზა

>> ედვარდ ფუზასი, ბრატინა დელ კასტილიო, ინგლისურიდან თარგმნა თათია კობრაშვილი

**იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემის მოგვარების გარეშე, პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებისა და უსაფრთხოებისთვის ყოველგვარი ძალისხმევა განწირულია**

საქართველოს დასახმარებლად მონაწილე სამიტის შემდეგ შეპირებული დახმარების საერთო მოცულობა 4,5 მილიარდი დოლარია ანუ, დაახლოებით, ათასი დოლარი – საქართველოს თითოეულ მაცხოვრებელზე.

ეს კარგი ამბავია. ცუდი ამბავი კი ის არის, რომ ბრიუსელის სამიტში მხოლოდ დონორები და საქართველოს ხელისუფლება მონაწილეობდნენ, რის გამოც, Transparency International-მა მკაცრად გააკრიტიკა გადაწყვეტილების მიღების დახურული პროცესი.

საომარი მოქმედებებისა და პოსტსაომარი ფაზაში მყოფი ქვეყნის აღდგენასა და განახლებაზე მიმართული თანხების ხარჯვის არასაკმარისი გამჭვირვალობა და არადამაკმაყოფილებელი ანგარიშვალდებულება გადასახადების გადამხდელს აღარ აკმაყოფილებს. იმის გათვალისწინებით, რომ გლობალური მასშტაბის დახმარებაზე მოთხოვნა სულ

უფრო იზრდება, მისი მოცულობა კი განუხრელად მცირდება (მარტო ბოლო ორი წლის განმავლობაში 12%-ით იკლო), დახმარების ეფექტური და გამჭვირვალე გამოყენება სულ უფრო აუცილებელი ხდება. შესაბამისად, ის მთავრობები, რომლებიც თავიანთი მოქალაქეებისთვის ანგარიშის ჩაბარებას საჭიროდ არ მიიჩნევენ, სავარაუდოდ, ამ საკითხში მხარდაჭერის გარეშე დარჩებიან.

სანამ დახმარების „კეთილი ზრახვა“ „ვალდებულებად“ გადაიქცევა, დონორებმა კარგად უნდა გამოიკვლიონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და შეაფასონ მისი გეგმები ჰუმანიტარული და ქვეყნის აღსადგენად გამოყოფილი დახმარების გამოყენების თვალსაზრისით. დონორები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ, საქართველოსთვის განუთქმული დახმარება სიმშვილესა და სტაბილურობას შეუწყობს ხელს თუ, პირიქით, კონფლიქტების პოლიტიკურად მოგვარებას ხელს შეუშლის და პოტენციურ ინვესტორებს დააფრთხობს.

რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება კიდევ უფრო მეტად ართულებს იძულებით გადაადგი-

ლებული პირების, რეპატრიანტების და კონფლიქტის ზონის მუდმივი მაცხოვრებლების პრობლემის მოგვარებას. თუმცა, კონფლიქტით მოცული ჯგუფების რეინტეგრაცია პროდუქტიული საქმიანობის დასაწყებად პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილიზაციის აუცილებელი პირობაა. ამიტომაც მიიჩნევენ გაერო, რომ იმ ქვეყნებში, რომლებიც ამ პრობლემასთან გამკლავებას ვერ შეძლებენ, კონფლიქტების განახლების ალბათობა არსებობს.

ამიტომაც გასარკვევია, უწყობს კი ხელს საქართველოს განვითარების მოდელი დინამიკურ და ყოველმხრივ ზრდას, ანუ ისეთ ზრდას, რომელსაც მოსდევს პროდუქტიული ინვესტიციები, ინოვაციური მეთოდები და ახალი სამუშაო ადგილების მასშტაბური გაჩენა?

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირები უდავოდ აღიარებენ საქართველოს უეჭველ წარმატებას მაკროეკონომიკური პოლიტიკის და რეფორმების განხორციელებაში ბიზნეს-კლიმატის გასაუმჯობესებლად. უცხოელმა ინვესტორებმა ამას უკვე უპასუხეს ქვეყნის ეკონომიკაში უზარმაზარი დაბანდებებით. ომამდელ წლებში კაპიტალის მოდინებამ მშპ-ს 20% შეადგინა, საქართველოს ეკონომიკის ზრდამ 2007 წელს 12%-ს გადააჭარბა, 2003 წლიდან მოყოლებული კი თითქმის 40%-ს მიაღწია.

მაგრამ მხოლოდ სწრაფი ზრდა არასაკმარისია. საქართველომ ვერ შექმნა სამუშაო ადგილები, ვერ მიაღწია საჭირო დინამიზმსა და სოციალურ ჩართულობას, რაც მშვიდობიანი საზოგადოებისთვის აუცილებელი პირობაა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს საინვესტიციო ნაკადებმა შედარებით მრავალფეროვანი სფეროები მოიცვა, მათი უმეტესობა მაინც ნავთობსადენებისა და გაზსადენების მშენებლობას და სხვა მსხვილ საერთაშორისო პროექტებს ხმარდებოდა. გარდა ამისა, 2003 წლიდან მოყოლებული საქართველოს სამხედრო ხარჯები ქვეყნის მშპ-ს 1%-დან 7%-მდე გაიზარდა, რითაც მნიშვნელოვანი რესურსები დააკლდა ადამიანის პოტენციალის განვითარების არასანარმოო ინვესტიციებს.

უმუშევრობის დონე მაღალია, შემოსავლებს შორის უთანასწორობა გაზრდილია, კორუფციაც ძველებურად ფართოდაა მოდებული, ბოლო წლებში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ძვრების მიუხედავად.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საპირისპიროდ, რომელთა მიხედვითაც, მოსახლეობის მხოლოდ ერთი მესამედი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის დიდი დისბალანსის პირობებში, მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ღარიბად ცხოვრობს.

საქართველოსთვის აუცილებელია იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემის გადაჭრა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციით, მათთვის საცხოვრებლის და სხვა სერვისების მიცემით, ასევე ისეთი სამუშაო ადგილების შექმნის გზით, რაც საშუალებას მისცემს კონფლიქტით დაზარალებულებს, გაიუმჯობესონ ცხოვრება.

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროგნოზით, იმ 127 ათასი იძულებით გადაადგილებული პირიდან, რომელიც სამხრეთ ოსეთის კრიზისის დროს გაჩნდა, 73 ათასი მალევე უკან დაბრუნდება. იმის გათვალისწინებით, რომ 1990-იანი წლების დასაწყისის კონფლიქტების შედეგად გაჩენილი 220 ათასი იძულებით გადაადგილებული პირისთვის აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში დაბრუნების პერსპექტივა საკმაოდ მცირეა, საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა იპოვოს პრობლემის გადაჭრის პრაქტიკულად განხორციელებადი და მუდმივმოქმედი გადაწყვეტილება თავისი ქვეყნის მოსახლეობის, დაახლოებით, 6%-სთვის.

იმავე დროს კაპიტალის მოძრაობა, რომელზეც საქართველო დიდწილად არის დამოკიდებული, კონფლიქტის პირველივე დღეებში შეწყდა. იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემის მოგვარების გარეშე, პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებისა და უსაფრთხოებისთვის ყოველგვარი ძალისხმევა განწირულია. ხოლო სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარეშე, ვერ მიიღწევა სავალუტო ფონდის 750 მილიონი დოლარის მოცულობის კრედიტის მიზანი, რაც „საგარეო დაფინანსების დროებითი დეფიციტის გადაფარვას“ და „ბაზრების და ინვესტიციების ნდობის შენარჩუნებას“ გულისხმობს.

დღევანდელი უმთავრესი სირთულე საქართველოს დახმარების პაკეტის გადახედვაა იმ სახით, რომ ის ორიენტირებული იყოს უპირველესად „აღდგენის დახმარებაზე“, რაც თავის მხრივ მიიზიდავს ინვესტიციებს და გაზრდის მოსახლეობის დასაქმების დონეს. „ჰუმანიტარულ დახმარებაზე“ უარის თქმა არ ღირს, თუმცა, ის უნდა განიხილებოდეს როგორც დახმარება, რომელიც მოახდენს უფრო მეტად მოხმარების და არა ინვესტიციების სტიმულირებას, რაც ინვესტორებს და აფერხებს სამუშაო ადგილების შექმნას. ამიტომაც, საქართველო პირველივე შესაძლებლობისთანავე უნდა მოწყდეს ჰუმანიტარული დახმარების „ძუძუთი კვებას“.


„აღდგენის დახმარება“ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, ახალი კომპა-

ნიების ამოქმედებით, მიკრო და მცირე საწარმოების, მომსახურების სფეროს, სამთო მოპოვების და სხვა სექტორების რეაქტივაციით, ასევე აგრარული მოსავლის და ირიგაციის გაუმჯობესებით დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს და საერთაშორისო დახმარების საკვანძო საკითხებად იქცეს. ჩაურევლობის პოლიტიკა კი ამას ვერ უზრუნველყოფს.

საქართველოს მთავრობა და დონორები დახმარებას უნდა განიხილავდნენ როგორც კერძო საწარმოების სუბსიდირების ინსტრუმენტს, რათა ნახალისდეს და გააიფადეს ლტოლვილების დასასაქმებლად აუცილებელი სამუშაო ადგილების შექმნა. დინამიური და ყოველმხრივი ზრდის გარეშე, სტაბილური მშვიდობა ილუზიად დარჩება. დღევანდელი დეტალური შემომნებების და აურაცხელი საჭიროების პირობებში კი, დონორებზე სულ უფრო მეტად გაიზრდება წნეხი, რათა მათ გაამართლონ ის მასშტაბური ფინანსური დახმარება, რომლის აღმოჩენასაც აპირებენ. **■**

*ედმუნდ ფელპსი - კოლუმბიის უნივერსიტეტის კაპიტალიზმის და საზოგადოების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში 2006 წელს.*

*გრაცინა დელ კასტილიო - კოლუმბიის უნივერსიტეტის კაპიტალიზმის და საზოგადოების შემსწავლელი ცენტრის დირექტორის მოადგილე, ავტორი ნიგინისა „ქვეყნების აღდგენა შეიარაღებული კონფლიქტების შემდეგ“.*



www.kavkaz-uzel.ru • www.caucasianknot.info

# Кавказский Узел

- Кавказский Узел• публикует материалы от собкоргов из 19 регионов Кавказа, в том числе Грузии, Южной Осетии, Абхазии и Аджарии
- Кавказский Узел• обсуждает проблемы региона на форуме и в блогах
- Кавказский Узел• показывает регион в видеоблоге и фотоальбоме
- Кавказский Узел• знает, пишет и думает о Кавказе







ქართული კინოს ფინანსური შეღავათები

# გადასაღები მოედანი საქართველო

რამდენად ესაღაბება ამბიციები  
რეალობას? ქართული კინოინდუსტრია  
გადარჩენის გზებს ეძებს.

თამარ ბაბუაძე, სალომი ალანი

ფოტო ნიკო ბარბილაშვილი



სტივენი სპილბერგმა თავისი ბლოკბასტერის „მიუზენის“ ძირითადი ნაწილი 2005 წელს შოლივუდის ძვირადღირებულ სუპერსტუდიაში კი არა, უნგრეთში გადაიღო. იქვე გაკეთდა დომინიკ სენას ახალი ფილმის ნაწილიც, რომელშიც ნიკოლას კეიჯი თამაშობს. ოქტომბერში უნგრეთში გადაღებებს რიდლი სკოტი ასრულებს. დიდ გადასაღებ მოედნად იქცა სერბეთიც, სადაც წელს თავისი კინოპროექტით რაღფ ფინისი ჩავა.

მსხვილბიუჯეტოანი უცხოური პროექტების ბუმი აღმოსავლეთ ევროპაში რამდენიმე წლის წინ, ერთი ეფექტური კომბინაციის შედეგად ატყდა: ამ რეგიონმა მსოფლიოს დაინტერესება კინო წარმოებისთვის გამოყოფილი ფინანსური შეღავათებით, იაფი და პროფესიონალი მუშახელით, დიდი სტუდიების კომპლექსებით და სტაბილური პოლიტიკური გარემოს საშუალებით მოახერხა.

„გეოგრაფიული თვალსაზრისით, ახლა ჩვენი ჯერი მოდის და გვინდა, რომ პროცესს მზად დავხვდეთ“, – ამბობს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი, კოტე ჩლაიძე.

ყველაზე უფრო კონკრეტული ინიციატივა, რომელიც კულტურის სამინისტრომ, კინოცენტრმა და კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ დღემდე წარმოადგინეს – „აგრესიული და დინამიკური“ ფინანსური შეღავათების სქემაა. ამ სქემის მიხედვით, საქართველოში კინოგადაღებებზე დახარჯულ მინიმუმ 500 ათას დოლარზე უცხოელ პროდიუსერებს თანხის 25 პროცენტი უკან დაუბრუნდებათ, ქართველი პროდიუსერები კი მინიმუმ 100 ათას დოლარზე მიიღებენ იმავე შეღავათს. ქართველები ფიქრობენ, რომ ეს შეღავათები, კარგი გაგებით, „სატყუარა“ აღმოჩნდება შოლივუდისთვის და იმედი აქვთ, რომ პროდიუსერები იმ ათეულობით მილიარდ დოლარს, რომელსაც, მაგალითად, ყოველწლიურად უნგრეთში ტოვებენ, მომავალში საქართველოში დახარჯავენ.

თუმცა, რა უნდა შესთავაზოს საქართველომ შოლივუდელ პროდიუსერებს იმაზე მეტი, ვიდრე მათ სხვა ქვეყნებში უკვე მიიღეს? როდესაც უნგრეთში, 2007 წელს, ისეთი ხარისხისა და ზომის ხმის ჩამწერი პავილიონი არ აღმოჩნდა, როგორც პროდიუსერ დინო დე ლაურენტისის სჭირდებოდა, ფილმი Hannibal Rising, ბუდაპეშტის ნაცვლად, ლიგვამი გადაიღო. თუ ცნობილი პროდიუსერმა უნგრეთში ერთი სპეციფიკური პავილიონის არქონა ვერ აიტანა, საქართველოში ხელისშემშლელი ფაქტორების ჩამოწერას ის უსასრულოდ შეძლებდა.

ავტორიტეტული ბრიტანელი საკონსულტაციო ჯგუფის BOP Consulting-ის ექსპერტებმა, რომელთაც კინოცენტრმა სექტორის კვლევა შეუკვეთა, ქართულ კინოინდუს-

ტრიას კონკრეტული დიაგნოზი დაუსვეს: ქართული კინოს „ღირებულებითი ჯაჭვი“ ყველა ეტაპზე „განვითარების ზღვარს ქვევითაა“.

ღირებულებითი ჯაჭვის ბრიტანელები ეძახიან კინონარმოების ეტაპების ერთობლიობას, რომელიც შედგება – სცენარის დაწერისა და დამუშავების, გადაღების, დამონტაჟების და გაყიდვა-დისტრიბუციისგან. ისინი ამბობენ, რომ ამ ჯაჭვის განვითარებაზე ზრუნვის გარეშე „მხოლოდ ფინანსური შეღავათები და კრედიტები ცოცხალ კინოკულტურას ვერ შექმნიან“.

ამიტომაც ასკვნის ფინანსური შეღავათების სქემის კონსულტანტი, მარტინ კაფი, რომ მიზნის მისაღწევად საქართველოს უფრო მეტი ძალისხმევა დასჭირდება, ვიდრე იმავე უნგრეთს დასჭირდა ფინანსური შეღავათების შემოღებისას.

გაზეთ „24 საათთან“ ინტერვიუში, სადაც მინისტრი ნიკა რურუა ქართული კინოს პერსპექტივებზე საუბრობდა, განაცხადა, რომ აგვისტოში საქართველოში „დობერმანის“ რეჟისორი იან კოენენი და მისი დოკუმენტური ფილმის მთხრობელი შერონ სტოუნი ჩამოდიან. რეჟისორმა გამოთქვა სურვილი, დალაი ლამაზე ფილმი სვანეთში გადაიღოს. მინისტრი ამბობს, რომ აგვისტოში კინოპროექტით ჩამოდის ხავერდ ბარდემიცი.

საქართველოში კინოს გადაღება ერთდროულად რამდენიმე უცხოელმა პროდიუსერმა რომც მოინდომოს, აღმოჩნდება, რომ ორზე მეტი კვალიფიციური ქართული გადაღებები ჯგუფის შეკვრა შეუძლებელი იქნება.

ნიკოლას კეიჯის ფილმს უნგრეთში 230-კაციანი ჯგუფი იღებდა, მათგან 130-ზე მეტი უნგრელი იყო. 3-4 ასეთი ჯგუფი უნგრეთში სხვადასხვა პროექტზე პარალელურად მუშაობდა. სწორედ ეს არის აღმოსავლეთ ევროპის კინოინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ფაქტორი.

რეჟისორი გიორგი ოვაშვილი ამბობს, რომ ფილმ „გალმა ნაპირზე“ მუშაობისას „ყველაზე დიდი დრო, ენერჯია და ნერვები კარგი გადაღებები ჯგუფის შეკვრამ წაიღო. რაღაც მომენტში მეგონა, რომ ჩიხში შევედი“. საბოლოო ჯამში, „გალმა ნაპირი“ ირანულ-ქართულმა ჯგუფმა გადაიღო.

„კარგი გადაღებები ჯგუფის შეკვრა“, როგორც წესი, სპეციფიკური ცოდნის მქონე პერსონალით ხდება. კინოჯგუფის შეუცვლელი ნაწილია ბუტაფორი, დეკორატორი, ვიზაჟისტი, პიროტექნიკოსი, თუნდაც სცენარის განგრობბადობის კოორდინატორი. „ჩვენთან ამ სპეციალობის ზუსტი თარგმანიც კი არ არსებობს, რადგან საერთოდ არ

არსებობს მსგავსი კადრი. ადამიანი, რომელიც იზრუნებს იმაზე, რომ დღეს დაწყებული სცენის სვალ გაგრძელებისას ყავის ფინჯანი ზუსტად ისე იდოს, როგორც გუშინ“, – ამბობს რეჟისორი ზაზა რუსაძე. როდესაც ქართველებს ეკითხებიან, – დაგვახვედრებთ თუ არა რეჟისორის პირველ ასისტენტს, – პასუხობენ, რომ – კი. „არადა, საქართველოში ამ პროფესიის მხოლოდ ისევე საჭირო გაგება არსებობს და არ იციან, რომ დასავლურ მოდელში პირველი ასისტენტი ის, ვინც უშუალოდ გადაღების პროცესს უძღვევა. ასეთი უნარ-ჩვევების პროფესიონალის მოძებნა საქართველოში ძალიან რთულია, რადგან ჩვენთან ამ და სხვა საჭირო სპეციალობების ფაქულტეტებიც არ არსებობს“, – ამბობს რეჟისორი.

კანში გამართულ პრეზენტაციაზე, სადაც ქართულმა დელეგაციამ მსოფლიო კინოს ყურადღების მიპყრობა სცადა, მინისტრმა ნიკა რურუამ პრეზიდენტის წერილი წაიკითხა. საქართველოს, როგორც გადასაღები მოედნის რეკლამირებას მიხეილ სააკაშვილი იმით ცდილობდა, რომ ამტკიცებდა – „ჩვენი ქვეყანა, ხალხი ქუჩის მხვეტავით დაწყებული და სასწრაფოს ექიმითა და ჯარისკაცით დამთავრებული, სერიოზულ პროექტებზე იქნება ორიენტირებული“. ჯობდა, მინისტრს ამ გულუბრყვილო არგუმენტებზე ყურადღება საერთოდ არ გაემახვილებინა. ფინანსური შეღავათების გეგმა გაცილებით საქმიანი წინადადება იყო.

უცხოელ პროდიუსერებს პრაქტიკული ინფორმაცია აინტერესებთ. მაგალითად, რამდენი მეტრი ამორებს რომელიმე ხეობაში მოწყობილ გადასაღებ მოედანს უახლოეს ელექტროგადამცემ ბოძამდე; ანდა სცალია თუ არა დასახლებულ ვადებში კვალიფიციურ კინომხატვართა ჯგუფს, რომელიც, ვთქვით, ბორჯომის ხეობაში შუასაუკუნეების სტილის ციხე-სიმაგრის მაკეტის აშენებას შეძლებს.

„შოლანდიურ-ფრანგულ-ქართულ კოპროდუქციაზე ვმუშაობდი, ფილმს დავით გარეჯში ვიღებდით. იმის გამო, რომ ერთ რიგით შოლანდიელ მსახიობს კონტრაქტში ენერა, გარეჯში საპირფარეოსო აშენება მოგვიხდა. ამიტომ გათვლა მხოლოდ იმაზე, რომ შერონ სტოუნი სვანეთში გადაღებებისთვის მხოლოდ 25-პროცენტოანი შეღავათის გამო ჩამოვა – არასწორია“, – აღნიშნავს ზაზა რუსაძე.

ოთხი წლის წინ, უნგრეთში ამერიკის საეკონომიკური პალატის გამოცემა Business Hungary წერდა, რომ კინოინდუსტრიაში მნიშვნელოვანი წინსვლის მიუხედავად, უნგრეთი რეგიონში გამარჯვებული მაინც ვერ გახდა. აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესოდ ითვლება ბარანდოვის სტუდია, რომელიც პრა-



ლაში მდებარეობს, რუმინეთსაც უნგრეთზე უფრო თანამედროვე და გამართული სტუდიები აქვს, კონკურენცია იზრდება ბალტიისპირეთის ქვეყნების მხრიდანაც. ჰორიზონტზე კი ყოფილი ოუგოსლავიის ქვეყნები ჩნდებიან.

თუმცა, ამ მდგომარეობას, – აღნიშნულია პუბლიკაციაში, – მალე გამოასწორებს ორი სუპერსტუდია, რომელიც ბუდაპეშტთან ახლოს აშენდება, ერთ-ერთ მათგანს კი თავისი კინოსკოლაც ექნება. ეს ორი სტუდია ორი დამატებითი მიზეზი იქნება ბრიტანელი და ამერიკელი პროდიუსერებისთვის, რომ ფილმები უნგრეთში გადაიღონ.

ნაბიჯიც. მათ შორისაა: კვალიფიციური კადრების მომზადება და მრავალფეროვანი პროფესიული მომსახურების შეთავაზება, კინოარქივის მონესრიგება, საავტორო უფლებების ჩამოყალიბება, გადასაღები მოედნების კატალოგიზირება, სტუდიური ინფრასტრუქტურის შექმნა, კინოს სადისტრიბუციო სისტემის დახვეწა და დამატებითი დაფინანსების წყაროების მოპოვება.

კინოცენტრში ამბობენ, რომ გეგმის პირველი მონახაზი აგვისტოს შუა რიცხვებში იქნება მზად.

მარტინ კაფი აღნიშნავს, რომ მთავარია, კინოში ეკონომიკური აქტივობა დაიწყოს.

ლი კომპანიები კინოგადაღებებში ფულს უიშვიათეს შემთხვევებში დებენ, ერთადერთი სახელმწიფო ფონდი კი, რომელიც კინოს ფინანსურად ეხმარება, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრია. კინოცენტრის წლევანდელი ბიუჯეტი 2 მილიონი ლარია. ეს თანხა ადმინისტრაციულ და სხვა სახის ხარჯებსაც მოიცავს; ანუ, კინოცენტრს თავისი ჯიბიდან ბოლომდე ერთი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის დაფინანსებაც კი არ შეუძლია. ამიტომ 2008 წელს გადაღებული 6 ფილმი საქართველოსთვის რეკორდული მაჩვენებელი იყო. ზაზა რუსაძე მიიჩნევს, რომ ფინანსური შეღავა-



01, 03 / „სახლი სიბერულისა“, გადასაღები მოედანი, რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი, კინოსტუდიის „დამოუკიდებელი კინოპროექტი“

02 / „რუსული სამკუთხედი“, გადასაღები მოედანი, რეჟისორი ალექს ტაბაძე, კინოსტუდიის „დამოუკიდებელი კინოპროექტი“



როდესაც უნგრული ყურნალი ამ პროგნოზებს აკეთებდა, მის ჰორიზონტზე ჯერაც არ ჩანდა საქართველო, როგორც პოტენციურად საშიში კონკურენტი.

„ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ფრონტის ხაზს ჰგავს და თითოეულ მონაკვეთზე წინ ნელ-ნელა უნდა წავიწიოთ“, – ამბობს კინოცენტრის დირექტორის მოადგილე, გოჩა ყორყოლიანი.

იენისში კინოცენტრში სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელმაც ქართული კინოს განვითარების სტრატეგიული გეგმა უნდა დაწეროს. სწორედ ამ გეგმაში უნდა იყოს აღწერილი მთელი „ფრონტი“ და მის თითოეულ ხაზზე დაგეგმილი თითოეული

ეკონომიკური გათვლებით კი, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურა – გზები, სასტუმროების ქსელი და სხვა ინფრასტრუქტურა განვითარდება. ჩვენი პირველი მიზანი საერთაშორისო კინოპროექტების მოზიდვა და რაც შეიძლება მეტ ერთობლივ კინოპროექტზე მუშაობაა. ამიტომ არის, რომ ახალი გეგმა მხოლოდ 25-პროცენტთან ნახალისებას ითვალისწინებს და არა არსებული კინოგადასაღების შემსუბუქებას. დღეს ფილმის გადაღება საქართველოში ისევე იბეგრება, როგორც ლუდის ანდა ძეხვის წარმოება. კინომწარმოებლები იხდიან საშემოსავლო, ქონების, მოგების გადასახადებსა და დღგ-ს. ეს იმ ფონზე, როცა მსხვი-

თების პაკეტი კინოსთვის დღეს მოქმედ გადასახადებთან ერთად საერთო კონტექსტში უნდა განიხილოს. თუკი კინო კვლავაც დაიბეგრება თუნდაც მოგების გადასახადით, 25-პროცენტის ნახალისება ალოგიკური ხდება. „თუ ხელშეწყობა არ იქნება, თუკი, მეც და ფევილის შემომტანსაც ერთნაირი კვოტები გვექნება, ეს არასწორია“, – აცხადებს პროდიუსერი ლევან კორინთელიც.

თუმცა, არიან პროდიუსერები, რომლებიც ფიქრობენ, რომ 25-პროცენტის შეღავათიც საქმეა. „სულ არაფერს ესეც ჯობს, – აცხადებს „ტაოპრივატბანკის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და კინოპროდიუსერი, კახა უგულავა, – აი, ახლა ვამთავრებთ ლევან თუთბერიძის ფილმს I love you, Baby. ფილმის ბიუჯეტი 1 მილიონი ლარია და დამთავრებლად ზუსტად იმდენი გვაკლდება, რასაც 25-პროცენტის ნახალისების შემთხვევაში უკან დაგვიბრუნებდნენ“.

ფინანსური შეღავათებით ქართული კინოინდუსტრიის გარკვეულწილად გამოცოცხლება შესაძლებელია. 25-პროცენტის ნახალისება – ეს კარგი და უკვე გამოცდილი ხერხია. თუმცა, სფეროში ისეთი უსისტემოება და უძრაობაა, რომ თუ მას სხვა კონკრეტული გეგმებიც არ მოჰყვება, ისევე „ქართულ კინოს ასწლიანი ისტორიით“ თუ ვიამყებთ. **ღ**

ფოტო 01, 03 ირინა აბაშაძეზე 02 რუსულან ბაზროცაშვილი



განათლების რეფორმა

# კვლევა-სწავლების მოლოდინი

>> თამარ ლონაძე



**მასწავლებლები სერტიფიცირებისთვის მზადებას იწყებენ, მაგრამ ჯერჯერობით გაურკვეველია, მოახდენს თუ არა გავლენას სერტიფიკატი ხელფასის ოდენობაზე.**

სასკოლო რეფორმას ქვეყნის ყველა რეგიონის საჯარო სკოლა განათლების ახალ სტანდარტზე უნდა გადაეყვანა. პედაგოგებს კი, რომლებსაც სიახლეები უნდა დაენერგათ, დიდწილად ენთუზიაზმით უნდა მუშაობა. რაკი სახელმწიფო ვერ ახერხებს მათი შრომის შესაბამის ანაზღაურებას, ცდილობს, არ გააღიზიანოს მასწავლებელთა 70-ათასიანი ელექტორატი და რეფორმის კურსს ამარტივებს.

მაგალითად, ნელს ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებებით, გაუქმებულია საბუნებისმეტყველო საგნების ტრიმესტრული სწავლება. მე-7-8 კლასებში აღარც საზოგადოებრივი მეცნიერებები ისწავლება ინტეგრირებულად. თავის დროზე კი ეს ნოვატორული სისტემა, რომელიც ბევრი მასწავლებლისთვის გამოწვევად იქცა, იმიტომ დაინერგა, რომ ბავშვი კონცენტრირებული იყო ერთ საგანზე და არა სამზე ერთდროულად.

იმ სოფლებში კი, სადაც კადრების დეფიციტია, შესაძლებელი იყო ერთ მასწავლებელს ერთი ტრიმესტრი ესწავლებინა ერთ სკოლაში, და დანარჩენი სხვა სკოლებში.

განათლების სამინისტრომ ერთი წლით გადადო პედაგოგთა სერტიფიცირებაც და მოტივად ისევ მასწავლებელთა მოთხოვნა დაასახელა, რომელთაც სასერტიფიკაციო გამოცდების მოსამზადებლად მეტი დრო სჭირდებოდათ. მათივე დასახმარებლად სამინისტრომ გადაწყვიტა, დააფინანსოს გამოცდებისთვის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები. პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ უკვე დაამტკიცა იმ პროგრამების პირველი ნაწილი, რომელთა საშუალებითაც პედაგოგებს უკვე შეუძლიათ, კვალიფიკაცია აიმაღლონ, პარალელურად კი, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოემზადონ, რომლებიც 2010 წელს დაიწყება და 2014 წლამდე ჩა-

ტარდება. გაისად გამოცდები გაიმართება ქართულის, მათემატიკის, ინგლისურის, ფრანგულის, გერმანულისა და რუსულის პედაგოგებისთვის.

სპეციალობის გარდა, ისინი ჩაბარებენ პროფესიულ უნარებსაც. თუკი 2014 წლისათვის მოქმედ მასწავლებელს არ ექნება სერტიფიკატი, მას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი მასწავლებლობის უფლებას ჩამოართმევს.

სერტიფიკატი კვალიფიკაციურობის მონიშვნაა, მაგრამ ჯერჯერობით არ არის გარკვეული, მოახდენს თუ არა ის გავლენას ამ მონიშვნის მქონე პედაგოგის ხელფასზე. დღეს მასწავლებლის საბაზისო ხელფასი გამოითვლება გამოცდების, სტაჟისა და ხარისხის მიხედვით და თანხა 150-380 ლარის ფარგლებში მერყეობს. პედაგოგისთვის კი გაუგებარია, როდესაც ის თვეში 60 საათს მუშაობს, რატომ იღებს მხოლოდ 15 საათის შესაბამის ხელფასს. ამ ეტაპზე მთავრობაში განიხილავენ სერტიფიცირებული მასწავლებლების ნახალისების საკითხს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში აცხადებენ, რომ „დიდა სურვილი, ნახალისება იყოს ხელფასით გამოხატული“. თუმცა, ამ ეტაპზე მთავრობის „დიდ სურვილზე“ მეტად კონკრეტული არაფერია ცნობილი.

სწორედ ამ გაურკვევლობის გამო, მასწავლებელთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ლოდინი არ ღირს – ვიდრე სახელმწიფო მათ სოციალურ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, პედაგოგებმა უარი უნდა თქვან სერტიფიცირებაზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული 4000 პედაგოგის გამოკითხვით, მასწავლებლის საშუალო ხელფასი 760 ლარი უნდა იყოს. მსგავსი გამოკვლევა ჩატარეს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირშიც და იქ დამწყები პედაგოგის საშუალო ხელფასის სასურველმა ოდენობამ 920 ლარი შეადგინა. ამ გამოკითხვის საფუძველზე, საეჭვოა, მასწავლებელთა სოციალური უკმაყოფილება

სრულად დააცხროს ცნობამ იმის შესახებ, რომ პრეზიდენტის განცხადების საფუძველზე, საბაზისო ხელფასის გაზრდა სექტემბრიდან ყველა მასწავლებლისთვის 25 პროცენტითაა მოსალოდნელი, ხოლო დამრიგებლების ხელფასისა – 100 ლარით. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ პედაგოგთა ხელფასები ეტაპობრივად და უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება. ეს კი, სავარაუდოდ, სერტიფიცირების წინააღმდეგ მომავალი წლისთვის ჩაფიქრებულ ბოიკოტს ჩაშლის.

სკოლების საბიუჯეტო სქემა – ეს მეორე საკითხია, რომელიც პედაგოგთა უკმაყოფილების მიზეზი ხდება. უამრავი მასწავლებელია ჩართული პროექტებში, რომელთა საშუალებითაც სკოლებმა შეძლეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ოდნავ გაუმჯობესებინათ. სკოლის დირექტორები კი ვერ ახერხებენ პედაგოგთა უმნიშვნელო პრემირებასაც კი. სკოლის მთელი ბიუჯეტი ხელფასებსა და გაძვირებულ კომუნალურ გადასახადებს ხმარდება.

მასწავლებლები, ერთი მხრივ, აღიარებენ, რომ რეფორმამდე პერიოდთან შედარებით, დღეს სკოლაში მუშაობა უფრო საინტერესო გახდა. მათ მეტი თავისუფლება აქვთ, შემოქმედებითად დაეგმონ გაკვეთილები და მოსწავლეთა დაინტერესებაც მრავალფეროვანი ხერხებით სცადონ.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის კვლევების მიხედვით, დღეს მოქმედი პედაგოგების უმრავლესობა საკუთარ პროფესიაზე უარის თქმას არც იმ შემთხვევაში აპირებს, თუკი მათ სხვა, უკეთესანაზღაურებად სამსახურს შესთავაზებენ. თუმცა, მეორე მხრივ, ძალიან ცოტანი არიან ისინი, ვისაც მომავალში სურს მასწავლებლობა.


მაღალმთიანი რეგიონების სკოლებში კადრების მისაზიდად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს ახალ პროექტს „მასწავლე საქართველოსთვის“. უკვე შერჩეული 50 პედაგოგი, დადგენილი ხელფასის გარდა, ყოველთვიურად დამატებით 250 ლარსაც მიიღებს.

ამკარაა, რომ განათლების სამინისტროს ცალკეული ინიციატივები პრობლემის გადაჭრისკენაა მიმართული, მაგრამ ერთჯერადი ნახალისებებით ძველი სისტემის ფუნდამენტური შეცვლა კვლავ შორეულ პერსპექტივად რჩება; მით უფრო, იმ ფონზე, რომ დანარჩენ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით, განათლების სისტემის ყველაზე მცირე ბიუჯეტი საქართველოს აქვს. **■**

საქართველოს პრეზიდენტის ანდრეას ლიბერალის მიერ დაფინანსებული

# ლიბერალი ონლაინ

ყოველთვიური განხილვითი ინფორმაცია, სტატიები, ბლოგები, ჟოურნალი



## www.liberali.ge

სათავო ჩვენ შესახებ ბლოგები გამოწერა დაგვიკავშირდით

### რუბრიკები

- მოკლე
- ვრცლად
- თეატრალური
- ეკონომიკა-ბიზნესი
- ისტორიული
- კონფლიქტები
- მეცნიერება
- ორი აზრი
- პოლიტიკა
- საზოგადოება
- სამართალი
- საქართველო
- სპორტპორტალი
- ფოტოები
- მუსიკა

### ბლოგები

- ოლეხა ვარციანიანი (1)
- ნინო რომაძე (1)

შეტი

### არქივი

- 05 2009 (1)
- 06 2009 (2)
- 07 2009 (1)

### ავტორიზაცია

მომხმარებლის სახელი

პაროლი

საიტის მფლობელი

- ჩვენი პოლიტიკა
- თანამშრომლობის პირობები

ივლისი № 4 2009



### პოლიტიკა

მშვიდობით, გაერო!

საქართველოდან გაერო-ს მისიის გასვლის შემდეგ მოსახლეობის უსაფრთხოებას ქართველი პოლიციელები და ევროკავშირის მონიტორები იცავენ. არც ერთ მათგანს ადმინისტრაციული საზღვრის გაკონტროლების საშუალება არ აქვს.

საზღვრისპირა სოფლებში 45 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

სრული ტექსტი



### კონფლიქტები

ქართველები და აფხაზები: რა იქნება შერე

აგვისტოს ომის შემდეგ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორიაში პირველად, ორივე მხარეს საერთო მიზანი გაუჩნდა - აღკვეთონ რუსეთის მიერ აფხაზეთის შთანთქმის პროცესი, რომელიც უკვე დაწყებულია.

“აფხაზეთის შიდა სეპარატიზმის გასაყვანად საქართველოსთან კონფლიქტის დარეგულირებასთან არის კავშირი. ჩვენი უსაფრთხოება ძალიან არის დამოკიდებული ამ კონფლიქტის მოგვარებაზე.

სრული ტექსტი



### საზოგადოება

მიკერძოებული სიმართლე

საკუთარი თავის ძიების პროცესი დასრულდა. "მანეტრომ" უკვე იცის, რომ ის ოპოზიციის ტელევიზიად დარჩება.

### ბლოგის უახლესი ჩანაწერები

- ნინო რომაძე
- პრესამსახური « საჭიროა
- ოლეხა ვარციანიანი
- ფაქტობრივი კონფლიქტი

### უახლესი კომენტარები

- "ახლის თამარი პარლამენტი" 2009-07-08 00:46
- საინტერესოა, როგორ გეგმავენ 2009-07-02 12:22
- ძალიან მომეწონა სტატია 2009-07-02 00:25
- კატეგორიულად არ ვეთანხმები 2009-06-27 14:00
- პოლიციელი სკოლაში 2009-06-23 22:15



ნინია კაკაბაძე  
ჟურნალისტი

# მიხსით საზოგადოებას შანსი

საზოგადოებრივი მაუწყებლის დეპოლიტიზაციის  
პროცესი მომავლისთვის არ უნდა გადაიდოს.

ნინია კაკაბაძე

მიხეილ სააკაშვილმა 20 ივლისს საქართველოს პარლამენტში მედიას-თან დაკავშირებით ასეთი განცხადება გააკეთა: „შეიცვალოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წესი. კერძოდ, ცხრანევრიან საბჭოში ოთხი დანიშნოს ხელისუფლებამ, ოთხი – ოპოზიციამ, ხოლო ერთი „გადამწყვეტი ხმა“ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ წევრს მიენიჭოს. თანდათან კი უნდა წავიდეთ ამ ორგანიზაციის დეპოლიტიზაციისკენ, ჩავერთოთ სამოქალაქო სექტორი გადამწყვეტი ხმით და გავაფართოვოთ ამ საბჭოს ფუნქციები. ეს ცვლილებები ჩვენ უნდა მივიღოთ უახლოეს 90 დღეში“.

მესმის სკეპტიკოსების საფუძვლიანი ეჭვი, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვები არაფერია, ცარიელი სიტყვების გარდა. საზოგადოებრივი ტელევიზიის დეპოლიტიზაციის ნება იმ შემთხვევაში გაჩნდება, თუკი ჩვენ, საზოგადოება, რომელიც ამ ტელეარხის მფლობელია, ამას მოითხოვს. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები ჩვენთვის უნდა გახდეს ბრძოლის სტიმული; ვიმსჯელოთ და ვილაპარაკოთ, როგორ უნდა იქცეს „პირველი არხი“ საზოგადოებრივ არხად. ყოველთვის, როდესაც ამის საშუალება მოგვეცემა, ვცადოთ და გამოვიყენოთ შანსი შედეგისთვის და არ მხოლოდ ბრძოლისთვის, როგორც ეს აქამდე ხდებოდა.

საზოგადოებრივი არხის მართვის პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული სქემა ასეთია: სამეთვალყურეო საბჭოს პარტიული ნიშნით დაკომპლექტება, დაცული პარიტეტი ოთხი-ოთხზე და ერთი საზოგადოების ნდობით აღჭურვილი წევრი. მხოლოდ ამას მოჰყვება „ფიქრი“ არხის დეპოლიტიზაციაზე.

საუბარი პოლიტიკური თუ პარტიული ნიშნით საზოგადოებრივი მაუწყებლის დაკომპლექტებაზე ნიშნავს, რომ მაუწყებლის საბჭოში ხელისუფლებისა და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის ინტერესების დამცველი წევრები უნდა შევიდნენ. რატომ? რა კავშირი აქვს საზოგადოების კუთვნილ ტელევიზიას პარტიებთან?!

დღევანდელ სატალღევიზიო მედიაში მეტ-ნაკლებად გაჩნდა ძალთა, ანუ ინტერესთა ბალანსირების საშუალება. 2 სახელისუფლებო არხი („რუსთავი 2“, „იმედი“) და 2 ოპოზიციური არხი („კავკასია“ „მესტრო“) ერთმანეთის წინააღმდეგ და

საკუთარი ფავორიტების დასაცავად. კიდევ უფრო ეფექტური იქნებოდა მათი ტექნიკური და სამაუწყებლო შესაძლებლობების გათანაბრებაც. ამაში საგანგაშო არაფერია. მაგრამ რატომ ვუკარგავთ შანსს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც არა პარტიული ინტერესები, არამედ ერთადერთი რამ ამოძრავებს – საზოგადოებრივმა ტელევიზიამ შესარულოს ობიექტურად ინფორმირების, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, განათლების და შემეცნების ფუნქცია? რა საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადად პარტიული ნიშნით დაკომპლექტება და მისი დეპოლიტიზირების პროცესის მომავლისთვის გადადება, თუკი ახლავე შეგვიძლია ამის გაკეთება? თუკი საბჭოს წევრები პოლიტიკოსთა ინტერესების ლობირებას დაინწყებენ, ვინ დაი-

ცავს საზოგადოების იმ ნაწილის ინტერესს, რომელსაც საზოგადოებრივი ტელევიზიისგან არ სურს პოლიტიკური ბრძოლის იარაღის შექმნა? სხვა, კერძო ნაციონალური მაუწყებლებისგან განსხვავებით, ამ ტელევიზიას ყოველთვის ერთი რამ ახასიათებს – ხელისუფლების ცვლასთან ერთად ის ქვეყნის მმართველი პოლიტიკური გუნდის დაქვემდებარებაში გადადის.

საინფორმაციო პოლიტიკას იცვლიან „რუსთავი 2“, „იმედი“... საზოგადოებრივი მაუწყებელი კი ყოველთვის „პირველ (სახელისუფლებო) არხად“ რჩება. ნუგზარ ფოფხაძისა და ზაზა შენგელიას გავლენა ისევ იგრძნობა ამ არხის დერეფნებსა თუ ეთერში. მიუხედავად უამრავი ხარვეზისა, თამარ კინწურაშვილის დროინდელი ტელევიზია საზოგადოე-

ბრივ ტელევიზიად ჩამოყალიბების არა, მაგრამ ამ გავლენებთან ბრძოლის მცდელობა ნამდვილად იყო.

რა მივიღეთ 2 წლის წინ, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭო პარტიული ნიშნით დაკომპლექტდა და, ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეთანხმების საფუძველზე, ლევან ყუბანიშვილს და გია ჭანტურიას ჩააბარეს არხის რეორგანიზაცია, რეპრეზენტაცია? არხის დღევანდელი სოცრეალისტური ვარდისფერი ეკრანით არც ხელისუფლებას კმაყოფილი და არც ოპოზიციას. მთავარია, რომ უკამაყოფილოა საზოგადოება. სწორედ ამიტომ არ უნდა გადავდოთ საზოგადოებრივი არხის დეპოლიტიზაციის პროცესი.

რა საჭიროა  
სამეთვალყურეო  
საბჭოს ძირითადად  
პარტიული ნიშნით  
დაკომპლექტება  
და მისი  
დეპოლიტიზირების  
პროცესის  
მომავლისთვის  
გადადება, თუკი  
ახლავე შეგვიძლია  
ამის გაკეთება?

ხელისუფლება აჩქარებს დირექტორის არჩევას, რაც დღევანდელ მოცე-მულობაში დანიშნვის ტოლფასი იქნება. ლოგიკური იქნებოდა, ავირჩიოთ ახალი საბჭო, რომელსაც საზოგადოება წარმოადგენს. საბჭო, სადაც ყველა სამოქალაქო სეგმენტის ინტერესი იქნება გათვალისწინებული. დავაკომპლექტოთ საბჭო არა „ორპარტიული“ პარტიეტის მიხედვით, არამედ პლურალისტური პრინციპით. გასაგებია, რომ პრეზიდენტის წინადადება და პრინციპი, რომელიც არსებულ და მომავალ საბჭოს უდევს საფუძვლად, პოლიტიკური უმრავლესობის ინტერესებს ითვალისწინებს (ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლები და მათი მომხრეები), მაგრამ დემოკრატიის პრინციპი არ არის მხოლოდ უმრავლესობის ინტერესების დაცვა. საზოგადოების ყველა სეგმენტი უნდა შეთანხმდეს და თითოეულმა მათგანმა უნდა წარმოადგინოს თავისი კანდიდატი: პოლიტიკური უმრავლესობის წარმომადგენლების გარდა, საბჭოში უნდა შევიდნენ რელიგიური, სექსუალური, ეთნიკური უმცირესობების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.


თუკი დემოკრატიის არსიდან გამოვალთ, ადეკვატური იქნება, თითოეული ამ ჯგუფის წარმომადგენელს ერთი ხმა მივცეთ: დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოება, რაც გვინდა, რომ ვიყოთ, ღირებულებებზე და არა ამ ღირებულებების მხარდა-

მჭერების და მოწინააღმდეგეების რაოდენობებზე დაყრდნობით მუშაობს.

და თუკი გადანყვეტილება უკვე მიღებულია და ჯერ დირექტორის არჩევის საკითხი დგას დღის წესრიგში, მაშინ საზოგადოება უფრო მეტად უნდა ჩაერთოს ამ პროცესში.

გაიმართოს დებატები დირექტორობის კანდიდატებს შორის. საბჭოს წევრებთან მათი გასაუბრება გადაიცეს პირდაპირ ეთერში. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ როგორ „ჩააბარა გამოცდა“. ამ გასაუბრების პირდაპირ ეთერში გადაცემა პროცესს გამჭვირვალეს გახდის, საზოგადოებას კი ეჭვებს გაუქარწყლებს.

საზოგადოების ჩართულობა პასუხისმგებლობის ამაღლების შანსსაც გააჩენს. საზოგადოებას ეცოდინება, რომ ამა თუ იმ კანდიდატის თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მხარდაჭერით, ის მის მუშაობაზეცაა პასუხისმგებელი.

ჩვენ აღარ ვიქნებით აპათიურები, რადგან ვიცით, რომ ჩვენ მაგივრად გადანყვეტილებას პოლიტიკური ძალები იღებენ. პოლიტიკოსებმა – ხელისუფლებამ და ოპოზიციამაც – საზოგადოებას საშუალება უნდა მისცენ, თავად ჩაერთოს არხის მშენებლობაში და ამით იგრძნოს თავისი წილი პასუხისმგებლობა. საზოგადოებრივი მათემატიკის დეპოლიტიზაციის პროცესი არ უნდა გადავდოთ და გამოვიყენოთ ეს შანსი დღეს! 

**კრიზისა**

**რკინის ფარლის მიღმა**

>> გიორგი ცხაღანი



ფოტო თეიმურაზი ბარამიძისგან

გამოფენა, „გახსენი რკინის ფარდა“, რომელიც გლობალური კონტექსტის მატარებელი უნდა გამხდარიყო, ემოციური შედარებების გამო, ნაციონალურ კონტექსტში ჩაიკეტა

2009 წლის 22 ივნისს თბილისის იპოდრომის ტერიტორიაზე გაიხსნა კონცეპტუალური ფოტოგამოფენა „გახსენი რკინის ფარდა“, რომელიც ბერლინის

კედლის დანგრევის 20 წლისთავს მიეძღვნა. ამ გამოფენაზე ქართველი და უცხოელი ფოტოგრაფების ნამუშევრები ერთმა იდეამ შეკრა – წარმოსახვითი თურვალური გამყოფი კედლების არსებობა. კედლები მსოფლიო საზოგადოებას ორ ნაწილად – თავისუფალ და არათავისუფალ სამყაროდ ჰყოფს. ეს იდეა ქართული პოსტსაბჭოთა ნაციონალური წარა-

ტივისთვის თავიდანვე თვალწარმტაცია: საქართველო ხომ თავს ცივილიზებული სამყაროს ნაწილად თვლის, საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიისგან გათავისუფლებულ, დამოუკიდებელ რესპუბლიკად, რომელიც დასავლურ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში გაერთიანებისკენ მიისწრაფვის.

ქართული ნაციონალური პროექტის მთავარი თავისებურება სწორედ მის პოსტსაბჭოთა მნიშვნელობებში იკვეთება. საქართველო, ისევე, როგორც პოსტიმპერიული სივრცის სხვა ქვეყნები, საკუთარ თავს ყოფილ მეტროპოლიასთან, რუსეთთან მიმართებაში განიხილავენ. მათთვის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის იდეები დიდი ბატონისგან გათავისუფლებას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, რუსეთთან კონფლიქტიც სწორედ თავისუფლებისა და მონობის კონტექსტში აღიქმება. გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური მსოფლმხედველობა, დიდი ხანია, რაც ორწევროვანი დაყოფისგან დაიცალა – მსოფლიო სულ უფრო მეტად მულტიცენტრული ხდება, თუმცა 22 ივლისის გამოფენა 20 წლის წინანდელ დაყოფებს კვლავ უკან აბრუნებს. სინამდვილეში, ქართულ-რუსული კონფლიქტი იდეოლოგიებს შორის ბრძოლა კი არა, ნაციონალისტური იდეების გადაკვეთის



წერტილზე წარმოქმნილი აფეთქებაა. გამოფენა კი აღნიშნულ ტრაგიკულ არასწორი კუთხით უდგება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კონფლიქტი რუსული იმპერიული ამბიციებისგან დაცლილია. პირიქით, ამ შემთხვევაში რუსეთის ველიკოდერჟავული, ნაციონალური ამბიციები მთელი თავისი პომპეზურობითაა წარმოდგენილი, თუმცა არა იდეოლოგიურ, არამედ ეროვნული ინტერესების დონეზე. მასთან საერთო ენის გამოხატვა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე იდეოლოგიურ მტერთან. ეს მხოლოდ სემანტიკური განსხვავება არ არის, არამედ ორ განსხვავებულ მიდგომას გამოხატავს – მოძველებულ, ცივი ომის დროინდელს და ახალს, მულტიკულტურული და მულტინაციონალური მსოფლიოს შესაბამისს. საქართველოში ეს ჯერ კიდევ ვერ აღიქვას, რადგან ლოკალური ნაციონალური პროექტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საფუძველშივე შედის იმ (პოსტ) საბჭოთა იდეებთან კონფრონტაციაში, რომელიც დღეს რუსეთის არსებობასთან ასოცირდება.

ბერლინის კედელი დაინგრა – დაიშალა იდეოლოგიურ საყრდენზე აშენებული უზარმაზარი იმპერია. ამჯერად საქართველოსა და რუსეთს შორის აღმართული კედელი რომ დავანგრეთ, რუსეთის ნაციონალური ინტერესები მინც დარჩება. შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს, თუმცა რუსულ ნაციონალისტურ პროე-

დროზე გამართულ ინსტალაციაში სივრცით-დროითი საზღვრები წაშლილია და ორივე მოვლენა – ბერლინის კედლის დაცემა, ანუ ცივი ომის დასასრული, და 2009 წლის აგვისტოს კონფლიქტი ერთ კონტექსტშია ჩადებული. აქედან გამომდინარე, ფოტოების ერთ-ერთ სერიას „ყაღბი და სასრული“ ჰქვია, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ აგვისტოს ომი და ბერლინის კედელი ერთი ისტორიული ეპოქის ნაწილია, დასასრული ჯერ კიდევ არ გვინახავს.

ერთ ფოტოზე აღბეჭდილია ბავშვი, რომელიც თავისზე უმცროსის თოჯინას ფეხს აბიჯებს. ეს უთანასწორო ბრძოლის იდეაა, თუმცა საკითხავია, რომელ ეპოქაში? მაშინ, როდესაც ორი სუბერსახელმწიფო ებრძოდა ერთმანეთს, თუ ახლა, როცა რუსეთი საქართველოს ჩაგრავს? არ მგონია, რომ ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის დაპირისპირების „უთანასწორო ბრძოლად“ გამოხატვა მართებული იყოს. ეს ნიშნავს იმას, რომ აქ აქცენტი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზეა და ის ცივი ომის ნაწილად არის გასაღებული. თუმცა, პარალელი აგვისტოს ომსა და ცივი ომს შორის უფრო ემოციურია, ვიდრე არგუმენტირებული. ემოციურობას სწორედ ნაციონალური აზროვნების თავისებურება ბადებს.

მოვლენებს შორის გავლებული პარალელი რომ ემოციურია და არა ანალიტიკური, ეს გამოფენის სხვა მხარეებზე

„სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლას“ ეხება, მეორე კი მრავალ ინტერესსა და შეხედულებას შორის მორიგების პროცესს ასახავს.

ინსტალაციაში აგვისტოს ომის სიმბოლიკა ცივი ომის კონტექსტშია ჩართული. მაგალითად, სტალინის სურათის ფონზე გამოსახული ქართველები, საბჭოთა არქიტექტურა და განსაკუთრებული აქცენტი „რკინაზე“, როგორც რუსული ველიკოდერჟავული ამბიციების მარადიულ აღმნიშვნელზე („რკინის ფარდა“, „ფოლადის კაცი“). კედლებიც ასოციაციათა ამ ჯაჭვის შემკვერელი რგოლია. ისინი საზოგადოებებს ერთმანეთისგან ამორეებს. იდეოლოგიურმა არტ პროპაგანდამაც დიდი როლი შეიძლება ითამაშოს.

აგვისტოს ომის ამსახველ კადრებზე ქართული დროშა მთავარი პოლიტიკური სიმბოლოა, ბერლინის კედლის დაშლასთან კი საბჭოთა სიმბოლიკა ასოცირდება. აქ ნათლად ჩანს, რომ ერთგან ნაციონალური კონფლიქტია აქტუალური, მეორეგან კი – იდეოლოგიური. მიუხედავად ამისა, გამოფენის კონცეფციას ეს განსხვავება მეორე პლანზე გადააქვს. მთავარი ადგილი ხომ ემოციურ შედარებას უკავია. გამოფენის ავტორთა ჩანაფიქრში ქართული საბჭოთა სიმბოლიკა, მაგალითად, საბჭოთა არქიტექტურულ ნაგებობებზე გამოსახული ქართველი ახალგაზრდები უფრო მეტ ყურადღებას



ფოტო თომას ზაჰნაშვილი

ქვს ვერ გაეანადგურებთ, შესაძლებელია მხოლოდ მასთან მოლაპარაკება და მომგებიანი შედეგის მიღწევა. გამოფენაში კი მხოლოდ ერთი გზა რჩება: დანგრევა.

გამოფენაზე კედლების გარკვეული მონაკვეთები აგვისტოს ომის მოვლენების ამსახველი ფოტოებითაა შევსებული. მათ ბერლინის კედლის დაშლის დროინდელი და შემდგომი სიმბოლიკა ცვლის. იპო-

დაკვირვებიდანაც კარგად ჩანს. მაგალითად, ბერლინის კედლის დაშლისადმი მიძღვნილ სურათზე გამოსახულია ამერიკის პრეზიდენტი რეიგანი და საბჭოთა კავშირის ლიდერი გორბაჩოვი, აგვისტოს ომის აღწერაში კი მრავალი საერთაშორისო პირი ფიგურირებს: ნიკოლა სარკოზი, იაპ დე ჰოპ სხეფერი, ჯოზეფ ბაიდენი, მიხეილ სააკაშვილი. პირველი შემთხვევა

იმსახურებენ. აქ იმპერია ჯერ კიდევ ცოცხალია.

გამოფენა, მიუხედავად იმისა, რომ გლობალური კონტექსტის მატარებელი უნდა იყოს, ემოციური შედარებების ფონზე, ძლიერ ნაციონალისტურ მნიშვნელობებს შეიცავს. „გახსენი რკინის ფარდა“ ნაციონალური კონტექსტიდან დანახული მსოფლიოა და არა – პირიქით. ■

# უმრავლესობის ზონა

>> თამარ ბაბუაძე



ფოტო: ლიზან ხანაშვილი/სტეპ

გოგი გვახარიას „წითელი ზონა“ აღმოჩნდა ლაკმუსის ქაღალდი, რომელმაც აჩვენა, რომ საზოგადოებას ისევ ძველი „უმრავლესობა“ მართავს.

როდესაც ხელმძღვანელი რაღაცას გთხოვს, ის გულისხმობს, რომ ამას აუცილებლად გააკეთებ. გადაცემა „წითელი ზონის“ ავტორს, გოგი გვახარიას საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორმა სთხოვა, ეთერში არ გაეშვა 2001 წელს ჩანერილი ეკა ბერიძის გადაცემის კადრები.

თხოვნა ეხებოდა საარქივო მასალას, რომელიც სულ სხვა ხელმძღვანელობის დროს და, თითქოს, სულ სხვა საქართველოს ტელევიზიის ეთერში გავიდა.

იმ საქართველოში დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები თავისუფალ სიტყვას პარლამენტის წინ მონაცობილ მიტინგებზე იცავდნენ – ორი დღით ადრე, „რუსთავი 2“-ის შენობაში პოლიციის შეჭრას აპროტესტებდნენ და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვდნენ.

ვინც „რუსთავი 2“-ის შენობაზე რეიდის „ბრძანება გასცა, ეს მისთვის პოლიტიკური სუიციდია“, – ემოციურად აცხადებდა ზურაბ ჟვანია.

მოსკოვიდან იმ დღეს დაბრუნებული და მიტინგზე პირდაპირ აეროპორტიდან მისული სააკაშვილი კი მოსახლეობას

ახალი სახალხო მოძრაობის დანყებას ჰპირდებოდა.

2001 წლის ნოემბრის დღეებში ერთმანეთზე მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადებები გააკეთეს შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ, გენერალურმა პროკურორმა გია მეფარიშვილმა, უშიშროების მინისტრმა ვახტანგ ქუთათელაძემ. პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგა ზურაბ ჟვანიაც.

შევარდნაძე გადადგომაზე უარს ამბობდა: „მესმის, რომ საჭიროა სახელმწიფოს შენება და პრობლემების გადაჭრა. ამიტომაც არ დავიხურავ ქუდს და არ წავალ სახლში“. პრეზიდენტი ამბობდა, – „თავისუფალ სიტყვას საქართველოში საფრთხე არ ემუქრება. ის ხელშეუხებელია“.

იმ დღეებმა აჩვენა, რომ ღირებულებითმა ვექტორმა მიმართულება კვლავ იცვალა. შევარდნაძე გარემოცვის უახლოესმა წევრებმა დატოვეს. „მის არხს“ კი „მართვადი ტელევიზია“ უწოდეს. „პირველი არხის“ ჟურნალისტები და ხელმძღვანელი შეურაცხყოფილნი დარჩნენ იმით, რომ ბრალდებებს იმათგან ისმენდნენ, ვინც სულ ცოტა ხნის წინ „პირველი არხის“ მართვაში მონაწილეობდა. ეკა ბერიძის საავტორო გადა-

ცემა საქმის გარჩევას ჰგავდა. იმ დღეს „რას ფიქრობს ხალხი“ ჩაიშალა. გადაცემა მედიის და პოლიტიკოსების ურთიერთბრალდებებზე იქცა. „კომკავშირელი“, „მედროვე“, – ისმოდა ერთმანეთის მისამართით. ბრალდებები კი ორივე მხარეს თითქმის თანაბრად ესადაგებოდა. ორივე მხარეს საკუთარი ძველი თუ იმ წუთას გაკეთებული არჩევანი ამძიმებდა.

რვა წლის შემდეგ გადაცემა „წითელი ზონის“ ავტორმა ეს მივიწყებული საარქივო მასალა „უმრავლესობის ვნებებზე“ მსჯელობისთვის გამოიყენა. გვახარიამ გაიხსენა კადრები, რომელშიც ჩანდა, როგორ ვიქცევით, როდესაც ჩვენ უკან კოლექტივია, თავისი ძლიერი ვნებებით.

ეს კადრები იმის ილუსტრაციაც იყო, რომ ესტაბლიშმენტის ღირებულებები დღესაც იგივეა. უმრავლესობა საქართველოში არ შეცვლილა. ერთი მხრივ, პოლიტიკურ ტონს და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ აზრს ისევ გადაცემაში დაპირისპირებული მხარეები განსაზღვრავენ. „პირველი არხი“ ნაწილობრივ ძველი გავლენების ტყვეობაში დარჩა.

„მანამდე არასდროს ჩამიყენებია არხის დირექცია საქმის კურსში, ახლაც იგივეს გაკეთება შემეძლო, თუმცა მაინტერესებდა, რამდენად კორპორატიული დარჩა ეს მედია. აღმოჩნდა, რომ მართალი ვიყავი. როდესაც კლანს და კორპორაციას ეხები, მისი წარმომადგენლებისთვის ეს უსიამოვნოა. როდესაც შენს თავს ხედავ კონტექსტში, რომლითაც გრცხვენია, ღიზიანდები“, – ამბობს გოგი გვახარია.

საარქივო მასალის ეთერში გაშვება „პირველი არხის“ მემკვიდრის საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელმა არ მოინდომა. ლევან ყუბანეიშვილმა, რომელიც სხვებთან ერთად იმ სტუდიაში იჯდა, ამ ყველაფრის თავიდან გახსენება არხის ჟურნალისტების მიმართ არაკოლეგიალურ საქციელად ჩათვალა. თუმცა, გოგი გვახარიას აზრით, ყუბანეიშვილის რეპლიკა კოლეგიალობის ნიღაბს ამოფარებული კლანურ-კორპორატიული აზროვნების შედეგია.

„წითელმა ზონამ“ ეს კორპორატიული სისტემა შეაფერხა. დღეს გაჩნდა შანსი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი „უმრავლესობის“ ვნებას დაუპირისპირდეს. **■**



დონალდ ჰოლდრო ჯორჯ მენიხონის უნივერსიტეტის  
პროფესორის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

# რა ჯობია დემოკრატია?

ლევან რონიშვილი

**ჰ**ორჯ მენიხონის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დონალდ ბოდრო, თავისუფალი უნივერსიტეტის მონვევით ერთი კვირის მანძილზე ბაკურიანში იმყოფებოდა. ვიზიტის მიზეზი გახლდათ თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საზაფხულო სკოლა თემაზე „პოლიტიკური ეკონომია გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში“, რომელშიც დონალდ ბოდრო სხვა პროფესორებთან და მკვლევარებთან ერთად ლექციებს კითხულობდა.

2001 წლიდან პროფესორი ბოდრო ჯორჯ მენიხონის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანია. მანამდე კი ლიბერტარიანული ინსტიტუტის, „ეკონომიკური განათლების ფონდის“, პრეზიდენტის პოსტი ეკავა. ის ფლობს ოზურნის უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორის ხარისხს და ვირჯინიის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხს იურისპრუდენციაში. მისი სტატიები იბეჭდება ნამყვან გამოცემებში, რომელთა შორის არის Wall Street Journal და The Washington Times.

**ლიბერალი პროფესორი ბოდრო, თქვენ ამბობთ, რომ დემოკრატია დიდი თავყანისმცემელი არ ხართ. აგვისუნით, რას გულისხმობთ ამ მოულოდნელ განცხადებაში.**

მთავრობა აუცილებლად დემოკრატიულად უნდა იყოს არჩეული, მაგრამ არც ეს აძლევს მას ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ჩარევის უფლებას. არ იქნება სწორი, რომ მთავრობამ, თუნდაც დემოკრატიის ყველა პრინციპის დაცვით, ჩვენ მაგივრად გადაწყვიტოს, რა ფერის ტანსაცმელი ჩავიცვათ, ან რომელი კერძი მივირთვათ დილით, ანდა სად დავისვენოთ ყველამ ერთად ზაფხულ-

ში. ამგვარი გადაწყვეტილებები თითოეულმა მოქალაქემ პირადად უნდა მიიღოს. არის საკითხები, რომლებიც მთავრობას უბრალოდ არ ეხება, იმის მიუხედავად, დემოკრატიულია ეს მთავრობა თუ ავტორიტარული.

ასე რომ, როდესაც დემოკრატია ვინუნებ, ამით ავტორიტარიზმს არ ვამართლებ. პირიქით, ავტორიტარული მთავრობა დემოკრატიულზე ბევრად უარესი ფენომენია. მე შეკვეცილი უფლებამოსილების მქონე მთავრობის მომხრე ვარ. სამწუხაროდ, შემცირების ნაცვლად, მთავრობების უფლებები განუწყვეტილ იზრდება და ისინიც ყოველდღიურად უფრო და უფრო იჭრებიან ჩვენს პირად ცხოვრებაში. სწორი იქნება, რომ გადაწყვეტილებათა უმეტესობა მოქალაქეებმა ინდივიდუალურად მიიღონ და არა კოლექტიურად, თუნდაც დემოკრატია სრული დაცვით.

**ლიბერალი თქვენ ხშირად ლაპარაკობთ დემოკრატიის კიდევ ერთ ნაკლზე, რომელსაც ამომრჩევლის „განზრახ არცოდნა“ დაარქვით; რაში მდგომარეობს და რამდენად მნიშვნელოვანია ეს ნაკლი?**

გადაწყვეტილების კოლექტიურად მიღება მართლაც წარმოშობს კიდევ ერთ პრობლემას: რადგან არჩევნებსა და რეფერენდუმებში ასობით ათასი ადამიანი მონაწილეობს, არც ერთ კონკრეტულ ადამიანს არ შეუძლია შედეგზე რეალური გავლენის მოხდენა. შესაბამისად, ამომრჩეველიც მცირე დროსა და ენერჯიას უთმობს კანდიდატების პლატფორმის გაცნობასა და ანალიზს. ამომრჩევლის ამ სავსებით გააზრებულ და გამართლებულ საქციელს „განზრახ არცოდნა“ ვეძახით. თქვენც ხომ შეგეძლოთ ამ ოთახში ნათურები დაგეთვალიათ, მაგრამ ტყუილად გაირჯებოდით,

რადგან მიღებული ინფორმაცია არავითარ შედეგს არ მოგიტანდათ. თქვენ გირჩევნიათ, დრო და ძალისხმევა იმ საქმეებს მოახმაროთ, რომელთა შედეგიც თქვენ მიერ განეული შრომის პირდაპირპროპორციულია. ამომრჩეველსაც ძალიან ბევრი ისეთი საქმე აქვს, სამსახურსა თუ სახლში, რომელთა შედეგზეც, არჩევნებისაგან განსხვავებით, რეალური გავლენის მოხდენა შეუძლია.

პოლიტიკოსებს ხშირად უკვირთ, რომ არჩევნებზე ცოტა ხალხი მიდის. ეკონომისტებს კი ამომრჩეველთა ნებისმიერი რაოდენობა აუხსნელად ბევრი ეჩვენებათ და კითხვასაც პირიქით სვამენ: „რატომ მიდის არჩევნებზე ესოდენ ბევრი ადამიანი?“ თუ თქვენს მკითხველს ამ საკითხის უფრო ღრმა ეკონომიკური ანალიზი დაინტერესებს, ვურჩევდი ბრაიან კაპლანის ბრწყინვალე წიგნს „ლეგენდა რაციონალურ ამომრჩეველზე“ (Bryan Caplan, "The Myth of the Rational Voter").

**ლიბერალი საარჩევნო უბანზე გამოცხადებულ ამომრჩეველს თქვენ სუპერმარკეტში სავაჭროდ მისულ მყიდველს ადარებთ. რითია გაპირობებული ეს უცნაური ანალოგია?**

სუპერმარკეტების მსგავსად, თანამედროვე მთავრობებიც მოსახლეობას სთავაზობენ. მაგრამ თუ სუპერმარკეტი მყიდველს პროდუქტის ცალ-ცალკე ამორჩევის საშუალებას აძლევს, მთავრობა მოსახლეობას არჩევანის გაკეთებას მთლიან საარჩევნო პროგრამებს შორის აიძულებს. ამას ახლავს ავსსნი. თუ მყიდველი სუპერმარკეტიდან ხორციტ, ლუდიტა და ნამცხვრით გამოვა, ჩანს, მას თითოეული ეს პროდუქტი მოეწონა, ხოლო დანარჩენი პროდუქცია ან არ მოეწონა, ან



ეძიება. ნარმოიდგინეთ, მყიდველს რომ სუპერმარკეტში პროდუქტით სავსე რამდენიმე ურიკა დახვედროდა და მხოლოდ ამ სავსე ურიკებს შორის შეძლებოდა არჩევანის გაკეთება.

ასეთ პირობებში მყიდველს აუცილებლად მოუწევდა სახლში მრავალი არასაჭირო ნივთის წაღება, ხოლო მისთვის საჭირო ზოგიერთი ნივთი აუცილებლად რომელიმე დაუნუნებულ ურიკაში აღმოჩნდებოდა. ვაჭრობის ასეთი ფორმა ძალიან არაეფექტური და არასასიამოვნო იქნებოდა. არადა, სწორედ ამ გეგმით უწევს მოქმედება ამომრჩეველს საარჩევნო კაბინაში.

საარჩევნო კანდიდატის პროგრამა სწორედ ასეთ სავსე ურიკას ჰგავს, რომელშიც თავმოყრილია დაპირებები გადასახადებზე, გარემოს დაცვაზე, ბიზნესის რეგულირებაზე, საგარეო პოლიტიკასა თუ თავდაცვაზე – სია უსაშველოდ გრძელდება. ხმის მიცემისას ამომრჩეველი ირჩევს სავსე ურიკას, თუმცა იშვიათად მოსწონს იქ თავმოყრილი ყველა დაპირება.

არც გამარჯვებულ კანდიდატს შეუძლია დაბეჯითებით დასკვნას, კონკრეტულად რომელი დაპირების გამო დაუჭირეს მას მხარი და რომელი დაპირება ჩათვალეს ასატან ტვირთად. გამარჯვებულს მხოლოდ ის თუ დაამშვიდებს, რომ დამარცხებულებიც არანაკლები გამოცანის წინაშე დგანან: ვერც დამარცხებულები არკვევენ, კონკრეტულად რა დაუნუნეს მათ ამომრჩეველებმა.

ამ საარჩევნო გაუგებრობისაგან განსხვავებით, სუპერმარკეტები ადვილად ხვდებიან, რომელია მომხმარებლისთვის მოსაწონი პროდუქტი. ასეთი პროდუქტი ადვილი შესამჩნევია, რადგან ის თაროებიდან მალე ქრება. გამოდის, რომ ყოველდღიურად სუპერმარკეტები უფრო სამართლიან და ეფექტურ არჩევნებს ატარებენ, ვიდრე მთავრობები – რამდენიმე წელიწადში ერთხელ, რომელსაც წინ ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი და უსაშველოდ დიდი ხარჯები უძღვის.

**ლიბერალი პროფესორი, კოლექტიური არჩევანთან შედარებით, პირადი არჩევანის უპირატესობა კარგად ჩანს თქვენს მაგალითებიდან. მაგრამ მოდით, უფრო რთული მაგალითი განვიხილოთ: რამდენად შესაძლებელია კერძო სექტორს მივანდოთ მედიკამენტების კონტროლი?**

ას წელიწადზე მეტია, რაც ამ ფუნქციას ამერიკაში საკვებისა და წამლის ადმინისტრაცია ახორციელებს. მე ვთვლი, რომ ეს სახელმწიფო დანებსებულება არა თუ უზრალოდ უსარგებლო, არამედ მავნეც კია. მცდარია მოსაზრება, რომ მთავრობის მეტვალყურეობის გარეშე, ადამიანები მედიკამენტებს უპასუხისმგებლოდ დაენაფებიან მხოლოდ იმიტომ, რომ წამლის კოლოფზე ფერადი დაპირებები წერია. სინამდვილეში ადამიანები ითვალისწინებენ მწარმოებლის რეპუტაციას, ექიმის რჩევას და დამოუკიდებელი კვლევითი სააგენტოების აზრს. სამივე მოთამაშემ, რომელიც ფაქტობრივად მომხმარებლის მრჩეველსაც წარმოადგენს, ნდობა პატიოსანი და თავდაუზოგავი შრომით უნდა მოიპოვოს ათწლეულების მანძილზე; სახელმწიფო დანებსებულება კი დაუმსახურებლად ხდება მონოპოლიური მრჩეველი, რითაც ხელს უშლის მედიკამენტების ხარისხის კონტროლის კერძო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ასეთი კერძო დანებსებულებები არსებობენ სხვა ინდუსტრიებში, სადაც სახელმწიფოს არ აქვს მონოპოლია ხარისხის კონტროლზე.

სამთავრობო მიდგომას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს. თუ კერძო სააგენტო გამაფრთხილებს, რომ წამლის უსაფრთხოების დონეა 50%, მე მაინც მრჩება ამ წამლის გააზრებულად მიღების უფლება. ეს უფლება განსაუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ხვალ დაავადებისაგან გარდაუვალი სიკვდილი შემუქრება. მაგრამ თუ წამლის უსაფრთხოება არ მოეწონა მთავრობას, მაშინ ეს წამალი ყველასათვის აიკრძალება და მეც დავკარგავ გადარჩენის 50%-იან შანსს! ეს აშკარა უსამართლობაა.

განსხვავებულია ასევე ადამიანების დამოკიდებულება რისკისადმი. ზოგი ადამიანი თვითმფრინავიდან ხტომით შეგნებულად და სიამოვნებით ერთობა, ზოგი კი შედარებით უსაფრთხო შობის – წიგნების კითხვას ამჯობინებს. თუმცა მე პირადად წიგნის მოყვარულთა კატეგორიას ვუკუთვნი, ვერავის აუჯობებდავ პარამუტით ხტომასა და რისკის დაგემოვნებას. და ბოლოს, ერთი ადამიანის რისკისადმი ტოლერანტობაც შეიძლება შეიცვალოს დროის განმავლობაში.


ამ მარტივი მაგალითებითაც კი ნათელია, რომ არ არსებობს რისკის საერთო, ყველასთვის მისაღები


დონე – თუმცა მთავრობა სწორედ ასეთი მცდარი აზრის დამკვიდრებას ცდილობს. სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა გარემოებაში იმყოფება და ერთი გადანყვეტილება, თუნდაც ბრძნული, ვერ იქნება თანაბრად მისაღები 17 წლის ყმანვილისთვისაც და 95 წლის ქალბატონისთვისაც. მაშინ როგორ უნდა იპოვოს მთავრობამ უსაფრთხოების ის საერთო ზღვარი, რომლის მიღმაც კონკრეტული წამალი ყველასათვის უნდა აიკრძალოს? სწორედ ეს არის მედიკამენტების კონტროლზე სახელმწიფო მონოპოლიის მთავარი პრობლემა.

**ლიბერალი პროფესორი, ნება მომეცით, შევაჯამო. თქვენ მხარს უჭერთ მცირე მთავრობას შეკვეცილი უფლებებით; ასეთი მთავრობის კომპეტენციის მიღმა დარჩენილ საკითხებს კი მოსახლეობა ინდივიდუალურად, თავისუფალი ბაზრის გარემოში გადანყვეტს, და არა კოლექტიურად, თუნდაც დემოკრატიული გზით?**

სწორედ ასეა. მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რომლის გარეშეც ეს ბრწყინვალე კონსტრუქცია ერთბაშად ირღვევა. ეს პირობაა დამოუკიდებელი, კორუფციისაგან თავისუფალი, ბრძენი სასამართლოს არსებობა. ამით კანონის უდიდეს მნიშვნელობას მინდა გაუფსვა ხაზი.

მაგრამ მე არ მნამს ხელოვნურად შექმნილი კანონის, თუნდაც მისი ავტორი დემოკრატი იყოს. კანონი ხომ იმ წესების ერთობლიობაა, რომლებმაც ადამიანებს საკამათო სიტუაციაში სამართლიანობის განცდა უნდა მიაჩნოთ. ასეთ კანონს კი ადამიანებს ხელოვნურად თავს ვერ მოახვევ; ასეთ კანონს ვერ გამოიგონებ – ის უნდა აღმოაჩინო. თუკი ამოცანა ამგვარადაა დასმული, მის გადასაჭრელად მთავრობა აღარ გამოდგება; ეს ამოცანა ხელეწიფება მხოლოდ მიუკერძოებელ, დამოუკიდებელ და ბრძენ სასამართლოს.

მთავრობამ შეიძლება დააფინანსოს სასამართლოს შენობების აგება, მაგრამ არ უნდა ჩაერიოს ამ შენობებში მიმდინარე კანონმდებლობით პროცესში. მთავრობას ევალება სასამართლო განაჩენის აღსრულება, მაგრამ ეკრძალება ამ განაჩენის გამოტანაში ჩარევა. სწორედ ასეთი სამართლის უზენაესობის პირობებში აქვს აზრი ყველაფერს, რაც აქამდე გიაშბეთ. 



**A Life By Gerald Martin**

Gabriel García Márquez

ცხოვრება ჯერალდ მარტინი

გაბრიელ გარსია მარკესი

დაახლოებით 10-12 წლის წინ ჟურნალ „არილის“ ოფისში ერთი სასააცილო ფოტო მქონდა გაკრული. ფოტოზე ფიდელ კასტრო და გაბრიელ გარსია მარკესი იყვნენ გამოსახული. ფოტოზე ორივეს შორები აცვია და ორივეს რაღაც უცნაურ ფლოსტებში (თუ სანდლებში) აქვთ ფეხები წაყოფილი. ორივე ბედნიერია, ერთი მსოფლიოს უნიჭიერეს მწერალთან მეგობრობით ამყობს ალბათ, მეორეს სიამაყის მიზეზთა ჩამოთვლა კი შორს წაგვიყვანდა, (ერთხელ, კასტროს კოლუმბიაში სტუმრობისას მარკესს თურმე მისი მცველის ფუნქციაც კი უკისრია). ასეთი ფოტო შემდეგაც არაერთხელ გადაიღეს ძველმა მეგობრებმა, ხან სუფრასთან, ხან ბუნების ნიაღში სეირნობისას, ხანაც სპორტულეებში ან ოფიციალურ შეხვედრაზე, თუმცა უშუალოდ ამ ფოტოს ვერც ერთი ვერ შეედრება.

მარკესს ფიდელის ლაქიასაც უწოდებდნენ. მაგალითისთვის, მისი ყოფილი მეგობარი, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მწერალი, მარინო ვარგას ლიოსა (რომელიც შემარჯვენე იდებითაც უპირისპირდება მარკესს) ნამდვილად არ იშურებდა ხოლმე ამგვარ შედარებებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1976 წელს მეგობრებმა გვარნიანად

# ნიგნაბი ენის ტრიუმფატორი

მალხაზ ხარბელია

იჩხუბეს. მაშინ ლიოსაც და მარკესიც ოჯახებით ბარსელონაში იყვნენ თურმე ჩასულები. ლიოსა ვიღაც შევედ ლამაზმანს გადაყრია და ოჯახიდან წასულა, მარკესებს კი, პატრიციასთვის, ლიოსას მეუღლისთვის რჩევა მიუციათ, – გაეყარე და ქონებაც გაიყავითო. ლიოსას მალე დაუღწევია თავი იმ ქერთამიანი შვედი ქალის ხიბლიდან, დაბრუნებულზე კი მარკესების რჩევის შესახებაც გაუგია მეუღლისგან. ამის გამო, ლიოსას მამაპაპურად მოუღია თურმე მარკესისთვის ის თავისი ჯანაინი მარჯვენა (შემარჯვენე ტყუილად კი არაა!) და თვალის დაუღილავებია დიდი მწერლისთვის (სხვათა შორის, არსებობს ფოტოგრაფ როდრიგო მოიას ორი ფოტოსურათი, სადაც მარკესს მარცხენა თვალი აქვს ჩალურჯებული).

ჯერალდ მარტინის წიგნში ამაზე არანაკლებ საინტერესო ამბებია მოთხრობილი, სადაც მწერლის გენეალოგიიდან და მისი შემოქმედებითი ფესვებიდან მოყოლებული, აუარება ისტორიას ამოიკითხავთ. თუმცა ისტორიებზე თუ ჭორებზე უფრო მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ წიგნის ავტორი მწერლის შემოქმედებაზეც ძალზე ზუსტ დაკვირვებებს აკეთებს და თავდაპირველ ამოცანად სკანდალურ ისტორიებს კი არა, მწერლად ჩამოყალიბებისა და განვითარების დეტალებს მიიჩნევს.

მარკესს ჩვეულებრივი ბავშვობა ჰქონდა, სხვა მოზარდებივით ისიც კითხულობდა დიუმას და ათას ერთ ლამეს, XVI–XVII საუკუნეების ესპანურ ლიტერატურას, შემდეგ ერთ-ერთ პრესტიჟულ კოლეჯში სწავლის სტიპენდიაც მოუპოვებია, სადაც რუბენ დარიოს შემოქმედებას სწავლობდა. პირველი აღსანიშნავი თარიღი კი მარკესის ცხოვრებაში 1950 წელი ყოფილა, როცა პრუსტის, ჯოისის, ვულფისა და ფოლკნერის ესპანური თარგმანების კითხვაში გართულ 22 წლის ახალგაზრდას მტკიცედ გადაუწყვეტია მწერალი გამხდარიყო.

მარტინის წიგნში საკმაოდ დამაჯერებელ აზრებს ამოიკითხავთ მარკესის „მაგიურ რეალიზმზეც“, რომელიც, მისი აზრით, ესპანური ლი-

ტერატურის ოქროს ხანას ეფუძნება. მარტინის სიტყვით, მარკესის „მაგიური რეალიზმი“ ესაა გაპრიმიტივეული და გახალხურებული გონგორიზმი (იგულისხმება ესპანური ბაროკოს ყველაზე გამორჩეული პოეტი, ლუის დე გონგორა) ადგილობრივი საკმაზეებითა და თემებით.

წიგნის ავტორის აზრით, მარკესის საუკეთესო ნაწარმოები „პატრიარქის შემოდგომაა“. მისი სიტყვით, ესაა ენის ტრიუმფი, რომანი, სადაც მწერლის ოსტატობა წარმოუდგენელ სიმალეებს აღწევს. ეს ნაწარმოები ყველანაირი გაგებით ტირანულია, იგი მოგვითხრობს ტირანიაზე, უპირისპირდება ენის ტირანიას და ამგვარი გაბედულებით ტირანივით მართავს მკითხველს.

ჯერალდ მარტინი 17 წლის განმავლობაში იკვლევდა მარკესის ცხოვრებას და ნაწერებს, მან ასეულობით ინტერვიუ აიღო მწერლისგან, მისი მეგობრებისგან, სხვა მწერლებისგან. წიგნში დეტალურადაა გადმოცემული „გაბოს“ ჟურნალისტური კარიერის, ევროპაში მოგზაურობის, შემდეგ კი მექსიკაში გატარებული წლების შესახებ, სადაც მან „მარტოობის ასი წელი“ დაწერა. ბევრ რამეს შეიტყობთ გვიანი პერიოდის მარკესის შესახებაც. ამ წლების შესახებ განსაკუთრებით ის ადამიანები ინტერესდებიან, ვინაც რამდენჯერმე გამოიტრია გაბო (წლების წინ ჩემი ყურით მოვისმინე, როგორ მისტიროდა ერთი „განათლებული“ მაღალჩინოსანი მარკესს, – ეს რა კაცი დაეკარგეთო) და ვისაც დღემდე ჰგონია, რომ პერუში არგენტინის ელჩის, ვინმე აბელ პარენტინის მიერ შეთხზული ტექსტი-ანდერძი მარკესს ეკუთვნის. ეს მოკლე ტექსტი ასე მთავრდებოდა: „მე ამდენი რამ ვისწავლე თქვენგან, მაგრამ სიმართლე ითქვას, ეს ცოლდა ვერაფერს მშველის, რადგანაც ყველაფერ ამით აღვსილი, მე, სამწუხაროდ, ვკვები“.

მას შემდეგ 9 წელი გავიდა და მარკესმა დაამტკიცა, რომ იგი სიკვდილს არ აპირებს, ძველებურად წერს და, რაც მთავარია, თავის ბიოგრაფებსაც ეხმარება წერაში. ■

გვიხიანეთ

მთელ საქართველოში

უცვლელ სიხშირეზე 106.4

fm

საქართველო

უხიანეთ ყოველ საგუბარო დღეს  
ვირველი რადიოს მთერში გადაცემას  
რადიო პირველი - ნანიკო ხაზარაძესთან ერთად

დასაწყისი 13:30





# ბაზანიჭვბუნი საქანთუბანს ბანკი

ბანკით ანაბანი,  
ჩანით ბათანაშუბანი,  
აოგბით ფანანე ჩიოზი  
და ბიანა



საქანთუბანს ბანკი  
BANK OF GEORGIA

